

# სარჩევი CONTENTS

2	შემეცნება Overview	58	პრეცედენტები Precedents
6	მთავარი თემა The Main Topic	62	ექსპერტი Expert
14	პორტრეტი The Portrait	70	ხელოვნების საგანძური Treasure of Art
20	სუბიექტური სივრცე The Subjective Space	82	შედეგის ისტორია History of the Masterpiece
34	პრობლემატიკა Problems	94	ახალი კრისტიან New by Kristi
40	ქართველები უცხოეთში Georgians Abroad	104	დაიჯესტი The Digest
48	სტუმარი The Guest		

## COPYRIGHT

გამომცემელი: საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაცია/Publisher: Georgian Copyright Association (GCA) საქართველო, 0171 თბილისი, კოსტავას ქ. 63 / 63 Kostava str. 0171 Tbilisi, Georgia tel./Tel: +995 32 2 7887 www.gca.ge contact@gca.ge ნომერზე მუშაობდნენ: ირინა დემეტრაძე, კრისტი ყიფშიძე, გიორგი კალანდია, ხათუნა გოგიშვილი/The edition was prepared by: Irina Demetradze, Kristi Kipshidze, Giorgi Kalandia, Khatuna Gogishvili, ფოტო: ირინა კუდრიაშოვა/photo: Irina Kudryashova გრაფიკული დიზაინი: ნუცა ნადირაძე/Graphic Design: Nutsa Nadiradze ლიტერატურული რედაქტირება: ნინო სანიკიძე/Literature Edited by Nino Sanikidze თარგმანი: ნათია ღვინიაშვილი / Translation: Natia Ghviniashvili ნომერი დაიბეჭდა გამომცემლობა "შპს გაზეთი საქართველოს მაცნე"/The edition was printed by the publishing house: "LTD The Newspaper Sakartvelos Matsne" უფრნალი გამოდის ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის "საქპატენტის" მხარდაჭერით/ The magazine is published with the support of the National Intellectual Property Center - SAKPATENTI უფრნალში გამოქვეყნებული მასალების გამოყენება გამომცემლის ნებართვის გარეშე აკრძალულია/The use of the magazine content is forbidden without prior permission of the publisher. ყველა უფლება დაცულია © 2013 All Rights Reserved



**CLDP**

Commercial Law Development Program  
Office of General Counsel  
United States Department of Commerce



საქართველოს  
საავტორო უფლებათა  
ასოციაცია  
აქტიურობის ბაზრის ორგანიზაცია



საქართველოს  
საავტორო უფლებათა  
ასოციაცია

# შვედისკნაბა

## OVERVIEW

International  
Federation of  
Reproduction  
Rights  
Organisations





# ასლები, აუდიო/ვიდეო ჩანაწერები... რეპროდუქციის უფლებით დაცული ქმედებები

## Copies, Audio and Video Records Actions Protected by Reproduction Rights

საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაცია იმ ორგანიზაციათა რიცხვს განეკუთვნება, რომლებიც საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილი საავტორო უფლების დაცვის ყველა ასპექტს მოიცავს. როგორც "შემეცნების" წინა სტატიებში განვიხილეთ, საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაცია იცავს საჯარო შესრულების/გადაცემის, მექანიკურ და ასევე, რეპროდუქციებისა და რეპროგრაფიის უფლებებს. ამ უკანასკნელი უფლების განსახორციელებლად ასოციაციას სჭირდება საერთაშორისო პარტნიორებთან და შესაბამის "ქოლგა" ორგანიზაციასთან ურთიერთობა, რომელიც რეპროდუქციებისა და რეპროგრაფიის უფლებებს არეგულირებს. სწორედ ასეთი ორგანიზაცია გახლავთ რეპროდუქციის უფლების ორგანიზაციათა საერთაშორისო ფედერაცია - International Federation of Reproduction Rights Organizations (IFFRO). საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაცია 2012 წელს მის სრულუფლებიან, ხმის უფლების მქონე წევრად იქნა მიღებული, აქამდე მას მხოლოდ ასოცირებული წევრის სტატუსი ჰქონდა.

The Georgian Copyright Association is one of those organizations, which embraces all aspects of the internationally established copyright protection standards. As we have discussed in previous articles, Georgian Copyright Association protects the rights of public performance/broadcasting, mechanical as well as reproduction and reprography. In order to protect the latter, the Association needs to cooperate with the International partners and relevant umbrella organization, which regulates rights of reproduction and reprography. IFFRO - International Federation of Reproduction Rights Organizations is exactly this kind of an organization. Georgian Copyrights Association was accepted as its competent member, possessing the right to vote in 2012. Before that, our association had the status of an associated member.

International Federation of Reproduction Rights Organizations is an independent entity, which emerged on the fundamental principles

რეპროდუცირების უფლების დამცველი ორგანიზაციების საერთაშორისო ფედერაცია გახლავთ დამოუკიდებელი ორგანიზაცია, რომელიც საავტორო უფლებების დაცვის ფუნდამენტური პრინციპების, ბერნისა და უნივერსალური საავტორო უფლებების დაცვის კონვენციების საფუძველზე დაარსდა. ორგანიზაციის მიზანია, დახმარება გაუწიოს საერთაშორისო დონეზე კოლექტიური მართვის ორგანიზაციებს რეპროდუცირების და შესაბამისი უფლებებით დაცული ნაწარმოებების დაცვაში. IFFRO თავისი მუშაობის დიდ დროს უთმობს საზოგადოებრივი ინფორმირებულობის ამაღლების მიმართულებით განსახორციელებელ ღონისძიებებს. IFFRO თავისი წევრი ორგანიზაციების მეშვეობით მხარს უჭერს ხელოვანებსა და გამომცემლებს შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნის გზით, რაც მათ საავტორო უფლებების დაცვაში ეხმარებათ.

IFFRO-ს ძალისხმევა მიმართულია მასზე დაკისრებული მისიის განხორციელებაში, რაც მოიცავს ისეთ აქტივობებს, როგორცაა: საინფორმაციო-გაცვლითი სისტემები, კავშირების დამყარება შესაბამის საზოგადოებებთან, ავტორთა უფლებების დაცვისა და შესაბამისი ჰონორარების მიღების სისტემების სრულყოფა. ორგანიზაცია ერთგვარი დამაკავშირებელი რგოლის ფუნქციას ასრულებს ავტორსა და შესაბამის კოლექტიური მართვის ორგანიზაციას შორის.

ორგანიზაციას, თავისი სტრატეგიიდან გამომდინარე, 6 ძირითადი ამოცანა აქვს:

1. ინფორმაციის მიწოდებისა და განათლების დონის ამაღლების მიზნით ორგანიზაციის რეპუტაციის განმტკიცება წევრებისთვის რეალური სარგებლის უზრუნველსაყოფად;
2. მსოფლიო მასშტაბით ეფექტური რეპროდუცირების უფლების საზოგადოებათა შემნის სისტემატური და აქტიური მხარდაჭერა;



ოლავ სტოკკმო / Olav Stokkmo

of copyright protection, based on the Bern and International conventions on copyright protection. IFFRO aims at helping different international organizations of collective rights management to protect reproduction and other rights related to the protected work. IFFRO dedicates a lot of its time to public awareness raising campaigns and other relevant events. With help from its partner organizations, IFFRO supports artists and publishers by preparing the relevant legislative base, which helps protect copyright in a more efficient way.

IFFRO's efforts are directed towards implementing the mission assumed by the organization, which entails organizing activities like establishing information exchange systems, connections with relevant societies, perfecting systems of copyright protection and honorarium allocation. The organization represents a connecting ring between authors and relevant collective rights management societies.

The organization has 6 main objectives which are reflected in its strategy:

1. Raising level of awareness and education in order to consolidate the reputation of the organization and provide the real profit for the members.

3. IFFRO-ს როლის წარმოჩენა გლობალური მასშტაბით, საერთშორისო სტრატეგიული პარტნიორობის განვითარება და თანამშრომლობისთვის აუცილებელი პირობის - რეპროდუცირების ორგანიზაციების როლის და ფუნქციის უკეთ მიწოდება დაინტერესებული მხარეებისთვის;

4. შესაბამისი ბიზნეს მოდელების ხელშეწყობა ფედერაციაში გაწევრიანებისთვის და რეპროდუცირების უფლებების დაცვისა და შესაბამისი ჰონორარების მოპოვების მიზნით დახმარების გაწევა;

5. წევრი ორგანიზაციებისთვის, ასევე ტექსტური და გამომსახველობითი სფეროს წარმომადგენელი უფლების მფლობელებისთვის ეფექტური ორგანიზაციული სტრუქტურის შეთავაზება;

6. თანამშრომლების და კვალიფიკაციის შესაბამისი ადმინისტრირების შედეგად ფედერაციის მიზნების და მისი ბიზნეს გეგმის წარმატებით განხორციელება.

ფედერაციის წევრ საზოგადოებათა რიცხვი მუდმივად იზრდება, დღეისთვის ფედერაცია 90-მდე წევრ ორგანიზაციას ითვლის. ფედერაციას ამჟამად ხელმძღვანელობს ბატონი ოლაგ სტოკმო, რომელთანაც ვრცელ ინტერვიუს ჩვენი მკითხველი ჟურნალ "Copyright"-ის მე-6 ნომერში გაეცნო.

2. Creating and systematically and actively supporting efficient reproduction rights societies worldwide.

3. Representing IFFRO's role on the international platform; developing the international strategic partnerships and fully providing the interested parties with the key condition for the cooperation - the role and function of the reproduction rights organizations.

4. Supporting relevant business models in becoming members of the Federation and protecting the reproduction rights, while also providing help in allocating relative honoraria.

5. Providing the efficient organizational structure for members as well as for the rights holders who represent textual and visual fields.

6. By means of the administration relevant to the staff members and qualification, implementing the business plan and objectives of the Federation.


The number of the IFFRO members is ever growing. Today, the Federation has 90 member organizations. IFFRO is currently led by Olav Stokmo, whose detailed interview was published in the sixth issue of the Copyright Magazine.

# მთავარი თემა

## THE MAIN TOPIC



ნილ ტურკევიცი / Neil Turkevic



ბობი კოლომბი / Bobby Colomby



# სახელმწიფოს ბარემე ქართული კულტურა ვერ იარსებებს Georgian Culture Cannot Exist Without State

მუსიკალური ინდუსტრიის განვითარების თავისებურებანი, მეკობრეობასთან ბრძოლის პრევენცია და კრეატიული მიდგომის აუცილებლობა - თემები, რომლებზეც საუბრობენ ამერიკელი პროდიუსერი ბობი კოლომბი და ამერიკის ხმის ჩამწერი სტუდიების ასოციაციის (RIAA) წარმომადგენელი ნილ ტურკევიცი. ბობი კოლომბი 2005 წელს თბილისის საერთაშორისო ჯაზ ფესტივალზე სიტყვით გამოვიდა

ბობი, თქვენ საქართველოს 2005 წელს ესტუმრეთ. რამდენიმე ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრა გქონდათ და სააგტორო უფლებების დაცვასა და მეკობრეობასთან ბრძოლაზე ლექცია ჩაატარეთ.

კულტურული, რელიგიური და მუსიკალური მრავალფეროვნება გამაოგნებელი იყო. ძალიან გამორჩეულ და საინტერესო ადამიანებს შევხვდით. ესაა თვითმყოფადი და ტოპოგრაფიული კონტრასტების ქვეყანა.

Particulars of musical industry development, prevention of piracy and creative approach, significant topics, discussed with American Producer Bobby Colomby and representative of Recording Industry Association of America (RIAA) Neil Turkevic. Mr. Colomby has visited Georgia to deliver the keynote speech at the 2005 Georgian Jazz Festival.

You visited our country in 2005 as the special guest and held several very interesting and important meetings and lectures promoting copyright and anti-piracy. What impressions did you take away from Georgia about its culture, people, and art/music?

The diversity of the culture, religion and music is incredible. The people are bright and interesting. The country has amazing topography and could be self-sustainable.

ბობ, თქვენ ხართ წარმატებული ბენდის “Blood, Sweat & Tears”-ის დამაარსებელი და ასევე ლეგენდარული მუსიკოსების ალბომების პროდიუსერი. რას ურჩევდით დამწყებ მუსიკოსებს?

პირველ რიგში, ხელოვანი უნდა იყოს ორიგინალური. საკუთარი თავი უნიკალურად და საინტერესოდ უნდა წარმოაჩინოს.

**ნილ, უკვე ორი ათეული წელია, რაც თქვენ აქტიურად ხართ ჩართული მუსიკალურ ინდუსტრიაში. როგორია მისი ხვალისდელი დღის თქვენეული პროგნოზი?**

ინდუსტრია გაცილებით უფრო საინტერესო გახდა. ის თავიდან შემცირდა მეკობრეობის ტალღის გამო; თუმცა, ახლა კვლავ მასშტაბური გახდა და ვითარდება, ჩემი აზრით, ძალიან საინტერესოდ. თანამედროვე ბაზრის სივრცე ხელს უწყობს ავტორებისა და მომხმარებლების პოტენციალის სრულ რეალიზაციას. ძველ სამყაროში მხოლოდ ერთი საშუალება არსებობდა მსმენელის მუსიკასთან ზიარებისა - ცოცხალი კონცერტები. დღეს კი ახალმა ტექნოლოგიებმა სრულად მოიცვა ადამიანთა პირადი თუ საჯარო სივრცე.

**ჩემი დაკვირვებით ნილ, ეს სიახლეები ასევე გარემოსადმი მეგობრულია, ეკოლოგიურად ჯანსაღი. ჩვენ იმდენ პლასტიკურ მასალას ვიყენებდით ვინილისთვის... თან ყველაფერი ეს ნავთობის ინდუსტრიასთან არის გადაჯაჭვული. ვფიქრობ, ეს ცვლილებები ცალსახად პოზიტიურია...**

დიახ, რა თქმა უნდა. ახლა მთავარია, არიან თუ არა მზად ამ გამოწვევისთვის გლობალური ეკონომიკური პოლიტიკის შემოქმედები, რომ ეს შესაძლებლობა ხელიდან არ გაუშვან და უსამართლო კონკურენცია შეამცირონ.

რამდენად უნდა იყოს ჩვენი მიზანი ახალი მატარებლების გამოგონებაში ინვესტიციების ჩადება და საზოგადოების კულტურული აღორძინება მაშინ, როცა ხმის მიწვდენა

**You are the founding member of a very successful band (Blood, Sweat & Tears) and have also produced albums of many legendary artists. What advise would you give to an aspiring artist today? What are some key ingredients of a success in recording industry today?**

First of all, the artist has to be original and make him/herself unique and interesting. What makes an artist to stand out? Their uniqueness and originality.

**Neil, you’ve seen this tremendous transformation in this industry, in last 10-20 years ... where do you see this going? Where do you see this industry 5-10 years from now?**

Well, the industry’s gotten much more interesting. It’s contracted because of all the piracy, that we confronted in the digital market place, but it’s starting to grow. I think, that the interesting thing is that this new market place will expand opportunities for creators and users. In the old world there was one way of getting music to consumers, while today there are so many diversified means the users can access music from. You have so many different tools to make music available.

**I just observed something, it’s also environmentally friendlier ... we used to have all that plastic in vinyl and you know it’s oil-based ... I mean it’s one of the real positives ...**

Yes, absolutely. Now the real question for global policy makers is, are we going to capture this opportunity, are we going to cut down on the unfair competition?

We believe we have tools to fuel a new cultural renaissance and invest in the production of culturally diverse materials, at a level, that no one could’ve thought of. Again, the old world had limited distribution tools, whereas now, you can reach global audiences at low cost,

მზარდი რაოდენობის მსმენელამდე ძალიან გაიოლდა, ვფიქრობ, ხელმისაწვდომობაც შეძლებისდაგვარად უნდა გაიფიქრებინათ. ჩვენს მიერ შექმნილი პროდუქტი უფრო ადვილად კონვენტირებადი უნდა გახდეს, როგორც კულტურული, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით. უნდა გვახსოვდეს, რომ ადამიანს ესაჭიროება დამატებითი არეოლოგიურიცაა მხატვრულ-ესთეტიკური სივრცე; და, რა თქმა უნდა, გართობა-რელაქსაცია.

ბობი: ძველად მარკეტინგული სქემა იყო პრიმიტიული: ხმის ჩამწერი კომპანია ჩაწერდა ფირფიტას და რადაც არ უნდა დაჯდომოდა, რადიოში გაუშვებდა. შემდეგ შეეცდებოდა, ვიდრე კლიპიც გადაეღო. სულ ეს იყო. ხმის ჩამწერი კომპანიები ვერ ითვალისწინებდნენ შემსრულებლების უნიკალურობასა და ინდივიდუალობას. ამან მარკეტინგის კრეატიულ ნაწილში სტაგნაცია გამოიწვია. დღეს კი ჰკვირდებიან ადამიანი იმარჯვებს. ის, ვისი იდეაც უფრო კრეატიულია.

**ბობი, თქვენ კრის ბოტისთან გიმუშავიათ. გასული 10 წლის მანძილზე მისი კოლოსალური წარმატების ნაწილი იყავით. ბოტი ძალიან პოპულარულია საქართველოში, ის ჩვენთან ორჯერ ჩამოვიდა, ერთხელ ლეგენდარულ მომღერალ სტინგთან ერთად. შეგიძლიათ გვიამბოთ ამ არაჩვეულებრივ ადამიანზე?**

კრისი საოცრად ნიჭიერი მუსიკოსია, რომელმაც ძალიან ბევრი იშრომა წარმატების მისაღწევად. მისი საუვირისი უნიკალური და არაჩვეულებრივი ჟღერადობა, მისი გარეგნობა, უნარი, გაუგოს და გაართოს მსმენელი, კრისის წარმატების ძალიან მნიშვნელოვანი ინგრედიენტებია. სტინგისა და ოპრას ვინფრეის მსგავს ფიგურებთან თანამშრომლობამ, რა თქმა უნდა, ხელი შეუწყო მის პოპულარობას.

**ნილ, ინტერნეტის გავრცელებამ და უკანონო ჩამოტვირთვებმა რამდენად დააზარალა სტუდიები?**

you no longer have these artificial constraints. The product we create needs to become easier convertible, culturally and economically. We need to remember, that people need supplementary realities, aesthetic space. And of course entertainment and relaxation.

Bobby: From a marketing perspective, the old way of doing things, which from the record company's point of view was, you release the record, put it on the radio, by any means and then you try and get the video. That's all that was done. The record companies did not address the uniqueness of each artist; they just used the same methods of marketing. It caused stagnation in the creative part of marketing. Now that this no longer applies, the smarter people win. Those who are the most creative and come up with most creative methods of delivering this product are going to win.

**Bobby, You have worked with Chris Botti and have been part of the colossal success of his career over last 10 years. He is hugely popular in Georgia and has visited our country twice, last time together with the legendary artist Sting. Please tell us more about these fabulous persons. What was key in their success and popularity?**

Chris is extremely gifted musician who has worked very hard to earn his success. The unique and gorgeous tone of his trumpet, his handsome looks and the ability to understand and entertain audiences have combined to be ingredients of his success. His friendship and affiliation with likes of Sting and Oprah Winfrey have certainly helped his popularity as well.

**Neil, to what extent has the illegal downloading led to the demise of the recording business?**

Well, it had a huge impact. I wouldn't associate all the decrease in value of music to piracy, there are a number of factors including the transition from selling albums to selling singles

ეს ფაქტორი უდავოდ არსებობდა. თუმცა მე გაყიდვებისა და მუსიკალური გემოვნების დეველოპმენტის მხოლოდ მეკობრეობას არ დავუკავშირებდი. არის მთელი რიგი ფაქტორებისა. მაგალითად ალბომების გაყიდვიდან სინგლების გაყიდვაზე გადასვლა და სხვა. უკანონო გაცვლების ისეთი სისტემების შემოღებამ, როგორც არის Napster-ი და მისი შემდგომი თაობა, რა თქმა უნდა, სავალალო შედეგი იქონია შემოქმედებით საზოგადოებაზე. ამოსავალი წერტილი აქაც ისაა, თუ რამდენად ვართ მზად, უსამართლო კონკურენციას ბოლო მოვუღოთ. რთულია ლეგიტიმურმა სერვერმა ერთდროულად გადაიხადოს თანხა იმ პროდუქციისთვის, რომელსაც ავრცელებს და თან კონკურენცია გაუწიოს იმ საიტებს, რომლებსაც არავითარი დანახარჯი არ აქვთ და არც ჰონორარებს იხდიან. ამ პირობებში ონლაინ ბაზრის გაზრდა ვერ მოხერხდება.

სიტუაციას გლობალურად რომ შევხედოთ, ხმის ჩამწერი სტუდიები თავის დროზე შეცდნენ, როცა Napster-ის წინააღმდეგ სასამართლოს მიმართეს და მისი ლიცენზირება არ მოითხოვეს. თუმცა დღეს სტუდიების სამოქმედო სტრატეგიის არასრულფასოვნების დანახვა უფრო იოლია. ეს ის კომპანიებია, რომელთა ბიზნეს მოდელიც ერთ ღამეში შეიცვალა, როცა საცალო დისტრიბუცია ციფრულმა ჩაანაცვლა. დღესაც ყველა მსხვილი კომპანიის თავსატეხია, როგორ დაიბრუნოს მთლიანი მოგება პროდუქციაზე, რომლის დიდი ნაწილი ციფრული მატარებლებით ვრცელდება. ამის ერთადერთი გზა ლიცენზირების სფეროს გაფართოება-განვითარებაა. საბედნიეროდ დღეს 500-ზე მეტი ლიცენზირებული ციფრული პლატფორმა გვაქვს. მომავალს რაც შეეხება, ადამიანებს უყვართ იმაზე საუბარი თუ რა ელის მუსიკას ხვალ. ჩემი აზრით, ამაზე ფიქრი სისულელეა. შეუძლებელია, მხოლოდ ერთი გზა არსებობდეს. მუსიკის მომავალი იქნება მუსიკა, რომელიც მისაწვდომი გახდება უთვალავი საშუალებით, იქნება ეს სტრიმინგი, ჩამოტვირთვა თუ სხვა რამ. თავად მრავალფეროვნებაა მნიშვნელოვანი.

... but from the introduction of file sharing, with Napster and generation of piracy that followed Napster, has had a devastating impact on the creative community. The fundamental part is that we have to cut off the unfair competition. If you're saying that a legitimate server has to pay for the content it's distributing and to compete against other sites, that don't have any costs, there are no royalties being paid, that can't possible grow the online market.

People say, why were the recording companies not smart enough to license Napster, as opposed to trying to sue them, but it happened for a very obvious reason: Napster didn't want to be licensed. It was not like the record companies were even faced with this question. I think there are clearly some things that looking back we wish the industry had done differently, but during that evolutionary stage, I think it is understandable how the industry responded.

These are companies, whose business model transformed overnight, from selling physical goods, to licensing the access to music, through digital platforms. We have large companies, who have obligations to their share holders to return value and even a decade later, every major content holder is still trying to figure out how do you return sufficient revenue on the content that delivered through digital platforms. So, I think it took time for the licensing environment to develop to a point where it was streamlined, when there was a greater ability to get a lot of different models out there that were fully licensed. Luckily today we have more than 500 licensed digital platforms. And if we get back to the question about future, people like to talk about what the future of music will be. I think it's silly, there is no single future of music ... future of music is going to be music available in an innumerable number of ways, streaming is going to be it, downloading is going to be it, it's going to have this remarkable diversity ... again, if we allow it



ჩვენ კი უნდა მოვახერხოთ, მუსიკა უკანონო კონკურენციისგან დავიცვათ.

ბობი: ერთ-ერთი მთავრი, რაც მინდა აღვნიშნო, ისაა, რომ საქართველოს მთავრობამ უნდა გააცნობიეროს, რომ ქართული მემკვიდრეობა, ქართული მუსიკა უბრალოდ შეწყვეტს არსებობას, თუ მას ხელშეწყობა არ ექნება. თუ მუსიკოსები მათი საუვარელი საქმით, მუსიკით თავის რჩენას ვერ მოახერხებენ, ისინი, უბრალოდ, სხვა რამით დაკავდებიან და ამ ქვეყანაში მუსიკა არსებობას შეწყვეტს. თუ მუსიკოსი, თუნდაც საავტორო უფლებების დარღვევის გამო, თავს ვერ ირჩენს, კულტურა გაქრება.

**ნილ, Apple-ს ასეთი კამპანია კი ჰქონდა "ჩამოტვირთე და ჩაწერე". ის კომპიუტერის შექმნის შემთხვევაში მომხმარებელს ასწავლიდა, თუ როგორ მოეპარა მუსიკა ადვილად. ახლა კი ბავშვებსაც და დიდებსაც სისულელედ მიაჩნიათ ფულის გადახდა იმაში, რისი მოპოვებაც უფასოდ შეიძლება. რა შეიძლება გაკეთდეს იმისთვის, რომ ხელახლა აღვზარდოთ და გადავამზადოთ საზოგადოება, რათა მან გააცნობიეროს - მუსიკის მოპარვა არა მხოლოდ უკანონოა, არამედ საზიანოცაა მრავალი მიზეზის გამო.**

ჩემი აზრით, რთულია რაიმე საჯარო კამპანიის წამოწყება, რომელიც საზოგადოებას ახრს შეაცვლევინებდა. ჩვენ ხშირად ვატარებთ ბაზრის კვლევას და საინტერესო ისაა, რომ ადამიანები, რომლებიც აღიარებენ, რომ მუსიკას იპარავენ, ასევე მხარს უჭერენ მთავრობას უკანონო ჩამოტვირთვების შემცირებაში. ამიტომ, მე ვთვლი, რომ ისევ მთავრობა უნდა გაუძღვეს საზოგადოებრივ კამპანიას და განავითაროს ისეთი პოლიტიკა, რომელშიც აისახება კულტურული პროდუქციის ეფექტურობის დაცვა-შენარჩუნების ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური ასპექტების მნიშვნელობა. ჩვენ შეგვიძლია მეკობრეობის სრულ მარგინალიზაციას მივალწიოთ, რათა ლეგიტიმურ ბაზარს უფრო ფართო გზა მიეცეს. ამის გაკეთება არც ისე რთულია.

to develop in a legitimate way, so that it's free from the unfair competition, then the future of music is diversity. Diversity in content, diversity in delivery, and I think that it's something that we should be engaged in and make sure comes into reality.

Bobby: One of the points I tried to address when I was in Georgia, is that the government should understand that their legacy, their music, that is endemic to those countries will really disappear. Because if the musicians realize, that they cannot make enough money to survive even on the most basic lifestyles, by doing what they love, by playing music, they'll end up taking up other jobs and music that comes from these countries will really disappear. If musicians cannot survive because of the copyright infringement, then there goes your culture.

**Neil, Apple computer had a Value Added marketing campaign called "rip and burn" which was saying to the consumers "if you buy an apple computer we will teach you how to download and steal the music easier." As we saw this progression of theft in music, we could have done something to change this lifestyle. Children and adults now, think that it is almost silly to pay for something if, in fact, you can get it for nothing. What can we do to retrain the public into the understanding that it is not only illegal, but harmful in many ways.**

I think it's pretty hard to think about a public campaign which is going to change the way that the public thinks. We do a lot of market research and many people that admit to illegal downloading nevertheless support government efforts to reduce it. So it is very interesting. I think it comes around to the key point that the governments need to lead and develop policies that reflect an understanding of the economic, cultural and political importance of maintaining the effectiveness in cultural production. You can marginalize the piracy in a way that it gives

საჭიროა მხოლოდ უფრო მასშტაბური კოოპერატიული ანგარიშვალდებულებების შემოღება.

**როგორია ამ მხრივ ამერიკული ბაზრის თავისებურება? ამას ორივეს გეკითხებით..**

ბობი კოლომბი: დარწმუნებული ვარ, რომ ამერიკამ შეცდომა დაუშვა, როცა ინერტული დამოკიდებულება გამოავლინა უკანონო ჩამოტვირთვების მიმართ. შესაბამისად ისინი დაზარალდნენ რათა თავიდანვე არ გამოიჩინეს სათანადო რეაქცია. საინფორმაციო გამოშვება, რომ დაწყებულიყო სიუჟეტით, სადაც უკანონო გადმოწერისთვის ექვმიტანილის მშობლების ინტერვიუ იქნებოდა: "ო, ღმერთო ჩემო, მე არ ვიცოდი, ჩემი შვილი თუ ქურდობდა" და მათი შვილების: "მე არ ვიცოდი, რომ ეს კანონდარღვევა იყო!" ეს იქნებოდა მომავალი უკანონო გადმოტვირთვების პრევენცია და თავიდან ავიცილებდით მეკობრეობის ეპიდემიას.

ნილ ტურკევიცი: ჩემი აზრით, მარკეტინგის საფუძველია ადამიანების დარწმუნება იმაში, თუ რა არის კარგი და მიმზიდველი და რა არა. ამგვარად, თუ აუხსნით, რაოდენ არასასურველია მოპარვა და აჩვენებთ ცნობილ ადამიანებს, რომლებიც ბავშვებს უყვართ და რომლებიც იტყვიან: "იცი რა, შენს ადგილას ამას არ გავაკეთებდი! მე პატივს ვცემ ამ მუსიკოსებს და მინდა მათ წარმატებას მიაღწიონ. მოპარვა ცუდია!" შედეგი მიღწეული იქნებოდა. ვფიქრობ, ასეთ კამპანიებს დიდი გავლენა ექნებოდა საზოგადოებაზე და ხელს შეუწყობდა ადამიანების გათვითცნობიერებას. ქართველებსაც იგივეს ვეტყოდი: საკუთარი მუსიკის მოპარვა იგივეა, რაც ეროვნული კულტურის განადგურება.

**ბობი, უნდა გაგრძელდეს თუ არა საქართველოს მთავრობის მიერ მაღალი პროფილის მუსიკოსების ჩამოყვანის დაფინანსება, როგორც ეს ადრე ხდებოდა? თქვენი აზრით, რამდენად ეხმარება ეს საქართველოს პოპულარიზებას**

way to the legitimate market and that's what you can do, it's not as difficult, you just need to introduce a broader cooperative accountability.

**I would like to ask both of you, what is the specificity of American market, in terms of this?**

Bobby Colomby: I believe, that one of the mistakes that was made in America, was its passivity with regards to illegal downloading. Had they prosecuted this activity from the beginning, there would have been a different outcome. Had there been news footage of police and FBI seizing computers out of households suspected of illegal downloading with parents being interviewed saying "Oh, my god, I didn't know my son was stealing" and their children saying "I didn't know I couldn't do this!" it would have mitigated the coming illegal downloading epidemic by creating a lasting impression making people think twice before stealing music.

Neil Turkewitz: I think in other countries, everywhere marketing is based on convincing people about what is cool and what isn't cool, so if you make it "uncool" to steal, and you have famous people, objects of affection for kids, come out and say, "Hey, I wouldn't do this. I respect these bands and I want them to succeed. It's not cool to steal" If those campaigns came out, I think it would have a tremendous impact. So I think, that it would be one way of reconditioning people in other countries, not to steal. I would try to explain the same thing to Georgian people - by stealing their own music, they are endangering it.

**Bobby, should Georgian government continue the practice of funding shows of high profile artists that have visited Georgia in recent years? Do you think these shows really help promote Georgia abroad as well as stimulate local economy and tourism industry?**

It's very simple, North Korea doesn't do any

## სახლვარგარეთ და ადგილობრივი ეკონომიკისა და ტურიზმის სტიმულირებას?

ყველაფერი ძალიან მარტივია. ჩრდილოეთ კორეა არაფერს აკეთებს, და შეხედეთ მათ შედეგებს. რაც უფრო მეტად აჩვენებთ ადამიანებს სახლვარგარეთიდან ჩამოყვანილ მუსიკოსებს და ადგილობრივი შემსრულებლებსაც, მით უფრო მეტ ეფექტს მიიღებთ. თუ საქართველოს მთავრობას დიდი მუსიკოსების ჩამოყვანის სახსრები გააჩნია, ეს თქვენს ჭვეჯანას საერთაშორისო ასპარეზზე, რასაკვირველია, უკეთ წარმოაჩენს. ბოლოდროინდელმა კონცერტებმა საქართველო გლობალურ კულტურულ გარემოში მოაქცია. საქართველოში ნამყოფი მუსიკოსები აჭაურობას სიყვარულით იხსენებენ.

მესმის, რომ მთავრობამ პირველ რიგში სიღარიბის პრობლემას უნდა მიხედოს, მაგრამ ეს კულტურის ხარჯზე არ უნდა მოხდეს. კულტურა და ტურიზმი ინვესტიციების მოზიდვას და ასევე, ადგილობრივი კულტურის ზრდას უწყობს ხელს.

of that and look at where they are. More you show people and not just bringing international talent but exposing local musicians with foreign artists and encouraging collaboration is better. If they can afford to bring major artists it makes Georgia really look good internationally. Recent shows have made Georgia become a player in the global cultural landscape. The artists who have visited Georgia loved being there and continue to talk about their experiences there. I'm sorry to see that the new government is reconsidering the construction of cultural centers and funding of events.

I understand that the government needs to address issue of poverty but that can't be done at the expense of the culture. Those centers and events attract tourism, investments and increase international profile of the Georgian culture.



# პორტრეტი

## THE PORTRAIT



ირაკლი ფარჯანი / Irakli Parjani

## ანდერძი შვილებს Testament for the Children

ძალიან მტკივნეულია, როდესაც ახლობელი ადამიანი ნაადრევად მიდის ამ ქვეყნიდან. მეორე მხრივ, არსებობენ ადამიანები (რჩეულები უმეტესწილად), რომელნიც, თითქოს, არ უნდა დაბერებულიყვნენ. მათი სული ფიზიკურ დაბერებას ვერ აიტანდა.

"იმ ხელოვანთაგან, რომელნიც ადრე მიდიან, ალბათ, განგება მარად ახალგაზრდულ სიხალასეს მოითხოვს. მათ შემოქმედებას, მათ ქმნილებებს დალლილობის ნიშანწყალიც კი არ ეტყობა. საქართველოში, ამ ჩვენს პატარა ქვეყანაში, ალბათ, პოეზიის ახალგაზრდული მარადიულობა მაინც ნიკოლოზ ბარათაშვილი გახლდათ, მხატვრობაში კი ირაკლი ფარჯიანი - ჩემი უფროსი ძმა, საყვარელი მეგობარი და დიდი მხატვარი" (გია ბუღაძე).



It is very painful when a person you love passes away. On the other hand, there are people (the chosen ones), who are not meant to growing old. Their soul would never bear physical aging.

"Fate must be asking an eternal purity of those artists, who leave us so untimely. Their art, their creations never bear a sign of weariness. In Georgia, our small country, the eternal youth of poetry is represented by Nikoloz Baratashvili, while in pictorial art, it is reflected by Irakli Parjiani – my older brother, beloved friend and great painter." (Gia Bughadze)





ირაკლი ფარჯიანმა სულ 41 წელი დაჰყო დედამიწაზე. გარდაიცვალა 1991 წლის დეკემბერში. სწორედ მაშინ როდესაც ქვემეხები ქუხდნენ თბილისში და ინფანტილურ-ირაციონალური ერი ცრუ ბელადების ახალ მისტერიაში მონაწილეობდა. საინტერესოა რას ფიქრობდა ამ დროს მომაკვდავი ირაკლი ფარჯიანი? იწვა იგი სიკვდილის სარეცელზე, ქრისტეშობის თვესა, და ამა სოფლიდან განსვლამდე ჯერაც ჩაესმოდა ცოდვილიანთა ვაკხის ხმები. რუსთაველზე იწვოდა მხატვრის სახლი... იწვოდა ფიროსმანის ჟირაფი და ქართველთ ზოდიაქი-ლომი-მზე. იწვოდნენ ლადოს ნიამორები, რუსთაველი-ამოგდებულ თვალთა ცარიელი უბეები". (თენგიზ ვერულავა)

მეუღლე ასმათი, შვილები ბექა და სოფო - ირაკლი ფარჯიანის ამქვეყნიური განძი. მახსენდება "საბავშვო ბიბლიის" ფარჯიანისეული ილუსტრაციები, სადაც უდიდესი სულიერი მუხტი და სისადავეა. მხატვრული ენა - ერთდროულად ნატიფი და იოლად გასაგები. ალბათ შთაგონების წყარო საკუთარი შვილებიც იყვნენ..

**გვესაუბრება მხატვარ ირაკლი ფარჯიანის ქალიშვილი სოფო ფარჯიანი. მხატვარი, გრაფიკოსი, დიზაინერი**

**გვიამბეთ თქვენი გვარის და არსებული ტრადიციების შესახებ, რამდენადაც ვიცით, ის ხატწერას უკავშირდება..**

არა, ხატწერასთან ჩვენს გვარს კავშირი არ აქვს, თუმცა ჩვენმა წინაპრებმა სახარების ოთხთავი გადაწერეს და დაასურათეს.

**ხომ არ უკავშირდება "ჯვარცმა", როგორც თემა მამის შემოქმედებაში რაიმე არარელიგიურ კონტექსტსაც? გგულისხმობ რაიმე პირადულს, ყოფითს...**

არამგონია, ირაკლისთვის ჯვარცმას არარელიგიური დატვირთვა ჰქონოდა. ირაკლი ძალიან ღრმა და მორწმუნე შემოქმედი იყო, მისთვის სახარება მუდმივ საზრდოს და საფიქრელ მასალას წარმოადგენდა. ამიტომ ნებისმიერი სიუჟეტი, თუნდაც იგივე ჯვარცმა, ხარება და სხვა მრავალი, ყოველთვის პირდაპირ რწმენას და ამ თემის საკუთარ შინაგან გააზრებას უკავშირდებოდა.

Irakli Pardjiani spent 41 years among us. He passed away in December 1991. It happened when the cannon fire roared in Tbilisi and our nation driven by infantilism and irrationality took part in a new mystery planned by some pseudo leaders. It is interesting, what Irakli Parjiani was thinking on his deathbed? "He was lying on his deathbed on a December day. The Artist house was burning on Rustaveli Street ... Pirosmani's giraffe was burning, as well as the Georgian Zodiac – lion-sun, Lado's Niamors, Rustaveli – dark cavities of the eyes that were taken." (Tengiz Verulava)

Wife Asmat, children Beka and Sopho – Irakli Parjiani's earthly treasures. I remember his illustrations of Children's Bible. There is enormous spiritual charge and simplicity. Artistic language, delicate and easy to understand at the same time. Perhaps his children were his inspiration.

**Conversation with Irakli Pardjiani's daughter Sopho Pardjiani, painter and graphic designer.**

**Could you please tell us about your lineage and traditions, connected to the iconography?**


No, our lineage has nothing to do with iconography, but our ancestors rewrote the Four Gospels and illustrated them.

**Is the theme of Crucifixion in your father's art, connected to something personal, rather than religious?**

I don't think that there was any non religious meaning in the Crucifixion for Irakli. He was profoundly religious and Gospel was a constant source of his thought, it was his soul food. This is why any scene from Bible including Crucifixion, Annunciation and others is always directly connected to his faith and the inner realization of it.

**Your father illustrated fairy tales. Did he ever tell you any fairy tales?**







**მამას აქვს შექმნილი "ზღაპრების" ილუსტრაციები. ზღაპრებს თუ გიყვებოდათ?**

კი, მიყვებოდა. ხანდახან ნამდვილ ზღაპრებს, ხანდახან იგონებდა რაიმეს თავად.

**გამსგავსებენ მამას? მამა-შვილს შორის უოველთვის არსებობს მისტიკური კავშირი? თუ გესიზმრებათ მამა?**

ძალიან ხშირად მესიზმრება და ჩვენი კავშირი არასდროს გაწყვეტილა. ის უოველთვის გვერდითაა, ამას უოველთვის ვგრძნობდი. გარეგნულად კი ძალიან გამსგავსებენ.

**თან თუ გაქვთ მამის ნახატები? და თუ კი, რომელი?**

არა, აქ, ესპანეთში ირაკლის ნამუშევრები არ მაქვს. ისინი საქართველოშია და საიმედოდაა დაცული.

**თქვენი კარიერა როგორ აწყო?**

მეორე წელიწადია, რაც საქართველოდან წამოვედი, მაგრამ მიხარია, რომ შემიძლია ვთქვა, რომ პროფესიული კარიერის მხრივ ძალიან გამომართლა.

**შეგიძლიათ რაიმე მხიარული ისტორია გაიხსენოთ მამასთან დაკავშირებით?**

მხიარული ისტორიები ბევრია. ერთ-ერთი მახსენდება, ყველაზე სასაცილო. პატარა გრაფიკებს როცა ხატავდა, ირაკლი მათ იატაკზე გასაშრობად აწყობდა. მე მაშინ დაახლოებით შვიდი წლის ვიქნებოდი და რატომღაც გადავწყვიტე, რომ ეს ნახატები აღარ სჭირდებოდა და იატაკზე გაშლილი ათი ნახატი ჩემი ნახატებით გადავუხატე. იმ დროს მოვიდნენ სტუმრები, ირაკლიმ, ახალ გრაფიკებს დაგათვალიერებინებთო და ალბათ, არ გაგიჭირდებათ იმის წარმოდგენა, რა დაემართა, ათი გადაჯღაბნილი ნახატი რომ დახვდა იატაკზე. როგორც უოველთვის, საოცარი ბუნების მქონე ადამიანმა, ერთი საყვედურიც არ მითხრა. პირიქით, ძალიან ბევრი ვიცინეთ. ასეთი ისტორიები ბევრია. არასოდეს ბრაზდებოდა და უოველთვის ღიმილიანი, თავის შემოქმედებაში იყო ჩაფლული.

Yes, he did. Sometimes, he told me real fairy tales, sometimes he invented them himself.

**Do people tell you that you resemble your father? Is there really a mystical connection between the two of you? Do you ever dream of him?**

I often dream of him and the connection between us was never broken. He is always with me. I always feel it. They also say that I resemble him physically.

**Do you have your father's paintings with you? If yes, which ones?**

No, I have none of Irakli's works here in Spain. They are well preserved in Georgia.

**How is your career going?**

I left Georgia almost two years ago, but I'm glad, that I can say that I really succeeded in terms of my professional career.

**Can you think of any funny story related to your father?**

There are many stories like that. One of them, the funniest is when Irakli painted small graphics, he used to spread them on the floor to dry. I was about seven years old then and I somehow decided that he did not need those paintings anymore, so I took and repainted about 10 paintings of his. At that moment, some guests arrived and Irakli decided to show them his new graphics. You can imagine what his reaction was when he saw ten ruined paintings on the floor. Although, being a man of extraordinary nature, he did not reprimand me a slightest bit. We laughed a lot over the whole thing. There are many stories like this. He was never angry and always smiling and immersed in his art.

# სუბიექტიური სივრცე

## THE SUBJECTIVE SPACE



დათო კოიავა / არქიტექტორი, ინტერიერის დიზაინერი  
Dato Koiava / Architect, Interior designer

# საუკეთესო არქიტექტორების ხუთი დავით ქოიავას

The Best Architects Top Five by David Koiava

მსოფლიოში უამრავი ნაგებობა არსებობს, რომელიც, შესაძლოა, მოგწონდეს, მაგრამ თითოეული მათგანის არქიტექტორის წარმოდგენა და გაცნობა შეუძლებელია. ჩემს მიერ შერჩეული არქიტექტორები დღევანდელი დღის ჩათვლით თანამედროვე, მომავლის არქიტექტურას ქმნიან და თითოეული მათგანი გამოირჩევა ნოვატორული და რევოლუციური იდეებით, რომლებიც ახალ ესთეტიკას და ცხოვრების ახალ წესს აყალიბებენ..

All over the world, there are numerous buildings, which you may like, but it is impossible to get to know the architects who designed all of them. The architects I chose are creating the architecture of future. Each of them stands out with their innovative and revolutionary ideas, which help create new aesthetics and lifestyles.






Multi-Media Building for City University of Hong Kong



Royal Ontario Museum, Toronto, Canada

**დანიელ ლიბესკინდი**  
**ამერიკელი არქიტექტორი**

დანიელ ლიბესკინდის დეკონსტრუქტივისტული არქიტექტურული შემოქმედებისთვის დამახასიათებელია ურბანულ სივრცეში ხაზგასმული "აგრესიის" შეტანა. აგრესიულობა მოულოდნელი და არასტანდარტული არქიტექტურული ფორმებითაა გამოსახული; თუმცა ეს ფორმები არავითარ შემთხვევაში არ სცილდება ესთეტიურობის საზღვრებს. მისი ყველა ნამუშევარი ინჟინრული და თანამედროვე სამშენებლო ტექნოლოგიის შედეგია, ემოციურად წარმოუდგენელია, გადმოსცე გრძობა, რომელიც გეუფლება საყოველთაოდ დამკვიდრებულ სტანდარტულ ურბანულ გარემოში მსგავსი არქიტექტურული ფორმების გამოჩენისას.



**Daniel Libeskind**  
**American architect**

Daniel Libeskind is one of the architects whose deconstructivist art is characterized by introducing an underlined "aggression" into the urban space. This aggression is portrayed by means of unexpected and non-standard architectural shapes. But these shapes, never leave the boundaries of aestheticism. All of his works are masterpieces of modern engineering and building technologies. Emotionally, it is impossible to express the feeling that you get by encountering this sort of architectural forms in a very conventional standard urban environment.



**პეტერ ცუმბტორი**  
**შვეიცარიელი არქიტექტორი**

ცუმბტორი ახალგაზრდობაში რამდენიმე წელი მუშაობდა შეგირდად ავეჯის სახელოსნოში. იგი ასევე ბევრს მუშაობდა არქიტექტორად რესტავრაციის პროექტებში და საბოლოოდ, ახალგაზრდა წლების ამ გამოცდილებამ ჩამოაყალიბა არქიტექტორად, რომელიც განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს ტრადიციული სამშენებლო მასალების მიმართ და მაქსიმალურად სათუთად ეპყრობა ბუნებრივ რელიეფს. ამის ნიმუშია ცხელ ბუნებრივ წყლებზე აშენებული სასტუმრო გრაუბინდენში (შვეიცარია), სადაც არქიტექტორმა მშენებლობისას ადგილობრივი ბუნებრივი ქვები გამოიყენა, რაც კიდევ უფრო აძლიერებს შენობის არსებულ გარემოსთან ჰარმონიული შერწყმის განცდას. პეტერ ცუმბტორის შემოქმედებითი პრინციპები განსაკუთრებით აქტუალური გახდა ბოლო წლების ფინანსური კრიზისის პერიოდში, როდესაც მშენებლობებში მსხვილი კაპიტალდაბანდებები შემცირდა. განსხვავებით სხვა ცნობილი არქიტექტორებისგან, ის იღწვის არაძვირადღირებული მინიმალისტური თანამედროვე არქიტექტურის შესაქმნელად.



**Peter Zumthor**  
**Swiss architect**

As a young man, Zumthor apprenticed as a carpenter in furniture workshop, as an architect he worked mu est towards traditional building materials and is utterly careful with relief. An example of the abovementioned style is hotel in Graub-nden (Switzerland), built on natural thermal waters, where he used local stones in order to make the building merge more with the local environment. His work principles became even more important in the face of the recent economic crisis, whenbuilding investments have been significantly reduced. Unlike other architects, Zumthor is working towards cheaper but at the same time, modern and minimalistic architecture.



Peter Zumthor, Kolumba Art Museum, Cologne





Renzo Piano, Shard of Glass, London

### რენცო პიანო იტალიელი არქიტექტორი

რენცო პიანო გამორჩეულია იმით, რომ ის არ არის ერთი კონკრეტული სტილის მიმდევარი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თავისი არქიტექტურით ითვლება "ჭაითექის", როგორც სტილის, ერთ-ერთ დამაარსებლად. თავის პროექტებში პიანო უმეტესად სივრცის გადაწყვეტის "რევოლუციურ" მეთოდს მიმართავს, რაც გამოიხატება კონტრასტულობაში არსებულ გარემოსთან და ცნობილი ჯორჯ პომპიდუს ცენტრი პარიზში ამის თვალსაჩინო ნიმუშია. ძველ პარიზულ უბანში ამ თითქოს გაშიშვლებული ტექნოლოგიური შენობის გაჩენამ საზოგადოებაში დიდი პროტესტი გამოიწვია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს არქიტექტურული ქმნილება თანამედროვე არქიტექტურის შედევრად და შერაცხული. პიანოს ყველა პროექტში იგრძნობა მისი, როგორც რადიკალური გადაწყვეტილების მიმღების, ნოვატორის და თვითდაჯერებული არქიტექტორის ხასიათი.



Renzo Piano, Centre Georges Pompidou Paris



Renzo Piano, Jean Marie Tjibaou Cultural Center, Noumea, New Calenodia

### Renzo Piano Italian architect

The architecture of Renzo Piano is special because he does not follow any particular style, despite the fact that he is one of the founders of the "high tech" style. In his projects, Piano mostly applies the "revolutionary" method of space management, which is expressed in him constantly contrasting the existing environment. An example of Piano's work is Centre Georges Pompidou in Paris. When this seemingly naked technological building emerged in the old Paris, it caused huge outcry of the Parisian society. Despite this protest, the building has been recognized as one of the masterpieces of modern architecture. In all of Piano's projects, one can feel the architect's self-assured, innovative and radical character.





Richard Rogers, Lloyd's building London



Richard Rogers, Lloyd's Register of Shipping (LRS), London



Richard Rogers, Antwerp Law Courts, Belgium

**რიჩარდ როჯერსი  
ინგლისელი არქიტექტორი**

რიჩარდ როჯერსი თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი არქიტექტორია, რომელიც თავისი შემოქმედებით რადიკალურად ცვლის არა მარტო გარემოს, არამედ ცხოვრების წესსაც. როჯერსის შემოქმედება მიმართულია ქალაქის სტრუქტურის ძირეული შეცვლისკენ. კონცეფცია, რომელსაც როჯერსმა "გლობალური დიზაინი" უწოდა, გულისხმობს შენობების მრავალფუნქციურობას, ქალაქის დაუოფას არასაოფისე, საცხოვრებელ ან ერთი კონკრეტული საქმიანობის იზოლირებულ ზონებად, არამედ მათ მოქცევას ერთი საერთო "ჭერის" ქვეშ, მათი მუდმივი ტრანსფორმაციის და მოდერნიზაციის მიზნით. აქედან გამომდინარე, როჯერსის არქიტექტურა მუდმივი დინამიურობის შეგრძნებას იწვევს - იქნება ეს რენცო პიანოსთან ერთად შესრულებული ჯორჯ პომპიდუს ცენტრი პარიზში, ლოიდს ბანკი ლონდონში თუ ბარახას აეროპორტი მადრიდში.

**Richard Rogers  
English architect**

Richard Rogers is one of the biggest architects, who radically change the environment and lifestyle. His work aims at eventually changing the city structure. The concept that Rogers calls "global design" entails multifunctional buildings, division of the city not into office and residential areas, but putting all of them under the same "roof" in order to make them transform and modernize incessantly. His architecture causes the feeling of constant dynamic, whether it is Centre Georges Pompidou (built in collaboration with Renzo Piano), Lloyd Bank in London, or Barajas airport in Madrid.



Santiago Calatrava, Puente De La Mujer, Buenos Aires



Santiago Calatrava, Puente De La Mujer, Buenos Aires



Lyon Airport Station, France



Valencia Opera House, Spain

## სანტიაგო კალატრავა ესპანელი არქიტექტორი

კალატრავას შემოქმედებას საფუძვლად უდევს დაკვირვება ბუნებაზე და მისი მუდმივი კვლევა. ბუნებაში მის მიერ აღმოჩენილი ფორმა და ტექნიკური გადაწყვეტა საფუძვლად უდევს მთელ მის შემოქმედებას, რისი გამოხატულებაცაა მაგალითად, ფრინველის სტრუქტურა, რაც არქიტექტორმა ლიონის აეროპორტის და ვალენსიის ოპერის ნაგებობებში გამოიყენა. კალატრავას არქიტექტურა ფანტასტიკური უარის ნაწარმოებებში წარმოდგენილს თუ ფილმებში ნანახს ჰგავს, მაგრამ განსხვავებით ჰოლივუდის სცენარისტებისა და მხატვრებისგან, ის ამ წარმოსახვას რეალობად აქცევს და ამასთან, შენობის ყოველი დეტალი ინდივიდუალურია და ხელოვნების ნიმუშად წარმოგვიდგება.

## Santiago Calatrava Spanish architect

Calatrava's work has its roots in observation of the nature and its constant research. In nature the shape and technical solutions that Calatrava discovers, become the base of his whole work, for instance the bird structure, which is used in Lyon airport and Valencia Opera House. His architecture reminds us of something seen in fantasy books or films, but unlike Hollywood screenwriters, he transforms the imaginary into reality and any detail of the building is individual and represents a piece of art.



# ანი, რომორ ბანონიყურება ბობი ზიზინაძის საყვარელი ოპერების "ტოპ ათეული"

This Is What Gogi Chichinadze's Opera Top 10 Looks Like



გოგი ჭიჭინაძე / Gogi Chichinadze



დონ ჯოვანი / Don Giovanni



ფიგაროს ქორწინება / The Marriage of Figaro



ჯადოსნური ფლეიტა / Magic Flute

### "ფიგაროს ქორწინება", "დონ ჯოვანი" და "ჯადოსნური ფლეიტა"

ვოლფგანგ ამადეუს მოცარტის სამი შედევრი. მიუვარს იმიტომ, რომ მათი არსივარული უბრალოდ შეუძლებელია: "ფიგარო"- უნიკალური ლიბრეტოს და სრულყოფილი მუსიკალური ფორმის, "დონ ჯოვანი" - კომიკური და დრამატული საწყისების თავბრუდამხვევი მონაცვლეობის, "ჯადოსნური ფლეიტა" კი - უმდიდრესი და უშრეტეი მუსიკალური ნაკადის გამო..

### The Marriage of Figaro, Don Giovanni and The Magic Flute

Three masterpieces by Wolfgang Amadeus Mozart. I love them, because it is impossible not to. Take for instance, Figaro with its unique libretto and perfect musical forms and Don Giovanni - vertiginous succession of comic and dramatic tunes and, at last, The Magic Flute - with its rich and inexhaustible musical flow.





დონ პასკუალე / Don Pasquale



ევგენი ონეგინი / Eugene Onegin

**გაეტანო დონიცეტის "დონ პასკუალე"**

ეს სახელგანთქმული კომიკური ოპერა, შეიძლება, არც მოხვედრილიყო ამ ჩამონათვალში, თუ არა ის ფაქტი, რომ ეს ჩემს მიერ დადგმული პირველი ოპერაა და ამიტომაც მის მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება მაქვს.

**პეტრე ჩაიკოვსკის "ევგენი ონეგინი"**

ერთ-ერთი უდახვეწილესი და ამიტომაც ურთულესი (დასადგმელად და შესასრულებლად) ოპერა მუსიკის ისტორიაში.

**Don Pasquale by Gaetano Donizetti**

A rich comic opera, which could have been left outside this top ten, if not for the fact that this was the first opera that I ever staged. I must confess, this makes my attitude towards it very special.

**Eugene Onegin by Pyotr Tchaikovsky**

one of the most delicate and thus complicated (to stage and perform) operas in the history of music.





ბალ-მასკარადი / A Masked Ball



აიდა / Aida

### ჯუზეპე ვერდის "ბალ-მასკარადი"

ალბათ, მეორე მოქმედების, რიკარდოსა და ამელიას სასიყვარულო სცენისა და დუეტის გამო მიუვარს... ასეთი ჯადოსნური ვნება, ჩემი აზრით, მთელ ვერდიში არ მოინახება.

### A Masked Ball by Giuseppe Verdi

I think I love that opera because of Ricardo and Amelia's love scene and duet in the second act. Such passion can hardly be found even in Wagner's work.

### ჯუზეპე ვერდის "აიდა"

გამაოგნებელი, მონუმენტური მშვენიერების მუსიკალური ძეგლია და უბედური ამნერისი ჩემი უსაყვარლესი საოპერო სახეა ჯალისა.

### Aida by Giuseppe Verdi

Masterpiece of astonishing, monumental and beautiful music. Miserable Anmeris is my favorite archetype of a woman in opera.



მანონ ლესკო / Manon Lescaut



ლოენგრინი / Lohengrin



ლოენგრინი / Lohengrin

### ჯაკომო პუჩინის "მანონ ლესკო"

პუჩინის ბევრად უფრო სრულყოფილი ოპერები შეუქმნია ("ტოსკა", "ჩიო ჩიო სანი", "ტურანდოტი"), მაგრამ "მანონ ლესკო" ჩემი "სისუსტეა". ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული და უიმედო სიყვარულის ისტორია ისეთი ძალით არის განხორციელებული მუსიკაში, რომ, ლამისაა, გული გაგისკდეს.

### რიჰარდ ვაგნერის "ლოენგრინი"

ჩემთვის ყველაზე იდუმალი, ჰარმონიული, დახვეწილი და "დაბალანსებული" ქმნილებაა ამ კომპოზიტორის შემოქმედებაში.

### Manon Lescaut by Giacomo Puccini

Puccini has other more delicate, almost perfect operas (Tosca, Cio-cio San, Turandot), but Manon Lescaut is my "weakness". It is one of the most tragic, hopeless love stories, which is expressed in music with such power, that it makes your heart burst.

### Lohengrin by Richard Wagner

For me this is the most mysterious, harmonious, refined, "balanced" creation in author's work.





### ბიზეს "კარმენი"

ეს შედეგრი მსოფლიოში უსაყვარლეს ოპერად ითვლება. ჰოდა, მე არ ვთვლი ჩემს თავს იმდენად ექსცენტრულ ადამიანად, რომ მსოფლიო ხელოვნების ეს მარგალიტი ჩემს "ტოპ ათეულში" არ შევიყვანო.

### Carmen by Bizet

This masterpiece is considered to be the most beloved opera around the world and I do not believe I am so eccentric, to claim that this pearl of music does not deserve to be on my chart.





# პრობლემატიკა

## PROBLEMS



გვესაუბრება Creative Education Studio-ს (CES) დამფუძნებელი, პიანისტი, დიჯეი და ელექტრონული მუსიკის შემქმნელი ნათია, იგივე ნასტია, სტია სართანია - ჭიტუაშვილი

Conversation with CES founder, pianist, DJ and electronic music composer, Natia - Nastia, Stia Sartania - Kituashvili.



# სტიანს ცხოვრების საუნდთრეკი

## Stia's Life Soundtrack

ჩემი მუსიკალური ფსევდონიმია სტია, რადიოში კი - ნასტია. შეიძლება ითქვას, რომ სახელები ჩემს სამუშაო პროფილთან ერთად იცვლებოდა. ბავშვობიდან, ხუთი წლიდან ვუკრავ ფორტეპიანოზე. ვსწავლობდი ათწლედში, შემდეგ კონსერვატორიაში ჩავაბარე. წავედი ლონდონში სასწავლებლად, სადაც თექვსმეტი წელი ვცხოვრობდი. ვფიქრობ, საკმაოდ კარგი პიანისტი ვიყავი.

ზაფხულობით საქართველოში ჩამოვდიოდი დასასვენებლად და ვმუშაობდი რადიოსა და კლუბებში, როგორც დიჯეი. ეს იყო 1995-2001 წლები, როდესაც "პირველი რადიო" ახლად გახსნილი იყო. საკლუბო ცხოვრებაც თბილისში მაშინ იდგამდა ფეხს. გაიხსნა კლუბები "ყაზბეგი", "ოსკარი", მერე სასტუმრო "მეტეხშიც" გახსენით ჩვენი კლუბი. როდესაც ოჯახი შევქმენი და შვილი გავაჩინე, ფორტეპიანოს თავი დავანებე. ჩემი ცხოვრება ძალიან შეიცვალა. დღეში ექვს საათს ვერ დავჯდებოდი ინსტრუმენტთან. მადლობა ღმერთს, ამ პერიოდისთვის უკვე არსებობდა ელექტრონული მუსიკა და მეც ჩემი მუსიკის კეთება დავიწყე. ღამით, საძინებელში, როდესაც ბავშვს ეძინა, მე მუსიკას ვწერდი. ალბათ ეს უფრო კლასიკური და ელექტრონული მუსიკის სინთეზი იყო და არის კიდევ. 2005 წელს დავბრუნდი თბილისში და სწორედ მაგ პერიოდში ჩამოყალიბდა სტია - ჩემი, როგორც ელექტრონული მუსიკოსის, სახე.

My musical alias is Stia, while on the radio I call myself - Nastia. As you can see, my names change with the different work profiles. I started playing piano when I was 5 years old. I graduated from the ten year musical school and then continued my education at the Conservatory. I went to London to study, and stayed there for 15 years. I believe I was quite a good piano player.

In summertime, I used to visit Georgia and I worked on different radios and clubs as a DJ. This was between 1995 - 2001, when Radio 1 had just opened. Club life was also just emerging. Kazbegi, Oscar, then Hotel Metekhi was where we opened our own clubs. When I got married and gave birth to my child, I quit playing piano. My life changed a lot. I could not afford to spend 6 hours a day in front of the instrument anymore. Thank God, that the electronic music already existed and I started making my own music. At night, in the bedroom, when my child was asleep, I wrote music. I think it is more like a mix of classic and electronic music. In 2005, I came back to Tbilisi and this was when Stia formed like my electronic music alter ego.

თბილისში ელექტრონული მუსიკა უკვე საკმაოდ იყო განვითარებული, რისი მაგალითიც იყო "გოსლაბი" - არტისტების გაერთიანება, სადაც შედიოდნენ გოგი ძოდუაშვილი, ნიკა მაჩაიძე და ტუსია ბერიძე. ქართული ელექტრონული მუსიკის სახე იმთავითვე მათ განსაზღვრეს. პარადოქსია, მაგრამ ჩაბნელებულ საქართველოში ეს ადამიანები ელექტრონულ მუსიკას ქმნიდნენ. ამ მხრივ ჩვენ დასავლეთს ნამდვილად არ ჩამოვრჩებოდით. ეს მაინც ტექნოლოგიების განვითარებამ მოიტანა.

ადრე ჩვენ ბევრად უფრო ჩაკეტილები ვიყავით ყველა სფეროში, არა მხოლოდ მუსიკაში. მგონი, მამაჩემი ყველაზე დიდი "ბიტლომანი" იყო დედამიწის ზურგზე, წლების მანძილზე უსმენდა მათ მუსიკას და მხოლოდ კარგა ხნის მერე ნახა ტელევიზიით, თუ როგორ გამოიყურებოდა მისი საყვარელი ჯგუფი ცოცხლად და როგორც დედა ყვებოდა, ცრემლები ვერ შეიკავა. დღეს არსებობს ინტერნეტი და ყველაფერი ხელმისაწვდომია. არსებობს უამრავი არტისტი, რომლებიც ინტერნეტის საშუალებით ახერხებენ თავიანთი მუსიკის გაყიდვას, გაზიარებას. პრობლემა სხვა რამეა, არ არსებობს საკმარისი ადგილები, სადაც ამ მუსიკას დაუკრავ. მსმენელიც არაა ბევრი. პოპისა და როკისგან განსხვავებით, ამ მხრივ არცთუ სახარბიელო მდგომარეობაა.

ელექტრონული მუსიკის ფენომენის ახსნა ძალიან მარტივია. იგი იმთავითვე ტექნოლოგიებს უკავშირდება. ყველაფერს ხომ საკუთარი ხმა აქვს და ჩვენ შეგვიძლია, ეს ტექნოლოგიურად დავაფიქსიროთ. რაც შეეხება სწავლების გამოცდილებას და კულტურას, ეს ჩვენს ქვეყანაში აბსოლუტურად არ არსებობდა. არ იყო ადგილი, სადაც დაინტერესებული ადამიანი სპეციალურ ცოდნას მიიღებდა, როგორც ეს ნებისმიერ დასავლურ ქვეყანაში ხდება. რეალურად აქ ძალიან ცოტა პროფესიონალი გვყავს. მე არ ვარ ე.წ. "საქმიანი ქალი" და ამდენად, CES-ის (Creative Education Studio) ჩამოყალიბება, უბრალოდ, აუცილებლობამ გამოიწვია. მე თავად შევეჯახე საქართველოში პროფესიონალების არარსებობის პრობლემას. მახსოვს, ლონდონიდან რომ დავბრუნდი და ჩემი მუსიკის პარტიტურის გაკეთება

By the time I came back, the electronic music was already well developed in Tbilisi. For instance, there was Golbas Artist Union, which included Gogi Dzodzuashvili, Nika Machaidze, Tusia Beridze. They were the ones who defined the face of the Georgian electronic music from the start. It is a paradox, but in the dark Georgia, they managed to create electronic music. We were quite in line with the West in this field. This was something that the technological developments brought about.

Before, we used to live in vacuum, not only in terms of music, but also in every other sphere. My father was the biggest "beatloman" on earth, he listened to Beatles for many many years and only much later did he get a chance to see what they actually looked like, on TV. My mother told me that he cried. Today, we have internet and everything is accessible. There are numerous artists, who sign delas with labels through internet, and they manage to sell their music and share it. There is a different problem - lack of spaces where you can play your music. There are not many listeners either, although unlike pop and rock music, the situation is much better.

It is easy to explain the phenomenon of electronic music. It is connected to the technologies. Everything has its own voice and we can show it it by means of technology. As for the teaching experience and culture, it simply did not exist in our country. Unlike the Western countries, there was no space where an interested person could receive specific knowledge. In fact, we have very few professionals. I am not a business person, and the fact that I founded CES (Creative Education Studio), was simply defined by necessity. I myself faced the problem of us not having professionals. I remember, when I came back from London, I needed to make sheet music for my tracks and I went to the Conservatory. I couldn't find anyone to do that for me. This was when I really saw how much the classical



დამჭირდა, კონსერვატორიაში შესაბამისი ადამიანი ვერ ვიპოვე. გავოცდი იმის აღმოჩენით, თუ რამდენად დაცილებული იყო ერთმანეთისგან კლასიკური განათლება და ახალი ტექნოლოგიები. უფრო მეტიც, ელექტრონული მუსიკის მიმართ არასერიოზული, აგდებული დამოკიდებულებაც კი ვიგრძენი. კლასიკური განათლების მქონე მუსიკოსი მხოლოდ ტონებით და ნახევარტონებით აპელირებს. ელექტრონულ მუსიკაში კი ნახევარტონებსა და ტონებს შორის კიდევ არსებობს ბგერები. ეს ცოტა განსხვავებული მუსიკალური ენაა, აქ ამ განსხვავებულ ბგერებს "ჰერცები" ეწოდებათ. მუსიკოსებს შორის კომუნიკაცია იმდენად არ არსებობდა, რომ ამ პრობლემამ შთაგვაგონა, სტუდია შეგვექმნა. ჩვენი სასწავლო პროგრამის ბირთვი ამჟამად ხმის ინჟინერიაა. ვცდილობთ, დაინტერესებულმა პირებმა გაიარონ მუსიკის თეორიის საფუძვლების კურსი, რაც

knowledge is necessary as well as the new technologies. In addition, I faced a great deal of derisive attitude towards my electronic music. In reality, if you have classical education you only move between tones and halftones. In electronic music, between tones and halftones there are many other sounds. It is a different musical language. We call them "hertzes". The communication between musicians was so nonexistent, that it became the inspiration for my studio. The nuclear part of our teaching program currently is sound engineering. But we also try to help our students undergo the course in musical theory, which is very important. You need to know everything in order to become a professional and not be marginalized from the processes. Many DJ's and producers are attending this theoretical course.



მუსიკოსისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მან ყველაფერი უნდა იცოდეს, რომ იქოს წელში გამართული პროფესიონალი და არ იქოს პროცესებისგან გარიყული. მუსიკის თეორიის საფუძვლებს ბევრი დიჯეი და პროდიუსერიც ესწრება..

პრინციპში, ჩვენს სტუდენტებს ალტერნატივა არც აქვთ. სხვაგან მსგავსი პროგრამები თითქმის არც არსებობს. ძალიან მიხარია, რომ ჩვენი ყველაზე ახალგაზრდა სტუდენტი 19 წლისაა, ყველაზე უფროსი კი - 50 წლის.

არის თუ არა ელექტრონული მუსიკა კავშირში ფსიქოდელიურ პრაქტიკასთან? ეს ძალიან ინდივიდუალურია. მე პირადად მაგ ასაკიდან

I think our students don't really have any other alternative. There are no such programs in this country.

I am also very glad that the youngest student we have is 19 years old and the oldest one is 50 years old.

You asked if the electronic music is connected to the psychodelich practice. It is a very individual matter. Personally, I have overcome that stage long time ago. My answer would be yes and no at the same time. When I attended clubs in London, I only drank water. My God was and remains - the dance.





დიდი ხნის წინ გამოვედი. ჩემი პასუხი უფრო იქნება "კი" და "არა" ერთდროულად. როცა ლონდონში კლუბებში დავდიოდი, მხოლოდ წყალს ვსვამდი. ჩემი ღმერთი იყო და რჩება - ცეკვა.

არ მიყვარს საქართველოზე ნეგატიურ კონტექსტში საუბარი, როდესაც მას სხვა ქვეყნებს ადარებენ. ჩვენ შეიძლება ნაკლებად გახსნილები ვართ, მაგრამ ეს არც ცალსახად ცუდია და არც ცალსახად კარგი. შესაძლოა, ეს მენტალიტეტით, რელიგიით იყოს განპირობებული, ან თუნდაც კლიმატით. ერთი კია, რომ საქართველოში მაკლია მრავალფეროვნება. მრავალფეროვნება ყველაფერში - სივრცე, სიმწვანე, პარკი, ხე. ისე უცნაურია, საქართველოში ხის ნახვა რომ სანატრელი გახდება, მაგრამ რას ვიზამთ, ამ ფაქტს ვერ გავეჭვებით. ძალიან მიყვარს ფეხით სიარული. აქ კი იძულებული ვარ, მანქანით ვიარო. საბავშვო ეტლით მოძრაობა თბილისში ძალიან მოუხერხებელია.

საავტორო უფლებების თემა ზოგადად შემოქმედისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. საქართველოში ამის რეგულირება თუ ხდებოდა, არც კი ვიცოდი. სამწუხაროდ, ჩემს მუსიკაზე საავტორო უფლებები არ მაქვს დარეგისტრირებული. არც თუ იშვიათად მომიკრავს ყური ჩემი ნაწარმოებისთვის ან მუსიკალური ფრაგმენტისთვის სხვადასხვა მასმედიის ეთერში. თუმცა ყოფილა შემთხვევები, როდესაც დაურეკავთ და ჩემი მუსიკის გამოყენების ნებართვა უთხოვიათ - და ძალიან გამხარებია. ზოგადად, მე ჩემი მუსიკის პოპულარიზაციის მომხრე ვარ და თუ საჭიროა, შემიძლია, დაინტერესებულ პირებს მისი გამოყენების უფლება უსასყიდლოდაც მივცე.

I don't want to talk about Georgia in a negative context, when its compared to other countries. however, we are less open. Its neither good nor bad. It could be explained with mentality, religion or even climate. One thing, though, is that I lack diversity in Georgia. Diversity in everything - space, green, parks, trees. It is very strange that I should feel the lack of trees in Georgia, but, what to do, I cannot avoid this fact. I love walking, whereas here, I am forced to use the car. Using baby carriages in Tbilisi, is impossible.

Copyright is a very important topic for artists. I just did not know that there were any such regulations, in Georgia. Unfortunately, I have not registered the copyright on my own music. It happened many times, that I heard pieces of my work in different tv shows. Although there were times when they called and asked for permission. In general, I am in favor of popularizing my own music as best as possible, even if it means that often you have to let people use it for free.

# ქართველები უცხოეთში

## GEORGIANS ABROAD



დემნა გვასალია / Demna Gvasalia

# მაღალი მოდა ქართული აქცენტით

## High Fashion with Georgian Accent

ჩვენი სტუმარია დიზაინერი დემნა გვასალია, რომელიც ევროპული და მსოფლიო მოდის ელიტის ეპიცენტრში მოღვაწეობს. "მარჯილა" და "ლუი ვიუტონი"-აი, ის მცირე ჩამონათვალი, რომელსაც ეროვნებით ქართველი დიზაინერის კარიერა უკავშირდება. "პრადას" არა მხოლოდ ეშმაკი ატარებს, არამედ უმრავლესობა ადამიანებისა, ვისთვისაც ვულგარული კიჩი მაღალი გემოვნების სინონიმია - ეს და სხვა საინტერესო ამბები ექსკლუზიურად ჩვენი ჟურნალისთვის.

დემნა, ცნობილი გამონათქვამი "სტილი თავად ადამიანია" ალბათ, ყველაზე უფრო დიზაინერს ესადაგება. როგორი ადამიანია დემნა გვასალია? ერთდროულად ექსტრავაგანტური და ტრადიციულიც? ისეთივე, როგორიც მისი კოლექციები?

რთულია საკუთარი თავის აღწერა. ვგრძნობ, რომ პიროვნულად მუდმივად ვიცვლები და ჩემში სულ რაღაც ტრანსფორმაციები ხდება. თუმცა არის ისიც, რაც არ იცვლება; მაგალითად, სულიერება, მიმტეველობა, ცნობისმოყვარეობა, სპონტანურობა და სიყვარულის მუდმივი სურვილი. ზოგადად, ალბათ არ ჩამთვლიან "ნორმალურ" ადამიანად, მაგრამ, ღვთის წყალობით, სიტყვა "ნორმალური" ჩემთვის არაფრისმეტყველია (იცინის).

Our guest today is the designer Demna Gvasalia, who works in the epicenter of European and world fashion elite. Margiela and Louis Vuitton - this is the short list, connected to the carrier of ethnically Georgian designer. Not only the devil wears Prada, but also the majority of people for whom the vulgar kitsch is the synonym of high style- this and other interesting topics exclusively for our magazine.

Demna, a famous quote "the style is the man himself" is probably most adaptable to the designer. What kind of a person is Demna? Extravagant and traditional at the same time? The same as his collections?

Its hard to describe myself, as i feel that my personality is in constant change and transformation. However there are some basic permanent qualities in Demna and these are- Spirituality, forgiveness, curiosity, spontaneity and a permanent thrive to love. In general i would not be considered a «normal» person, but thank God, the word «normal» means nothing to me.





რა თავისებურებები ახასიათებს ბელგიურ სამოდელო სახლებს? როგორია ლეგენდარული "ანტვერპენელთა ექვსეული"?

ბელგიური სამოდელო სახლების უმეტესობა 90-იანი წლების დასაწყისში ჩამოყალიბდა. იაპონურ ბრენდებთან ერთად მათ მოდის ისტორიაში ახალი დეკადა შექმნეს, რომელიც "ანტი-მოდის" სახელითაა ცნობილი. ბელგიური მოდა, ზოგადად, კონცეპტუალური და კრეატიულია. "ანტვერპენელთა ექვსეული" გასული საუკუნის 80-იან წლებში ჩამოყალიბდა, როგორც ანტირეაქცია იმდროინდელ ინდუსტრიაზე. ამ ადამიანებმა იპოვეს მოდის სფეროში მოღვაწეობის ალტერნატიული გზები და სიამოვნებას იღებდნენ იმისგან, რასაც აკეთებდნენ. ჩემი აზრით, დღეს მოდის სამყაროში დადგა დრო, რომ ამგვარი მოძრაობა კვლავ დაიწყოს!

What peculiarities are inherent to Belgian fashion houses? What is the legendary Antwerp Six like?

Belgian fashion houses mostly all started in the beginning of the 90s and together with some Japanese brands created a new decade in fashion history known as «anti-fashion». Belgian fashion in general is often conceptual, sombre and creatively intelligent. Antwerp Six happened in the 80's and it was an anti-reaction against the industry of that time, they found alternative ways to be part of fashion and they had fun doing it. I feel like today is once again a time for such a movement in fashion.



როგორც გავიგე, თქვენ ამჟამად მოდის სახლ "მარჯიელასთან" მუშაობთ. გვიამბეთ, თუ შეიძლება...

ბოლო ოთხი წელი ვმუშაობდი "მარჯიელაში", სექტემბერში გადავედი "ლუი ვიუტონთან", რათა მოდის ინდუსტრიის ჩემთვის უცნობი ასპექტები აღმომეჩინა. "მარჯიელაში" 4 წლის განმავლობაში ყოფნა საოცარი, კრეატიული მოგზაურობა იყო. ახალგაზრდა დიზაინერისთვის "მარჯიელაში" მოხვედრა ახდენილ ოცნებას უდრიდა. ბევრი რამ ვისწავლე და მიხაროდა, რომ შემეძლო, მოდის სამყაროს უნიკალურ კრეატიულ მემკვიდრეობაში ჩემი წვლილი შემეტანა. გასული წლის ბოლოს მივხვდი, რომ პროფესიული და შემოქმედებითი ზრდისთვის სხვა საფეხურზე გადასვლა მესაჭიროებოდა, და ეს საფეხური "ლუი ვიუტონია", უსაზღვრო

As far as I know, you currently work at fashion house Margiela. Can you please tell us more about it?

I worked at Margiela for the last 4 years, from september on I moved to Louis Vuitton to discover the aspects of fashion industry that had been unknown to me. Being at Margiela for the last 4 years was an incredible creative journey for me. Being a young designer and getting to Margiela was a dream come true for me where i could learn from and add to the most unique creative heritage in fashion world. At the end of last year I realized that in order to grow professionally and artistically I need to move on to another stage in my career and the first step of this new stage happens to be Louis Vuitton, with its infinite technical and know-how background and highest quality luxury product.





ტექნიკური "ნოუ-ჰაუს" ისტორიით და უმაღლესი ხარისხის ფუფუნების საგნების პროდუქციით.

ბარიზული, ბელგიური და ასევე ლონდონური მოდის მიმართება (ისევე, როგორც მომხმარებლისა), სრულიად განსხვავდება იტალიურისა თუ ამერიკულისგან. რატომ იქცა წამყვანი იტალიური სამოდელიო სახლები ევროპული ელიტისთვის ცუდ ტონად? მიზეზი კომერციალიზაციაა თუ უფრო ღრმა მიზეზები არსებობს?

არამგონია, დიდი იტალიური მოდის სახლები იყოს ტაბუ ევროპული ელიტისთვის, რომელიც თავიდან ბოლომდე "პრადას" და "ფენდის" პროდუქციაშია გამოწყობილი. ჩემი აზრით, მხოლოდ მოდის ელიტას მიაჩნია, რომ იტალიური მოდა გულგარული, სექსუალური

Parisian, Belgian and London fashion styles, are completely different from Italian and American fashion. Why did the leading Italian fashion houses become such a "bad tone" for the European elite? Is the reason commercialization? Or are there other reasons?

I don't think that big Italian houses are a taboo for European «Elite» who is head to toe dressed in Prada and Fendi. Perhaps it's rather a Fashion Elite, that considers Italian fashion in general as some kind of sexy vulgar kitsch. I personally think Italian style is a reflection of its country of origin: it's evident, it has fun and has a lot of sex and it has nothing to «hide». And there are so many people in the world who are this way too, so let them wear Gucci.





კიჩია. ვფიქრობ, იტალიური სტილი ამ ქვეყნის თავისებურებებს ასახავს: მასში არის რაღაც გასართობი, სექსუალური და არაფერი "დამალული". მსოფლიოშიც ბევრ ადამიანს ახასიათებს ეს თვისებები, ასეთებმა კი გუჩი უნდა ჩაიცვან (იცინის).

**რამდენად მისაღებია, თქვენი აზრით, მიქსი? ვგულისხმობ ე.წ. ძვირადღირებული და იაფი ბრენდების შეხამებას..**

არამგონია, რომ თანამშრომლობა მოდის ინდუსტრიაში და მაღალი მოდის კომპანიებს შორის შეუძლებელია. მოდა ყველასთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. ეს გარდაუვალია თანამედროვე, ინტერნეტით შეპყრობილ, ზედმეტად ინფორმირებულ საზოგადოებაში. თუმცა, მაშინაც კი, როდესაც მოდა ხელმისაწვდომია მასებისთვის, სტილი მაინც

**How acceptable is for you the mix? I mean, so called mix of the expensive and cheap brands.**

I think there is no problem with collaborations between mainstream and high fashion companies, as long as it makes sense. I think fashion should be available to everyone in some way, this is inevitable in our modern internet-obsessed over-informed society. However i think that even if fashion should be available to masses, the STYLE should not and will never be available to everyone. That's why we see so much bad taste and wrong clothing worn on streets from both mass and high fashion companies.



არ იქნება და ვერც გახდება ხელმისაწვდომი ყველასთვის. სწორედ ამიტომ დადის ქუჩაში ამდენი უგემოვნოდ ჩაცმული ადამიანი. ეს ეხება როგორც მასობრივ, ასევე მაღალი მოდის კომპანიების პროდუქციის ტარებასაც.

**შეგიძლიათ ჩაცმულობით შეაფასოთ ადამიანი? ანუ მისი ხასიათი, ბუნება, აზროვნება დაინახოთ?**

ჩაცმულობა არის პირველი, რითაც ვაფასებთ ადამიანს. ამდენად, ის ძალზე მნიშვნელოვანია და ქმნის პირველ იმპულსს უცნობი ადამიანის გაცნობისას. მაგრამ, ადამიანის 99,9% სხვა თვისებებისგან შედგება, რომლებიც ჩვენ მასში უნდა აღმოვაჩინოთ. ამდენად, არასოდეს ვმსჯელობ ადამიანზე მისი ჩაცმულობის და გარეგნობის მიხედვით.

**How much can you tell about a person looking at their clothing? Can you see their character, nature, type of intellectuality?**

Clothing is the first and the most immediate thing we notice about a person. So it is important and it send a very strong first impulse in our perception of a new person. But there is still 99,9% of this person left to discover, so i would never try to make conclusions about anyone by judging their clothes and look.

**Are you open in communication with other people?**

I am more than open-minded person and i love communicating to people around me, I am





**გახსნილი ხართ ადამიანებთან ურთიერთობაში?**

ძალიან გახსნილი ადამიანი ვარ, მიყვარს კომუნიკაცია გარშემო მყოფებთან, ვარ ცნობისმოყვარე და ჩემს ცნობისმოყვარეობას და კრეატიულობას კვება სჭირდება. ეს კი ჩემს ირგვლივ არსებულ სამყაროსთან ურთიერთობით მიიღწევა.

**და ბოლოს, როგორ ახდენთ საკუთარი საავტორო უფლებების მონიტორინგს?**

ამას არასდროს ვაკეთებ. ბოლო 4 წლის მანძილზე "მარჯიელაში" მუშაობისას ამაზე რომ მეფიქრა, გავგიჟდებოდი, რადგან ჩვენგან ძალზე ბევრი რამ გადაიღეს. მაგრამ ეს ცუდი არ არის, მე ამას აღვიჭვამ, როგორც დიდ კომპლიმენტს საზოგადოების მხრიდან!

very curious and need to feed my curiosity and creativity through communicating with the world around me.


**And the last question, how do you monitor your copyrights?**

I never do this, i would have become crazy in the last 4 years at Margiela if i would think about this, so many things we did were instantly or later copied by so many others. But its not necessarily a bad thing, i think of it as of a great and public compliment!



# სტუმარი

## THE GUEST



მაესტრო ვახტანგ მაჭავარიანი გვესაუბრება ქართველების კონფორმიზმზე, ჯაზზე და იხსენებს მამას, სახელოვან კომპოზიტორ ალექსი მაჭავარიანს..

Maestro Vakhtang Machavariani speaks about Georgian conformism, jazz and remembers his father, a famous Georgian composer Alexi Machavariani.

# მამამ ნიშანი მომცა, კომპოზიცია დაეწყო

## Father Gave Me a Sign to Start Composing

**თქვენი მამის, კომპოზიტორ ალექსი მაჭავარიანის შემოქმედებით მემკვიდრეობაზე საავტორო უფლებებს, ალბათ, თქვენ ფლობთ?**

მოგახსენებთ. რასაკვირველია, სანამ მამა ცოცხალი იყო, თავად გახლდათ ამ ყველაფრის პატრონი და გამგებელი. მან სიცოცხლეშივე გააფორმა ხელშეკრულება ერთ-ერთ უდიდეს ევროპულ გამომცემლობასთან "სიკორსკი". ეს გამომცემლობა მდებარეობს ჰამბურგში და გამოსცემს ისეთ ავტორებს, როგორებიცაა სერგეი პროკოფიევი, დიმიტრი შოსტაკოვიჩი, გუსტავ მალერი, ბელა ბარტოკი, ალფრედ შნიტკე. ეს ძალიან სერიოზული და დიდი გამომცემლობაა, რომელიც სხვა გენიალური კომპოზიტორების ნაწამოებებსაც გამოსცემს. საქართველოდან სრულად მხოლოდ მამა და გია ყანჩელი არიან წარმოდგენილი.

მამას გარდაცვალებიდან ერთი თვის თავზე გამომცემლობის წარმომადგენლები დამიკავშირდნენ პარიზში და მათთან ურთიერთობის გაგრძელება მთხოვეს. დადგინდა, რომ მე და შემდგომ ჩემი შვილი ალექსი მაჭავარიანის შემოქმედების მემკვიდრეობად ვითვლებით 70 წლის მანძილზე და ეს უფლება მსოფლიო მასშტაბით ვრცელდება. რამდენიმე თვიანი მოლაპარაკებები დამჭირდა მათ დასარწმუნებლად, საქართველო ამ სიიდან ამოეღოთ. მე უკმაყოფილო ვიყავი იმით,

**You probably own the right to your father's music?**

Yes, of course. When my father was still alive, he owned and managed everything. He had signed a contract with one of the biggest European publishers Sikorski, which is based in Hamburg and has authors like Sergei Prokofiev, Dmitri Shostakovich, Gustav Mahler, Bela Bartok, Alfred Schnittke. It is a very serious and big publishing house. Out of Georgian composers, they only represent Gia Kancheli and my father in full format.

A month after my father passed away, the representatives of the publishing house contacted me in Paris and asked me to continue working with them. It was established that me and my child are going to be the artistic successors of Alexi Machavariani for the next 70 years. This contract is valid all around the world. It took me several months to convince them to take Georgia out of the list. Later I was not happy with the attitude of Georgians towards Alexi Machavariani's music and I asked the publisher to remove that item from the contract. After 70 years, the percentage that my family will be receiving begins to diminish

თუ რა დამოკიდებულება იყო, და დღესაც არის საქართველოში ალექსი მაჭავარიანის მუსიკასთან და ამიტომ მათ ამ მუხლის გაუქმება ვთხოვე. 70 წლის შემდეგ ჩემი (ჩემი ოჯახის) პროცენტი კლებას დაიწყო, გამომცემლობისა კი გაიზარდა. მაგალითად, ვაგნერის შემოქმედება უკვე გამომცემლობას, და არა მემკვიდრეებს ეკუთვნის. თუმცა, ვაგნერის ოჯახს კვლავ ეკუთვნის გარკვეული პროცენტი და ვეტოს დადების უფლებაც. მოცარტის და ბეთჰოვენის ნაწარმოებების გამომცემის უფლებას ან სრულიად გამომცემლობა ფლობს, ან შთამომავლები, რომლებიც აფუძნებენ საზოგადოებას და შესაბამისად, იძენენ აღნიშნულ უფლებებს.

მე გახლავართ GEMA-ს წევრი, გამომცემლობა "სიკორსკი" ასევე GEMA-ს წევრია. ერთიანი ჯაჭვი იკვრება - ავტორი, გამომცემელი, კოლექტიური მართვის ორგანიზაცია.


მე თავად ვარ ავტორი, ვწერ მუსიკას. დაგწერე სიმფონიური პოემა 'ნაცარქექია' (სხვათა შორის, ნოტები საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციაში ინახება), საფორტეპიანო კონცერტინო. დავასრულე მამას ოპერა "მედეა" და დაგწერე ლიბრეტო. ამჟამად ჩემი პირველი სიმფონია დავასრულე. "მედეა" მამას უკანასკნელი მსხვილი ნაწარმოებია, მან ეს ნაწარმოები 90-იან წლებში დაწერა, მაშინ, როდესაც საქართველოში არეულობა იყო. მე უკვე პარიზში ვცხოვრობდი. სტუმრად რომ ჩამოვდიოდი, მამა მხოლოდ ქვეყანაში მომხდარ მოვლენებზე მესაუბრებოდა; ძალიან განიცდიდა ყოველივე ამას. "მედეას" შესახებ არც კი მიკითხავს. ვფიქრობდი, არ მუშაობდა და არ მინდოდა, გული მეტკინა მისთვის. მისი გარდაცვალების შემდეგ, ნოტებს როცა ვალაგებდი, აღმოვაჩინე "მედეა". ძალიან გამიხარდა. ვნახე, რომ პირველი აქტის ფინალი ჩემს ლიბრეტოს არ ემთხვეოდა. ერთი სცენა იყო ამოღებული. კერძოდ, მეფე აიეტი თანმხლებ პირებთან ერთად გამოდის სცენაზე და ამბობს: "მოღალატე ჩემი შვილი მომგვარეთ უკან". აქ გუნდი ერთვება და პასუხობს, რომ გემი უკვე სივრცეს მიაპოვებს. აიეტი წყევლის მედეასა და იასონს: "შენი შვილები შენი ხელით ამოგეხოცოს და იასონს შენთვის ელალატოს", - რაც დასასრულში ახდება

and that of the publisher begins to increase. For instance, today, Wagner's music does not belong to his family but to the publisher. Although, Wagner's family is still in possession of a certain percentage and the right to put veto on some issues. Mozart and Beethoven now belong completely to the publishers. Otherwise the family needs to establish their own society and manage the copyright.

I am a member of GEMA. Sikorski publisher is also GEMA's member. It is one complete chain – author, publisher, collective management organization.

I am also an author, I write music. I wrote symphonic poem "Natsarkekia" (the sheet music is actually preserved at GCA), it is a piano concertino. I completed my father's opera Medea and wrote the libretto for it. I also recently finished my first symphony. Medea is my father's very last big work. He was writing it in the 90-ies, when there was a total confusion in our country. I was already living in Paris. When I came to visit, my father would tell me about things that were going on in Georgia. He took everything close to heart. I didn't even ask about Medea. I thought he wasn't working anymore and I didn't want to hurt his feelings. After his death, when I was putting his sheet music in order, I discovered Medea. I was very glad. I also discovered that the final scene of the first act did not coincide with my libretto. One scene was removed. It was a scene when King Aeites enters the stage and says "Bring back my treacherous child". At that moment, there's a choir that answers, that Medea's and Jason's ship has sailed away. Aeites curses Medea and Jason in exactly the same words which come true in the end. "Let Jason betray you and your children fall dead by your own hand." This means – "the hypocrisy that you showed me, Jason will show you". This scene cannot be found in Euripides or Seneca, I was the one who came up with it. I guess my father disagreed and removed





კიდევ. ეს იმას ნიშნავს, რომ იასონი მედეას მიმართ ისეთვე პირფერობას გამოიჩინა, როგორც მედეამ მამის მიმართ გამოიჩინა. ეს არ გვხვდება არც ევრიპიდესთან, არც სენეკასთან და არც სხვასთან. ეს მე შევქმენი პირველად. აი, ეს არ ჰქონდა მამას, რაც ძალიან "მაწვალებდა". მახსოვს, გერმანიაში ვარ ჩემი სიდუდრ-სიმამრის ოჯახში. ერთ დღეს გავიღვიძე, ჩავკეცი მანქანაში, წავედი, ვიყიდე სანოტო რვეული, ფანქრები, საშლელები, გადავკეტი კარი და უველა გავაფრთხილე, არ მომეკაროთ-თქო. ერთ დღეში დავწერე ეს სცენა. ეს იყო ჩემი პირველი სერიოზული მცდელობა კომპოზიციაში. აი, ასე გავხდი ავტორი. ალბათ, მამამ ნიშანი მომცა, რომეუ კომპოზიცია დამეწყო. ახლა უკვე ჩემი მუსიკის ინტერნაციონალიზაცია იწყება; ჩემი კონცერტები მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქში დაგვგმილი. მოკლედ, საქართველოში გაჩნდა ახალი ავტორი - კომპოზიტორი ვახტანგ მაჭავარიანი. ვფიქრობ, შევქმნა ოპერა..

**დასავლეთში ავტორების ნაწილი პრინციპულად არ წევრიანდება GEMA-ში. თუ არ ვცდები, ეს პროტესტი ნაციზმს უკავშირდება...**

იცით, ეს იგივეა, რომ ვიფიქროთ, ვაგნერი ნაცისტი იყო. თუ ჰიტლერს მოეწონა ვაგნერის მუსიკა და აღფრთოვანდა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ვაგნერი არ არის ჰუმანისტი. GEMA არსებობდა ნაციზმამდეც და დღესაც არსებობს და თუ ნაცისტურ პერიოდში რაიმე უპირატესი უფლებებით სარგებლობდა, ეს არ ნიშნავს, რომ ისინი კოლაბორაციონისტები იყვნენ. სწორედ ეს არის დემოკრატიის ნიშანი, უველაფრის მიუხედავად, GEMA თავის სიმალეზე დარჩა.

ხელისუფლებაში ჰიტლერის მოსვლის შემდეგ გერმანიიდან ძალიან ბევრი დიდი დირიჟორი გაიქცა. გერმანული სადირიჟორო სკოლა უდიდესია. ასეთი ხელოვანები ჯერ არავის ჰყოლია - ვილჰელმ ფურტვანგლერი, ფრიც ბუში და ბრუნო ვალტერი - აი, ამ სამს გამოვყოფდი. ბრუნო ვალტერი ამერიკაში წავიდა, ბუში და ერიხ კლაიბერი კი არგენტინაში. სამხრეთ ამერიკაში მათი ჩასვლა გახდა წინაპირობა იმისა, რომ ბუენოს-აირესის თეატრი დღეს ერთ-ერთი უდიდესი და საუკეთესო თეატრია

the scene. It bothered me a lot. I remember being in Germany, with my in-laws. I woke up one morning, sat in the car, went and bought a notebook for sheet music, pencils, erasers, locked the door, warned everyone to stay away from me. I wrote this scene in one day. It was my first serious attempt in composition. This is how I became an author. I suppose, father gave me a sign to start composing. Now the process of my music's internationalization has begun and there are concerts to be held in different cities. There emerged a new author in Georgia – composer Vakhtang Machavariani. I am planning to create an opera.

**One part of the Western authors outspokenly refuses to become member of GEMA. If I'm not mistaken, this protest is connected to Nazism?**

You know, it is the same thing as stating that Wagner was a Nazi. If Hitler liked Wagner's music, it doesn't really mean that Wagner was not a humanist. GEMA existed before Nazism and exists today. And if it had any advantages at that time, it doesn't mean that it collaborated with Nazis. This is the sign of democracy - despite everything GEMA remained on its high level.

When Hitler came to power, many great conductors fled from Germany. German school is the biggest one. No one had conductors like that. I can name three of them - Wilhelm Furtwhngler, Fritz Busch and Bruno Walter. Bruno Walter moved to USA, while Busch and Erich Kleiber moved to Argentina. Their arrival to Argentina defined the fact that today one of the biggest and best theatres is, in fact, in Buenos Aires. Furtwãngler stayed in Germany, and was leading Berlin Symphony Orchestra. His decision to stay later caused many incorrect reactions and interpretations. You probably remember, when after war Karajan arrived to Carnegie Hall with Berlin Symphony Orchestra? All the tickets were sold out, but there was only one journalist sitting in the audience. This was their protest.



მსოფლიოში. ფურტვენგლერი არ წავიდა; იგი ბერლინის ფილარმონიის ორკესტრის ხელმძღვანელად დარჩა, რასაც შემდგომ არასწორი რეაქცია და ინტერპრეტაციები მოჰყვა. გახსოვთ, როცა ომის შემდეგ კარაიანი ბერლინის ორკესტრთან ერთად ჩავიდა კარნეგი-ჰოლში, ყველა ბილეთი გაიყიდა, მაგრამ დარბაზში მხოლოდ ორი უურნალისტი იჯდა. ეს პროტესტი იყო. ფურტვენგლერს შემდგომ დევნიდნენ კიდევ, გამუდმებით იბარებდნენ დაკითხვაზე, ეს უდიდესი დირიჟორი ორკესტრს ჩამოაშორეს.

ამდენად, ისტორიის ცალსახად ინტერპრეტაცია გამართლებულად არ მიმაჩნია.

### **მინდა ლირიკული გადახვევა გავაკეთო. თქვენს სახელს ხშირად ჯახს უკავშირებენ...**

ჯახი ჩემი სიყვარულია. შემიძლია ვთქვა, რომ ჯახს მამამ მახიარა. არაჩვეულებრივი ფირფიტები მქონდა, ჯახის საუკეთესო ნიმუშები. მამას ჩამოჰქონდა უცხოეთიდან. ვუსმენდი და ვგრძობდი, რომ ჯახი თავისუფლების მანიფესტი იყო, იმპროვიზაცია, რითმო-ჰარმონიული აღმაფრენა. ამან აღმაფრთოვანა. მერაბმა, ჩემმა მეზობელმა პიანისტმა, რომელიც კონსერვატორიაში სწავლობდა, ახლა უკვე ჩემი დიდი მეგობარი, თამაზ ყურაშვილი გამაცნო. შემიძლია სრული პასუხისმგებლობით ვთქვა, რომ ჯახში ჩემი პირველი მეტრი და პროფესორი თათუზა გახლდათ. მე ვიყავი პირველი ოფიციალური ჯახ კონცერტის მონაწილე თბილისში, რომელმაც ექსცესებით ჩაიარა კონსერვატორიის დიდ დარბაზში, თუ არ ვცდები, 1968 წელს.

შვიდი წლის განმავლობაში ვიყავი სანკტ-პეტერბურგის მარიას თეატრის დირიჟორი. ათი წლის მანძილზე კი მოსკოვის საფესტივალო ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი, ასევე რუსეთის დიდი სიმფონიური ორკესტრ-მილენიუმის სამხატვრო დირიჟორი. 1988 წელს გასტროლებზე ჩავედიტ პარიზში, სადაც ჩემი მეგობარი, იქ დაბადებული ნიკო ჭავჭავაძე ცხოვრობს. ნიკო თვითნასწავლი ჯახმენია. მან დამპატიჟა პარიზის ყველაზე

Furtwhngler was oppressed after that, he was constantly interrogated and this great conductor was removed from the Orchestra.


I do not believe that narrow-minded interpretation of the history is the right thing to do.

### **I would like to change the topic a little. I often hear your name in relation to Jazz music ...**

Jazz is my love. I can say that my father introduced me to Jazz music. I remember having amazing disks, the best works of Jazz. My father used to bring them from abroad. You feel that Jazz, as such, is a manifest of freedom, improvisation, inspiration of rhythm and harmony. I was astonished by it. One of my neighbours was a piano player, he was studying at the Conservatory, and his name was Merab. He introduced me to my friend Tamaz Kurashvili. I can freely claim that my first ever professor and maestro in Jazz was Tatuza. I participated in the first official jazz concert in Tbilisi, which was accompanied by some incidents, in 1968, if I'm not mistaken.

I spent seven years in Saint Petersburg Mariinsky theatre as a conductor; I have been the art conductor of the Moscow Symphony Orchestra Millenium for ten years. In 1988 we were on tour in Paris. My friend Niko Chavchavadze is born and lives there. He is a self-learned jazzman. Niko invited me to the most famous Parisian jazz club Bibloke on Boulevard Saint-Germain. Later, when I moved to Paris, I often frequented that place. The culmination was when I played for several hours with Petrucciani. He was playing on a simple acoustic piano, me – on the electronic one. This remains forever in my memory.

So, Jazz is part of my life, I even have recorded CD of Jazz compositions together with Mariinsky theatre, Igor Butman, Tamaz Kurashvili, Sergei Gorbelashvili and Nikolay Levinovsky. Three years ago I recorded a CD of jazz ballads at home.



ცნობილ ჯაზ კლუბ "ბილბოკეში", სენჟერმენის ბულვარზე. პარიზში გადასვლის შემდეგ ხშირად დავდიოდი იქ. კულმინაცია იყო, როდესაც რამდენიმე საათის მანძილზე პეტრუჩინისთან ერთად დავუკარი. ის უკრავდა აკუსტიკურ როიალზე, მე - ელექტრონულზე. ჩემს მეხსიერებაში ეს სამუდამოდ დარჩა, რასაკვირველია.. ასე რომ, ჯაზი ჩემი ცხოვრების ნაწილია. მე ფირფიტაც მაქვს ჯაზური კომპოზიციების ჩანაწერებით: მარიას თეატრის ორკესტრის, იგორ ბუტმანის, თამაზ ყურაშვილის, სერგეი გორბელაშვილის, ნიკოლაი ლევინოვსკის და ჩემი შესრულებით. ხოლო სამი წლის წინ, ჩემს სახლში ჯაზური ბალადების დისკი ჩავწერე.

**Alexi Machavariani's music seems to be better appreciated in Russia and Europe, than in Georgia ...**

Georgia is a very strange country. I am now sure of it. They only recognize you in Georgia, if you have achieved success abroad. However, Alexi Machavariani went beyond Georgia, he gained enormous success in Russia and worldwide. His ballet Otello was staged in the biggest theatres around the world. Only three composers from the Post Soviet area were awarded a golden medal from Braidense art gallery, at Milano La Scala: Prokofiev for his



## ალექსი მაჭავარიანის შემოქმედებას თითქოს რუსეთში და ევროპაში უფრო აფასებენ, ვიდრე სამშობლოში...

უცნაური ქვეყანაა საქართველო, მე უკვე დავრწმუნდი ამაში. თუ უცხოეთში გალიარებენ, შენს ქვეყანაში აღიარებული მერე ხდები. ალექსი მაჭავარიანი გავიდა საქართველოდან, მოიხვეჭა უზარმაზარი სახელი რუსეთში და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში. მისი ბალები "ოტელო" მსოფლიოს უდიდეს სცენებზე დაიდგა. მილანის ლა სკალასთან არსებული ხელოვნების გალერეის 'ბრაიდენხეს' ოქროს მედლით პოსტსაბჭოთა სივრცეში მხოლოდ სამი კომპოზიტორი დაჯილდოვდა: პროკოფიევი ("რომეო და ჯულიეტა"), შოსტაკოვიჩი ("ლედო მაკბეტი") და მაჭავარიანი ("ოტელო"). მამა თავის მემუარებში 'შემოქმედი და დრო' წერს, რომ დაჯილდოვების ცერემონიალზე სსრკ-ს კომპოზიტორთა კავშირში ლა სკალადან მოწვევა მოვიდა. კავშირს მაშინ ტიხონ ხრენნიკოვი ხელმძღვანელობდა, მამას ტალანტის დიდი თავჯანსმცემელი. კომპოზიტორთა კავშირმა მოწვევა თბილისში გამოგზავნა, მაგრამ აქ მოწვევა გადამალეს! მეორედაც გამოგზავნეს და იგივე გამეორდა. ლა სკალას ადმინისტრაციისთვის ეს უპასუხო მოწვევა გაუგებარი დარჩა, იფიქრეს, რომ მამა უტაქტოა და არ პასუხობს მათ. მაშინ გადაწყვიტეს, ჯილდო საბჭოთა საელჩოსთვის გადაეცათ. რეზო გაბრიაძე სწორედ იმ დროს ჩავიდა რომში და ეს ჯილდოც მან ჩამოიტანა. ასე შეიტყო მამამ ეს ამბავი.

სრული პასუხისმგებლობით მოგახსენებთ, რომ ალექსი მაჭავარიანის მუსიკის ქართველ მსმენელამდე მიტანის "მოტორი" რომ არ აღმოგჩენილიყავი, მისი მუსიკა საქართველოში დღესაც არ იუღერებდა. მამას ოპერა "ჭამლეტი" ჯერაც არ დადგმულა ქართულ სცენაზე, მიუხედავად იმისა, რომ ეს ოპერა 100 წლისაა. ამათ, გარდა ინტრიგებისა, ეტყობა, არაფერი აინტერესებთ. ქართველებს ნიჭის და წარმატების ყველაზე უფრო მეტად შურთ. კაშკაშა ნიჭის გარდა, ყველაფერს გაპატიებენ. ამას აბსოლუტურად სერიოზულად ვაცხადებ! პუშკინი დუელში მოკლეს. პუშკინს ხელში იარაღი ეჭირა და ეს იყო ორი ადამიანის შერკინება თანაბარ პირობებში. ფრანგებმა რევოლუციების დროს

Romeo and Juliette, Shostakovich for his Lady Macbeth and Alexi Machavariani for Otello. My father wrote in his memories "Artist and time", that there came a letter from La Scala to the USSR Composer's Union which was inviting him to the award ceremony. Tixon Khrennikov, a big fan of my father's talent, was leading the at that time and so he sent the invitation further to Tbilisi. And what happened? Here in Tbilisi, someone failed to forward it to my father! The invitation was sent for the second time and the same thing happened. Of course, La Scala was very offended, they concluded that father is rude and is simply not answering. So they decided to pass the award to the USSR embassy. Rezo Gabriadze was visiting Rome at that moment and so he brought the medal back with him. This is how father found out about it.

I can freely claim that if I wasn't the "motor" that tried to pass my father's music to the listener, Alexi Machavariani's work would have been completely unknown in Georgia. I guess these people do not care about anything but the intrigues. Georgians are most envious of other people's talent and success. They can forgive anything, but your talent. I am absolutely serious when I say this.

Pushkin was killed in a duel. He held a gun in his hand; this was a confrontation on equal basis. French people beheaded many, but did not kill Voltaire or Hugo. The English did not hang Chaucer or Shakespeare, while Italians did not execute Dante or Petrarca. Unfortunately, in Georgia they killed Ilia Chavchavadze. We can also remember Baratashvili's fate and where his bones were and why. We can put it this way: Why could Vazha not live in Tbilisi? I don't want to go deep into Rustaveli, although he has written about it too. We know what sort of world surrounded him ... we also remember how they treated great artist Vakhtang Chabukiani, how they caught him and blamed him for terrible things.

ადამიანებს თავები მოჰკვეთეს, მაგრამ არ მოუკლავთ ვოლტერი, არ მოუკლავთ ჰიუგო. ინგლისელებს არ ჩამოუხრჩვიათ ჩოსერი ან შექსპირი, და არც იტალიელებს დანტე ან პეტრარკა. სამწუხაროდ, საქართველოში მოკლეს ილია ჭავჭავაძე. ასევე გავიხსენოთ ჩვენი ბარათაშვილის ბედი, თუ სად იყო მისი ძვლები და რატომ... ასევე დავსვამთ შეკითხვა: რა, ვერ იცხოვრებდა ვაჟა თბილისში? არ მინდა ახლა რუსთაველს ჩავწოდე. იქაც არის ამოსაკითხი ფრაზები: "ყოველ სოფელს მინდობილი ნიადაგსა ჩემებრ სტირსა". რა სოფელიც იყო მის გარშემო, ჩვენ კარგად ვიცით... ისიც მახსოვს, როგორ უსინდისოდ მოექცნენ ისეთ დიდ ხელოვანს, როგორიც იყო ვახტანგ ჭავჭავაძე. ლამის დაიჭირეს და რა არ დააბრალებს..

"ნიუ-იორკ თაიმსის" ჟურნალისტი დევიდ ბარკერი ალექსი მაჭავარიანის სავიოლინო კონცერტს ჩაიკოვსკის და ბრამსის კონცერტებს ადარებს. ბერლინში მცხოვრები რუსი კრიტიკოსი, დოქტორი ნიკიტენკო მაღალ შეფასებას აძლევს მამას მეხუთე და მეექვსე სიმფონიებს, უწოდებს რა მათ გენიალურ ქმნილებებს და მოცარტის, ბეთჰოვენის და რიმსკი-კორსაკოვის ნაწარმოებების გვერდზე განიხილავს. საქართველოში კი ერთი სიტყვაც არ დაწერილა. დიდი უვიცობის და უწიგნურობის სივრცეში ვართ. ჩვენი საზოგადოება ძალიან ცოტას კითხულობს. აი, ეს ყველაფერი ქმნის გარკვეულ სიმახინჯეს და ორგანიზმი, რომელიც მოწოდებულია, შეასრულოს ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონია, რიჩარდ შტრაუსის "ასე ამბობდა ზარათუსტრა", ან მაღერის მეშვიდე სიმფონია, ამის ნაცვლად ღიღინა სიმღერებს აკნავლებს და სულ სხვა წარმოშობის მუსიკოსების აკომპანიატორი ხდება! ყველაზე დიდი პრობლემა საზოგადოებაა, რომელიც ბრამსსა და ამ მუსიკოს-შემსრულებლებს შორის სხვაობას ვერ ხედავს. როდესაც ამის აღრევა ხდება, იკარგება ხელოვნებაც და ზნეობაც. იმედს ვიტოვებ, რომ არსებული მდგომარეობა საქართველოში გამოსწორდება.

New York journalist David Barker compares Alexi Machavariani's violin concert to Tchaikovsky and Brahms. In Berlin, Russian critic Dr. Nikitenko values highly my father's fifth and sixth symphonies saying that they are genius works and discusses them alongside with Mozart, Beethoven, and Rimsky-Korsakov. In Georgia, not a word has been written about it. We are in condition of great ignorance and illiteracy. Our society doesn't read much. This is why there are so many monstrosities in Georgia. This one organism that was created for performing Beethoven's 9th Symphony, or Richard Strauss "Thus Spoke Zarathustra", or Mahler's 7th Symphony, is instead playing some catchy tunes and becomes an accompaniator of a completely different sort of musicians. The biggest problem is our society, which sees no difference between Brahms and simple performers. When people start mixing this, the art and morality are lost. I just hope that the situation will improve in Georgia.





# პრეცედენტები

## PRECEDENTS





# ლუკასფილმი “უმაღლესი საზღვრისა” და “კომიტეტი ძლიერი და მშვიდობიანი ამერიკისთვის” წინააღმდეგ

## Lucasfilm vs High Frontier and the Committee for a Strong, Peaceful America

როდესაც 1980-იან წლებში პოლიტიკოსებმა, ჟურნალისტებმა და მეცნიერებმა რეიგანის ადმინისტრაციის სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივას ირონიულად მეტსახელად "ვარსკვლავური ომის" პროგრამა უწოდეს, ამით ჯორჯ ლუკასის კომპანია გააღიზიანეს. კომპანიას არ სურდა, რომ ეს ტერმინი კოსმოსში ამერიკული ანტისარაკეტო იარაღის გაშვებასთან გაიგივებულიყო.

1985 წელს ლუკასფილმმა სასამართლოში სარჩელი ორი დაჯგუფების - "უმაღლესი საზღვრები" და "კომიტეტი ძლიერი და მშვიდობიანი ამერიკისთვის" წინააღმდეგ შეიტანა. ესენი გახლდნენ საზოგადოებრივი ინტერესის ქვეშ მყოფი ორგანიზაციები, რომლებიც ტელევიზიის და ლიტერატურული ნაწარმოებების მეშვეობით "სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივას" "ვარსკვლავურ ომად" მოიხსენიებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ლუკასფილმს თავისი პროდუქციის სასაქონლო ნიშანი "ვარსკვლავური ომი" დარეგისტრირებული ჰქონდა, ფედერალურმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ნებისმიერ საზოგადოებრივ ჯგუფს აქვს უფლება, ეს სახელწოდება, თავისი სურვილისამებრ, ნებისმიერ პროდუქტს თუ მომსახურებას უწოდოს.

"ჯონათან სვიფტის დროიდან მოყოლებული, ფანტასტიკის ჟანრის ნაწარმოებების შემქმნელები მიიჩნევენ, რომ მათი ლექსიკონი მუდმივად რეალობის აღწერისთვის გამოიყენება",- აღინიშნა სასამართლოს დასკვნაში.

When politicians, journalists and scientists, in the mid-1980s, nicknamed the Reagan administration's Strategic Defensive Initiative (SDI), the "star wars" program, George Lucas's production company was miffed. It did not want the public's positive associations with the term to be marred by the controversial plan to place anti-missile weapons in space.

In 1985, Lucasfilm Ltd. filed a lawsuit against High Frontier and the Committee for a Strong, Peaceful America-two public interest groups that referred to SDI as "star wars" in television messages and literature. Though Lucasfilm Ltd. had a trademark for Star Wars, the federal district court ruled in favor of the interest groups and their legal right to the phrasing so long as they didn't attach it to a product or service for sale.


"Since Jonathan Swift's time, creators of fictional worlds have seen their vocabulary for fantasy appropriated to describe reality," read the court decision.

# კემპბელი ACUFF-ROSE MUSIC INC.-ის წინააღმდეგ Campbell vs Acuff-Rose Music Inc.



"უცნაურ ელ" იანკოვიჩს თავისი წესები აქვს: ის მხოლოდ იმ შემთხვევაში ქმნის სიმღერის პაროდიას, თუ ავტორისგან ნებართვას მიიღებს. 1980-იანი წლების ბოლოს რეპ ჯგუფი „2 Live Crew“ იმავე წესებით თამაშს შეეცადა. ჯგუფის წევრმა ლუთერ კემპბელმა როი ორბისონის სიმღერის „Oh, Pretty Woman“-ის ტექსტი შეცვალა და ფრაზის „Pretty Woman“ („მშვენიერი ქალი“) ნაცვლად „big hairy woman“ („თმიანი ქალი“), „baldheaded woman“ („მელოტი ქალი“) და „two-timin woman“ („ორჯერადი ქალი“) გამოიყენა. 2 Live Crew-ს მენეჯერმა ეს ვულგარული ტექსტი და სიმღერის ჩანაწერი ორბისონის მუსიკის გამოყენების უფლებების მქონე Acuff-Rose Music Inc.-ს გადაუგზავნა, ორიგინალური კომპოზიციის გამოყენების უფლება სთხოვა და მიანიშნა, რომ თუ ჯგუფი აღიარებდა პლაგიატს, შესაბამის ჰონორარსაც მიიღებდა. Acuff-Rose Music Inc.-მა თხოვნაზე უარი განაცხადა, მაგრამ რეპ ჯგუფმა პაროდირებული სიმღერა მაინც შეიტანა თავის 1989 წლის ალბომში „As Clean as They Wanna Be“. ალბომის გამოსვლის და წარმატებული გაყიდვის შემდეგ Acuff-Rose Music Inc.-მა საავტორო უფლებების დარღვევის მიზეზით სარჩელით უმაღლეს სასამართლოს მიმართა. უმაღლესმა სასამართლომ საქმე განიხილა და მის მიერ გამოტანილი დასკვნა ერთგვარი პირველადი პრეცედენტი გახდა მსგავსი მიზეზით აღძრული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა სასამართლოს მიერ. მოსამართლის დასკვნა დაეფუძნა არგუმენტს, რომლის თანახმად სახეზეა თანამდევნი წინააღმდეგობა, რომელიც არსებობს, ერთი მხრივ, რეგისტრირებული საავტორო უფლების მქონე მასალის უწყვეტი დაცვის საჭიროებას და მეორე მხრივ, იმ უფლებას შორის, რომელიც, შესაძლოა, მიეცეს სხვა პირებს, გამოიყენონ და განავითარონ აღნიშნული მასალა. შესაბამისად, სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რადგან მოსამართლის აზრით, მოცემული შემთხვევა არ წარმოადგენდა საავტორო უფლების დარღვევას.

Weird Al' Yankovic has a policy of writing a parody of a song only if he gets permission from the artist. In the late 1980s, the rap group 2 Live Crew attempted to play by the same rules. Luther Campbell, one of the group members, changed the refrain of Roy Orbison's hit "Oh, Pretty Woman" from "pretty woman" to "big hairy woman," "baldheaded woman" and "two-timin' woman." 2 Live Crew's manager sent the bawdy lyrics and a recording of the song to Acuff-Rose Music Inc., which owned the rights to Orbison's music, and noted that the group would credit the original song and pay a fee for the ability to riff off of it. Acuff-Rose objected, but 2 Live Crew included the parody, titled "Pretty Woman," on its 1989 album "As Clean as They Wanna Be" anyway. Acuff-Rose Music Inc. cried copyright infringement. The case went to the Supreme Court, which, in so many words, said, lighten up. "Parody, or in any event its comment, necessarily springs from recognizable allusion to its object through distorted imitation, wrote Justice David Souter. "Its art lies in the tension between a known original and its parodic twin."





## კენი უესტის პოპულური საჩხუპი

### Kanye West Proves to be “Stronger”



კენი უესტს ერთი სადარდებელი მოაკლდა - ილინოისის შტატის მოსამართლემ ვირჯინია კენდალმა 2010 წელს ვინსენტ პიტერსის მიერ უესტის მიმართ აღძრული სარჩელი არ დააკმაყოფილა.

ვინსენტ პიტერსი, რომელიც ამავე დროს Vince P-ის სახელითაა ცნობილი, აცხადებდა, რომ კენი უესტმა მიითვისა მისი სიმღერა "შტრონგერ", მას შემდეგ, რაც პიტერსმა უესტის კომპანიონს, ჯონ მონოპოლის აღნიშნული სიმღერის ჩანაწერის ასლი გადასცა. პიტერსი აცხადებდა, რომ სწორედ ამ სიმღერის მიხედვით შექმნა უესტმა თავისი ახალი ჰიტი, რომელიც მის 2007 წლის პროექტში "Graduation" შევიდა. სარჩელში აღნიშნული იყო, რომ უესტის სიმღერა გახლავთ" პიტერსის სიმღერის ტექსტის მნიშვნელოვანი ნაწილის იდენტური ან თითქმის იდენტური ასლი".

თუმცა, საქმის სასამართლო განიხილვის შემდეგ, მოსამართლე კენდალმა დაასკვნა, რომ სადავო სიმღერები არსებითად არ იყვნენ ერთმანეთის მსგავსი. შესაბამისად, ბრალდებულმა კენი უესტმა სასამართლო მოიგო.

Kanye West's troubles are over – judge Virginia Kendal of the United States District Court for the Northern District of Illinois, dismissed the lawsuit filed against West by Vincent Peters in 2010.

Vincent Peters a.k.a Vince P, claimed that Kanye West stole his song Stronger, after Peters handed the copy of the abovementioned track to West's companion John Monopoly. Peters claimed that West's new hit single, included in his 2007 project Graduation, was created exactly according to the abovementioned demo. It is stated in the lawsuit, that West's song lyrics represented "an identical or almost identical copy of Peter's song."

Although, after the hearing, Judge Kendal claimed that her belief is that the two songs were not so similar after all. Therefore, West, won the case.

# ექსპერტი EXPERT



საავტორო სამართლის საჯარო და ეკონომიკურ ეფექტზე გვესაუბრება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, სრული პროფესორი, ირაკლი ბურდული

Irakli Burduli, full Professor and Dean of the Law Department at the Tbilisi State University, discusses public and economic effects of the Copyright law.



# ინტელექტუალური საკუთრების დაცვა დემოკრატიის სინონიმია

## Protecting Intellectual Property Equals Democracy

**უნდა იყოს თუ არა სახელმძღვანელოები უფასო? ხომ არ არსებობს ალბათობა ავტორის უფლებების დარღვევისა?**

რას ნიშნავს საავტორო უფლების დარღვევა? ერთი მხრივ, უნდა არსებობდეს სუბიექტი, ვინც არღვევს საავტორო უფლებას და მეორე მხრივ, სუბიექტი, რომლის უფლებაც დაირღვა. რამდენადაც ვიცი, საკითხი ეხება განათლების სამინისტროს, იგივე სახელმწიფოს მიერ თანხის გამოყოფას წიგნების შესასყიდად და შემდგომ საჯარო სკოლებისთვის უფასოდ გადაცემას. ამდენად, საკითხი შემდეგნაირად უნდა დავსვათ: მე მაქვს საავტორო უფლება კონკრეტულ ნაშრომზე. ეს სახელმძღვანელო ღირს, პირობითად, ხუთი ლარი და მისი ტირაჟია ხუთასი ეგზემპლარი. თუ სახელმწიფო სასკოლო სახელმძღვანელოების შექმნის ვალდებულებას იკისრებს, თავისთავად ცხადია, ჩემთვის, როგორც ავტორისთვის, სულ ერთია, მშობელი შეიძენს სახელმძღვანელოს თუ სახელმწიფო. მაშინ რაში გამოიხატება საავტორო უფლების დარღვევა? სხვა შემთხვევაში, სახელმწიფომ შეიძლება შეისყიდოს არა ხუთასივე ეგზემპლარი, არამედ, ვთქვათ, სამასი. ეს, თავისთავად ცხადია, მე დამაზარალებს. ვფიქრობ, სახელმწიფო დააწესებს კვოტას,

**Should the school books be free of charge? Are we dealing with a potential copyright violation?**

What does the copyright infringement mean? On the one hand there should be a subject who violates the right and on the other hand there should be a subject whose rights have been violated. As far as I know, this issue regards the Ministry of Education, which represents the State and which plans to allocate money in order to purchase books and then distribute them free of charge among the public schools. Thus the question should be formulated in a following manner: I have a copyright on this specific work. Let's say that this manual costs 5 GEL and the current edition is 500 pieces. If the state assumes the responsibility to buy the whole draw, this means that for me, as an author, it is absolutely the same whether it's the state or a parent that buys the book. If it is the case, why do we think that we are dealing with copyright infringement?

თუ რამდენი ბავშვია სახელმძღვანელოს პოტენციური მომხმარებელი. ასევე გასათვალისწინებელია, თუ რა სახის შეთანხმება დაიდო თავად ავტორსა და გამომცემლობას შორის. შესაძლოა, ჩემი, როგორც ავტორის ჰონორარი, არ იყოს დამოკიდებული ტირაჟზე, ან, სახელშეკრულებო სამართლებრივი ურთიერთობა ითვალისწინებდეს განსაზღვრულ თანხას, რომელიც ავტორს თითოეული გაყიდული წიგნის შედეგად ეკუთვნის.

ამდენად, რაში გამოიხატება საავტორო უფლების დარღვევა, ჩემთვის ბუნდოვანია.

**სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში მთელ რიგ სპეციალობებზე უფასო მიღების გამოცხადება კერძო სასწავლებლებს არაკონკურენტულ პირობებში ხომ არ ჩააყენებს? თუ მათი კონტიგენტი სპეციფიკურია და არა ფასზე, არამედ ხარისხზეა ორიენტირებული? ჩემი აზრით, უფასო პროდუქტი ხარისხით ფასიან ჩამოუვარდება... თან უფასოდ სწავლის პერსპექტივამ შეიძლება საზოგადოების ინფანტილიზმიც წაახალისოს...**

განათლების პოლიტიკის შემუშავება სახელმწიფოს პრეროგატივაა. სახელმწიფოზეა დამოკიდებული, თუ როგორ განახორციელებს მასზე დაკისრებულ ერთ-ერთ ვალდებულებას, რაც გულისხმობს უმაღლესი განათლების სისტემის გამართვას და ზოგადად, საზოგადოების საგანმანათლებლო ფუნქციის შესრულებას. მსოფლიოში განათლების სისტემის მრავალი მოდელი არსებობს. ევროპული მოდელი განსხვავებულია: მაგალითად, გერმანია, სამართლებრივთან ერთად, ლიბერალურ ღირებულებებზე დაფუძნებული სახელმწიფოა და საზოგადოების განათლების საკითხის სხვა ხედვა აქვს. ამერიკა, როგორც სახელმწიფო, ამ საკითხს სხვაგვარად განიხილავს. ამდენად, კონკრეტული სახელმწიფოს განათლების პოლიტიკა ეფუძნება იმას, თუ რა არის მოცემული სახელმწიფოსთვის მიზანშეწონილი. მაგალითად, შესაძლოა, სახელმწიფო მიზანშეწონილად მიიჩნევდეს, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირების სახით ჩამოყალიბებულ

The second option is for the State not to buy all 500 pieces, but only 300. This of course harms me financially.

The State, simply poses a quota, on how many children are the potential users of this book.

All this depends on the agreement that took place between the author and the publisher. It can be so that my, author's honorarium depends on the edition, or that the legal relations allow the author to receive a certain sum from each book that is sold.

This is why I do not really understand why people think it is the copyright violation issue.

**Could the fact that the government opened a free admission to some specialties, put the private educational institutions into a harmful situation? In case their target group is more specific and programs oriented not on price but on quality. Also, I believe that "free of charge" is almost never in line with "high quality". It will also fuel the societal infantilism.**

Developing the education policy is the prerogative of the State. It depends on the State how it chooses to implement one of its necessary functions - higher education and education in general. There exist numerous models. In Europe the model is different. Germany, for instance is a country oriented on social justice, which means that government sees its function through different lens. I mean, that the educational policy of each country depends on the existing need and expedience.

It can be, that for me, as a State, it is more favourable to have some free specialties in the higher education institutions, which are founded as legal entities of public law. As far



უმადლეს სასწავლებლებში კონკრეტული სპეციალობების სწავლება უფასო იყოს. თუ გახსოვთ, 2012 წლის პირველი იანვრიდან ეს სუბიექტები არამომგებიან იურიდიულ პირებად ე.წ. "აიპ"-ებად გარდაიქმნა. საკორპორაციო სამართლის ენაზე ჩვენ მათ "იდეალური მიზნის მქონე იურიდიულ პირებს" ვუწოდებთ. ამჟამად საუბარია იმაზე, რომ ამ სუბიექტებს კვლავ აღუდგეთ საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი. ორივე შემთხვევაში, კერძო სამართლის იურიდიული პირებისგან განსხვავებით, ამ უმადლესი სასწავლებლების უკან სახელმწიფო დგას. უმადლესი სასწავლებლის საქმიანობა არის როგორც საჯარო, ასევე სამეწარმეოც, ვინაიდან უმადლესი სასწავლებელი შპს-ს სამართლებრივი ფორმით არის ჩამოყალიბებული და მოგების მიღება აქვს მიზნად დასახული.

შესაბამისად, ე.წ. "მომაკვდავი პროფესიების" (ფიზიკა, მათემატიკა, ქიმია) გამიჯვნა თუ ხელშეწყობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ ვარიანტს მიიჩნევს სახელმწიფო მიზანშეწონილად. სხვა საკითხია, თუ სახელმწიფო ამ პროგრამების განხორციელების უფლებამოსილებას სხვა კერძო სამართლის იურიდიულ პირებს ჩამოართმევს. ეს შეიძლება სადავო გახდეს. მაგრამ იმის თქმა, რომ პრიორიტეტების გამოკვეთა სახელმწიფოს არ შეუძლია, რა თქმა უნდა, არასწორია.

**რამდენად ითვალისწინებს განათლების პოლიტიკა საქართველოში ბაზრის სპეციფიკას, თუნდაც, დასაქმების კუთხით?**

ჩემი აზრით, ეს დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე, ზოგადად, ქვეყნის განვითარებასა და შესაბამის ხედვაზე. ცხადია, პროფესია მოთხოვნადი ხდება მას შემდეგ, რაც უფრო სტაბილურია სახელმწიფოში ამ პროფესიის შესაბამისი ურთიერთობები. საილუსტრაციოდ საავტორო სამართლის მაგალითს მოვიყვან. ადრე საავტორო უფლებების დაცვის თაობაზე მოთხოვნა არ არსებობდა. მას შემდეგ, რაც გაჩნდა უფლებათა დაცვის საჭიროება, რაც კონკრეტულ ეკონომიკურ-მატერიალურ ეფექტში გამოიხატა, დადგა ამ უფლებათა განხორციელების და დაცვის აუცილებლობა.

as you may remember, since January the 1st 2012, they assumed status of non-profit legal entities. We call them “legal entities with ideal objectives’ in corporate law. There are discussions now about reinstating their status as legal entities of public law. In both cases, there is the state behind the higher education institutions, although this is not the case with legal entities of private law. The functioning of a higher education institution is an activity which derives from the public function, but it is also the State activity, because Ltd-s are founded in a legal form and aim at receiving profit.

Thus, it is also the question of what the State thinks is fit, in order to outline and support the so called “dying professions’ (physics, mathematics, chemistry). Of course, it is a different story if the government removes the right of other legal entities of private law to implement such programs. This could of course become an issue to discuss, although saying that the government doesn’t have the right to prioritize is wrong.

**How much does the education policy in Georgia consider the specificity of the market in terms of employment?**

I believe that it depends on the condition which the country is in, the overall development and prism of the development. It is clear, that professions are on demand only if the relevant professional relations are more stable and demanded in the country. The same regards the Copyright Law. Before, there was no demand to protect copyrights. After the demand emerged and was expressed through certain economic and material effects, the issue of protecting this right was put on the agenda. While taking care of the protection of this right, there are emerging relevant legislative norms. These

ამ უფლების დაცვის უზრუნველყოფა, რა თქმა უნდა, იურიდიული ნორმების შექმნას გულისხმობს. ეს ნორმები, შესაძლოა, არსებობს კიდევ, მაგრამ დღის წესრიგში დგება მათი ამოქმედების საკითხი და შესაბამისად, ეს სფერო ხდება პოპულარული, მოთხოვნადი, განვითარებადი. ავტორები მიდიან დასკვნამდე, რომ საკუთარი უფლებები თავად უნდა დაიცვან ან კოლექტიური მართვის ორგანოს გადასცენ.

ზოგადად, ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მნიშვნელობა რამდენიმე წლის წინ გამოიკვეთა. 90-იან წლებში თავში აზრად არავის მოსვლია, რომ ამ უფლებათა დაცვა სამართლებრივი და დემოკრატიული სახელმწიფოს შენების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა. ჭვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუტები შეიქმნა და ახალმა რეალობამ დღის წესრიგში საავტორო სამართლის დაცვის აუცილებლობა დააყენა.

**სახელმძღვანელოების პრობლემა საავტორო უფლებების კუთხით ერთ-ერთი გადაჭრული პრობლემაა...**

ამ ეტაპზე საავტორო უფლებათა ასოციაციასთან ჩვენ მემორანდუმი გავაფორმეთ და ე.წ. ქსეროქსის აპარატებით გამრავლებულ ასლებზე გადასახადი დავაწესეთ. ეს პროცესი სრულიად ქაოსური და უკონტროლო იყო. ბუნებრივია, სტუდენტს ურჩევნია წიგნის ნაცვლად გაცილებით იაფი ქსეროასლი შეიძინოს. ასლგადამღები აპარატები ერთ-ერთ შპს-ს იჯარით ჰქონდა აღებული და მის ვალდებულებებში საავტორო უფლებებზე მონიტორინგი არ შედიოდა. იმედი, მალე სტუდენტებს ექნებათ თავისუფალი წვდომა მსოფლიოს ყველაზე მასშტაბურ ელექტრონულ ბიბლიოთეკებთან და მსგავსი ასლების საჭიროება აღარ იარსებებს.

**რამდენადაა გათვალისწინებული საავტორო სამართალი სასწავლო პროგრამებში?**

2012 წლის შემოდგომა-ზამთრის სემესტრში საავტორო უფლებათა ასოციაციასთან, ჩიკაგოს უნივერსიტეტის სამართლის სკოლასთან და იტალიის ერთ-ერთი უნივერსიტეტის სამართლის

norms can exist, but they become relevant and important only after the field becomes more popular, after it develops. Authors conclude that they need to protect their own rights or pass them over to the collective rights management organizations.

It became a priority to protect intellectual property, within the past few years. In the 90-s no one even thought of it as an important characteristic for a democratic state. Now, the democratic institutions were created and the reality brought about the understanding that copyright law needs more attention.

**The handbook and manual problem is one of the unsolved problems in terms of copyright ...**

At this stage, we have signed a memorandum with GCA and established a fee on copies made by Xerox machine. This process used to be completely chaotic and unorganized. Of course, it is easier for a student to buy a photocopy which is much cheaper than the original book. The Xerox machines were taken on lease by the Ltd-s and it was not their responsibility to monitor copyright protection. I hope that the students will soon have access to one of the biggest electronic libraries worldwide and won't have the need to use such copies.

**Can you please tell us how much is the copyright law considered in teaching programs?**

In the past semester, which is autumn-winter 2012, we implemented a certificate program together with GCA, Chicago University Law School and one of the Italian Law Schools. It was a bilingual Georgian-english program. The students had to study and successfully





სკოლასთან თანამშრომლობით ერთობლივი სასერთიფიკატო პროგრამა განვახორციელეთ. პროგრამა ქართულ-ინგლისური იყო და მოდულარულად ჩატარდა: სტუდენტს უნდა გაეგო სწავლების კურსი და წარმატებით ჩაებარებინა გამოცდები რამდენიმე საგანში. სულ იყო ოთხი საგანი; ორ საგანში გამოცდა ინგლისურ ენაზე ჩატარდა და ეს საგნები სტუდენტებისთვის შეთავაზებულ იქნა ამერიკელი და იტალიელი პროფესორების მიერ. მომდევნო ორი საგანი - ჩვენი, ადგილობრივი პროფესორების მიერ იყო შეთავაზებული. პროგრამამ ბევრი დაინტერესებული მსურველი მოიზიდა: თუ არ ვცდები, 100-ზე მეტი განაცხადი მივიღეთ. ვინაიდან ასაკაციანი ჯგუფების შექმნა გამართლებული არ იყო, მხოლოდ ოცდათორმეტი სტუდენტი ჩაირიცხა; აქედან კურსის წარმატებით დასრულება მხოლოდ თერთმეტმა შეძლო. სადღეისოდ საავტორო სამართალში ერთწლიანი სამაგისტრო

pass exams in several subjects. There were 4 subjects, two were in English and were conducted by American and Italian professors. The rest was lead by local professors. There were many applicants. If I'm not mistaken, we received more than a hundred applications. We couldn't have such a big group and selected 32 students, out of which 11 managed to successfully pass the program.

We now plan a year long MA program, in Copyright law. This will be a Georgian program with some additional subjects. However the fate of this program is connected to the legislative discrepancies which are present in our Law on Higher Education. This means that our right to implement MA programs is under the

პროგრამის შემუშავებას ვგეგმავთ. პროგრამა ქართულენოვანი იქნება, თუმცა სხვადასხვა საგანი იქნება შემოთავაზებული. თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნო უმაღლესი განათლების შესახებ კანონში არსებული საკანონმდებლო ხარვეზის შესახებ, რომელიც სამაგისტრო პროგრამას უკავშირდება და რომლის გამო სამაგისტრო პროგრამების განხორციელების უფლება კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. კანონმდებლობის თანახმად, მაგისტრატურა ორწლიანია, ე.ი. მინიმუმ 120 კრედიტიანი; ჩვენ არ გვაქვს 60 ან 90 კრედიტიანი სამაგისტრო პროგრამის განხორციელების უფლება. მე ვფიქრობ, უნივერსიტეტებს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ, დამატებითი კვალიფიკაციის სახით განახორციელონ 60 კრედიტიანი (სამაგისტრო) პროგრამები, ვინაიდან დარწმუნებული ვარ, რომ მსგავსი მოკლევადიანი სამაგისტრო პროგრამით ძალიან ბევრი არა მხოლოდ სტუდენტი, არამედ უკვე მოქმედი იურისტიც დაინტერესდება. საავტორო სამართალში იურისტების ნაკლებობა შეიმჩნევა. შესაბამისად, დღის წესრიგში დგას მათი გადამზადების ამოცანა და ამ თვალსაზრისით ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი სწორედ სამაგისტრო პროგრამებია.

**შესაბამისად, საავტორო სამართლის განვითარება ეკონომიკურ ეფექტსაც მოიტანს...**

გეთანხმებით, თანაც ეს ეფექტი მრავალმხრივი და ძალიან მნიშვნელოვანია. პირველ რიგში, მივიღებთ საჯარო სამართლებრივი ეფექტს: იმ ქვეყანაში, სადაც საავტორო სამართალი და ინტელექტუალური საკუთრება დაცული და გარანტირებულია, საუბრობენ დემოკრატიის მაღალ ხარისხზე, სამართლებრივ სახელმწიფოზე. მეორე მხრივ, საზოგადოების განათლების დონე ამაღვსდება. თუ მე, პროფესორს, კანონი დამავალდებულებს, სამეცნიერო ნაშრომის შექმნისას დავიცვა აკადემიური ბატონსება, კეთილსინდისიერება, სხვას არ მოვპარო ნააზრევი, ხოლო სხვის მეცნიერულ მიგნებათა საფუძველზე ჩემი შეხედულების განვითარებისას შესაბამისად წყაროები მივუთითო, - სხვა სიტყვებით, თუ მე არ მივმართავ პლაგიატს, არამედ ვიქნები კეთილსინდისიერი მეცნიერი

question mark. According to the legislation, the Master programs last 2 years and have a minimum of 120 credits. We do not have the right to implement an MA program with 60 credits or 90 credits. I hope that this discrepancy will be solved. The university needs to have the right to have short term MA programs as a supplementary qualification.

I am sure that many people, not only students, but also practicing lawyers will be interested in such a program. Thus the issue of requalification stands strongly on our agenda. In this case MA programs are one of the most important aspects.

**This means that the development of Copyright law will become the base for the economic effects ...**

I agree, it can have huge effects. One is the public and legal effect. In a country, where copyright and intellectual property is protected and guaranteed, we can talk about the higher level of democracy. Then there is the educated society. If a professor, who is required to create an academic or scientific work, protects academic honesty and does not steal someone's thoughts and ideas for his/her own argument, indicates all the sources as it should be done, it means that he/she is not a plagiarist. I will be an honest, good professor who protects intellectual property. This can of course influence the level on which our society stands. The society will develop further become more educated and aware. I would say that justice is inherent to societies with higher culture. In countries where there is no such culture, people do not feel or realize need for justice. These are things logically connected to each other.



ინტელექტუალური საკუთრების დაცვის თვალსაზრისით, - საზოგადოების განათლების და კულტურის დონე, რა თქმა უნდა, ამალდდება; იგი უფრო განათლებული და გათვინცნობიერებული გახდება. ვიტყვით, რომ სამართალი, ზოგადად, კულტურული საზოგადოებისთვისაა დამახასიათებელი. საზოგადოებაში, სადაც კულტურა არ არსებობს, არც სამართლის შეგნება და განცდა არსებობს. ეს ყოველივე ერთმანეთზე ლოგიკური ჩაჭვივით არის აკინძული და შედუღებული. რაც შეეხება ეკონომიკურ ეფექტს, წიგნის დაწერა მომგებიანი გახდება, ვინაიდან განათლებულ საზოგადოებაში გაჩნდება მოთხოვნა კარგ წიგნზე. ამდენად, როგორც ზემოთ აღვნიშნე, საავტორო სამართლის დანერგვა მრავალმხრივ სასარგებლო ეფექტს მოიტანს და ვიმეორებ, რომ ინტელექტუალური საკუთრების დაცვა და სამართალი პირდაპირპროპორციულია იმისა, რამდენად შემდგარია ქვეყანა დემოკრატიული, სახელმწიფოებრივი განვითარების თვალსაზრისით.

### **ანუ ყველაფრის დელეგირება სახელმწიფოზე ხდება?**

რასაკვირველია. სახელმწიფოა ყველაფრის მასტიმულირებელი, სახელმწიფომ უნდა შექმნას ჩარჩო პირობები, იქნება ეს ლიბერალური თუ სხვა. მან უნდა შეუწყოს ხელი ამ ყველაფრის განვითარებას.

### **და ინდივიდებზე რა არის დამოკიდებული?**

სახელმწიფომ უნდა შექმნას ჯანსაღი, კონკურენტუნარიანი გარემო და მერე უკვე ინდივიდები, რომლებიც ჩართულნი იქნებიან ამ გარემოში, თავად მოაწესრიგებენ ყველაფერს. ერთი ავტორის წიგნი იურისპრუდენციაში უფრო კარგად გაიყიდება, მეორისა არ ივარგებს და არ გაიყიდება. ბაზარი ამას თავისთავად დაარეგულირებს. თუ სახელმწიფო არ იზრუნებს ამ პირობების შექმნაზე, ქაოსურად ეს არსად მომხდარა და არც მოხდება. სამართლებრივი ჩარჩოების შექმნა სახელმწიფოს ფუნქციაა. მან ინდივიდები ერთმანეთთან უკანონო, მგლური წესებით კი არ უნდა აჩხუბოს, არამედ თანაბარი პირობები უნდა შეუქმნას განვითარებისთვის.

As for the economic effect, it will become profitable to create books. The educated society will demand good books. This has multiple effects. This is why I'm saying that protecting intellectual property is directly proportionate of whether or not the state is democratic in terms of its development.

### **So you mean that everything is delegated to the State?**

Of course not. The state has to create a frame for that – provide the conditions, whether it's liberal or otherwise. The state needs to support development of all the abovementioned factors.

### **Is there anything that depends on individuals?**

The state needs to create an environment of healthy competition and after this, the individuals, who are involved in this environment will regulate the field themselves. One book of an author in jurisprudence will sell better and if his rival's book is not good it will not sell. Market will regulate this itself. If the state does not take care of creating these conditions, there will be chaos and nothing comes out of it. This is the function of the state. Individuals cannot be fighting with some jungle rules. Individuals need to have equal opportunities for development.

# ხელოვნების საბანძური

## TREASURE OF ART



გიორგი კალანდია / George Kalandia



# ხელოვნების სასახლის საბანძურიდან

## From the Treasury of the Art Palace

საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის თეატრალურ და ქორეოგრაფიულ კოსტუმთა კოლექცია საქართველოში უმდიდრესია. იგი პირობითად სამი ნაწილისაგან შედგება, ესენია: თეატრალური, კინო და ქორეოგრაფიული კოსტუმები. მართალია, კოლექცია ქრონოლოგიურად არც თუ ისე ვრცელ პერიოდს, ძირითადად XIX-XX საუკუნეებს მოიცავს, მაგრამ მისი მხატვრული და ეროვნული ღირებულება უდიდესია. 100-მდე კოსტუმი და აქსესუარი საეტაპო მნიშვნელობის ქართული კინოფილმების, თეატრალური დადგმებისა და ქორეოგრაფიული სცენების ისტორიას ასახავს. აქვე წარმოდგენილია სასცენო ხელოვნების ისეთ თვალსაჩინო მოღვაწეთა ნამუშევრები, როგორებიცაა სოლიკო ვირსალაძე და იამზე დოლაბერიძე.

The collection of choreographic and theatric costumes in the State Museum of Cinema and Choreography is the richest in Georgia. It can be divided in three parts: theatric, cinematographic and choreographic costumes. Although chronologically the collection, does not embrace a vast period of time and can mainly be dated by XIX-XX centuries, its artistic and national value is enormous. Almost 100 costumes and accessories reflect different stages of Georgian cinema, theatric and choreographic stagings. Here, we also have the work of such prominent artists of stage art, as Soliko Virsaladze and Iamze Dolaberidze.



მუზეუმში დაცული უძველესი კოსტუმი, რომელიც, სავარაუდოდ, XIX საუკუნის შუა პერიოდით უნდა დავათარილოთ, არის კაბის გულისპირი, იგივე კორსეტი, რომელსაც ქართველი და სხვა კავკასიელი ქალები წელში გამოუყვანილი კაბის შიგნით იცვამდნენ. ატლასის წითელი გულისპირი მოოქროვილი ღილისმაგვარი მოგრძო ბალთა-აბზინდებითაა შემკული. შესრულების ვირტუოზულობითა და ხელოვნების მაღალი დონით გამოირჩევა მელხიორისაგან დამზადებული ქამარი, რომელიც ჩრდილოკავკასიური ორნამენტების საფუძველზეა შემქნილი. ეს გულისპირი ელენე ჩერქეზიშვილს ეკუთვნოდა და როგორც ჩანს, იგი ქალის მდიდრული კოსტუმის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა.

ოსმალური კოსტუმი "სუბუნი", რომელიც სტამბოლში, ბაიაზიტის უბანშია შექმნილი. მამაკაცის მდიდრულად მორთული ხავერდის ეს მოსასხამი, რომელიც უფრო პიჯაკს წააგავს, ორნამენტების სიუხვით გამოირჩევა. XVI საუკუნეში დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით, სუბუნს მოქარგულობით ამკობდნენ, მკლავებს კი მდიდრული ფოჩებით ამშვენებდნენ.



ზურგზე გამოყვანილი ოქროს ძაფით მოქარგული ორნამენტები მზის დისკოს და სიცოცხლის ხის თავისებური ინტერპრეტაციაა. ამ შემკულობას იმ სუბუნებზე იყენებდნენ, რომლებიც ძირითადად სამხედრო პირებს და მამულუქებს ეცვათ. რაც უფრო წარჩინებული იყო პირი, მით უფრო მდიდრული გახლდათ მისი სუბუნი.

ძველი ოსმალური სუბუნის თავისებური ინტერპრეტაციაა კინოფილმ "მამლუქის" (1958 წ.) მთავარი გმირის მაჰმუდის (ოთარ კობერიძე) წითელი კოსტუმი. მაუდისაგან შესრულებული ეს ტანსაცმელი სუბუნის ძირითად ელემენტებს იმეორებს, თუმცა იგი გაფორმების გაცილებით მაღალი დონით გამოირჩევა და აქედან გამომდინარე, უფრო თურქი ჯარისკაცის (ასკერის) სახეიმო მოსასხამს წააგავს. როგორც ჩანს, ფილმის მხატვარმა რევაზ მირზაშვილმა ამ შემთხვევაში ნიმუშად ოსმალეთის უკანასკნელი სულთნის აბდულ ჰამიდ II-ის (1842-1918) პირადი გვარდიის ჯარისკაცთა აღკაზმულობა გამოიყენა.



The oldest costume that is preserved at the museum, can be dated back to the middle of XIX century. It is a corset, which Georgian and other Caucasian women used to wear underneath their dresses, which were narrow in waist. The red satin corset is adorned with gilded button-like long buckles. The Melchior belt stands out with virtuosity and high artistic quality, and is adorned mostly with north Caucasian ornaments. This corset belonged to Elene Cherkezishvili and it seems that it was a part of clothing made for a rich woman.

The Osman costume “Subun’, which was created in Istanbul’s Beyazit district. This richly adorned velvet male cloak, which actually reminds more of a jacket, stands out with the generous number of ornaments. According to the tradition established in XVI century, Subun was embroidered and fringes decorated the sleeves.

The embroidery present on the back, is performed with golden and represents an interpretation of sun-disc and the tree of life. This adornment was typically used on Subuns, worn mostly by military men and Mamelukes. The more noble and prominent a person was the richer was his Subun.

An interpretation of the old Osman Subun is the red costume worn by Mahmud (Otar Koberidze) in the film “Mameluqi’ (1958). This clothing performed in broadcloth, repeats the main elements of Subun, although it stands out with higher skill of adornment and thus reminds more of a festive cloak worn by Turkish soldiers (Askers). It seems like, the costume designer, that worked on this film Revaz Mirzashvili, took as a sample the typical clothing and adornment of the guards that served with the last Ottoman sultan Abdul Hamid II (1842-1918).

This is the toreador’s costume. It belonged to the famous Georgian singer Sandro Inashvili. One important circumstance should be noted,





ტორეადორის სამოსი ცნობილ ქართველ მომღერალს სანდრო ინაშვილს ეკუთვნოდა. აღსანიშნავია ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: მართალია, ტანსაცმელი გამოიყენებოდა, როგორც თეატრალური კოსტუმი, მაგრამ ის ორიგინალია და დამზადდა მილანში, როგორც მატადორის ტანსაცმელი, იმავე პრინციპებითა და ტექნიკით. მატადორის სახეიმო კოსტუმი მსოფლიო მოდის ისტორიაში ერთ-ერთ ბრწყინვალე ნიმუშად ითვლება; სიტყვასიტყვით თარგმანში მას "ცეცხლოვანი კოსტუმი" (ტრაჯე დე ლუცეს) ეწოდება. XVIII საუკუნემდე ტანსაცმელს ზამშისგან ამზადებდნენ, შემდეგ კი მას აბრეშუმისაგან, ოქროსა და ვერცხლის ძაფებისაგან კერავდნენ და ბრჭყვიალა ფირფიტებით ამკობდნენ.

მუზეუმში ტორეადორის მეორე კოსტუმიც ინახება, იგი ყავისფერი ხავერდისგანაა დამზადებული და შედარებით მწირადაა გაფორმებული.

ჯამბაზის სამოსი მომღერალ სანდრო ინაშვილისთვის ოპერა "რიგოლეტოდან". ჩვენთვის დანამდვილებით არაა ცნობილი, სად და ვის მიერ შეიკერა ეს კოსტუმი, თუმცა, ვფიქრობთ, რომ იგი ევროპაში უნდა იყოს შექმნილი, რასაც კოსტუმის გაფორმების სტილი, მასზე ამოქარგული სიმბოლიკა, ორნამენტები და ფერთა პალიტრა გვაფიქრებინებს. კოსტუმი XVII საუკუნეში ჰოლანდიასა და დანიაში დამკვიდრებული მოდის სტილის მიხედვითაა შეკერილი. გამოკვეთილია ფართო მაქმანებიანი საყულო, სწორედ ისეთი, როგორც რუბენსის პორტრეტების პერსონაჟებს ამშვენებს.



მომღერალ იოსებ ჯანდიერის ქულაჯა და ახალუხი 1890 წელს უნდა იყოს შეკერილი. კოსტუმი სადაა, მაგრამ ეფექტური, შინდისფერი ხავერდის ქულაჯა ქართული მოკლეკალთიანი ჩოხის სტილის მსგავსადაა შეკერილი, კიდევზე დამაგრებული ოქროსფერი კანტები კი გამომსახველობით ეფექტს აძლიერებს.

ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშებს წარმოადგენს სახელმოხვეჭილი ბალერინის, საქართველოს სახალხო არტისტის, ლილი გვარამაძის საცეკვაო კაბების კოლექცია.



while it is true that the costume was made for theatrical performance, it is an original piece and was created in Milano as the real clothing for a matador, using same principles and technique. The festive costume of a matador is considered to be one of the biggest masterpieces in the history of the world fashion. It is called "traje de luces" - the costume of fire. Up to the XVIII century, this clothing was made of suede, and then sewn and embroidered by gold and silver threads, and adorned by shiny silver plates.

We have preserved the second costume of Toreador, made of brown velvet and adorned in a relatively modest way.

The clown costume belongs to singer Sandro Inashvili and was used for opera Rigoletto. It is unknown where exactly the costume was made and who was the author, although the style of adornment of this costume, the symbolic embroidery and color pallet suggests, that it was created in Europe. Costume reflects the fashion established in XVII century Holland and Denmark. Wide, lacy collar stands out just as on Rubens's portraits.

Kulaja (a coat made of precious cloth) and Akhalukhi (typical caftan) belonging to the singer Ioseb Jandieri was made around 1980. Costume is modest, but impressive. Kulaja made of dark red velvet resembles the short Chokha (Georgian national suit), at the end the hemline is gilded, which strengthens the effect.

The collection of dresses, belonging to the famous Georgian dancer Lili Gvaramadze, represent the excellent artistic work. The ones that deserve mentioning the most are the pink and golden festive dresses. Their breast area, bracelets and belts are generously ornamented with silver threads. Both costumes are made according to the examples of traditional Georgian female clothing from XIX century. The golden dress comes with a crown, whose





მათგან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ვარდისფერი და ოქროსფერი სადღესასწაულო კაბები. კაბების გულისპირები, სამაჯურები და სარტყელები ვერცხლის ძაფით უხვადაა ორნამენტირებული. ორივე კოსტიუმი XIX საუკუნის ქართველი ქალის სამოსელის ტრადიციის მიხედვით არის შეკერილი. ოქროსფერ სადღესასწაულო კაბას თავსაბურავად გვირგვინი მოჭყვება, რომლის სარტყელი ოქრომკერდითაა შესრულებული. საქართველოში ოქროსფერი კაბის თავსაბურავი ნაძვისებური მეთოდითაა მოქარგული, მასზე ვიწრო და გრძელი საბურველი - ლეჩაქია დამაგრებული. გვირგვინს მარგალიტის მძივის საყელურიც ამშვენებს.

საბალეტო კოსტუმებს უნდა მივაკუთვნოთ ორნამენტებიანი თეთრი და ვარდისფერი კაბები. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ორივე ეს ნიმუში ქართული და დასავლეთევროპული ტრადიციების ნაზავია. წელში გამოყვანილი კაბების ფორმა მათ ევროპულ ხასიათს მიუთითებს, თუმცა საყელო, მკლავები და ქამრის პირი ანჩისხატისა და სამთავისის ტაძრის ორნამენტებითაა მოხატული. თეთრ კაბაში რუსული ნაციონალური კოსტუმის ელემენტებიც ფიგურირებს, რაც გულისპირის ხის სალილეების გაფორმებაშია გამოხატული.



ხელოვნების საუცხოო ნიმუშს წარმოადგენს ნაცრისფერი საბალეტო კოსტუმი, რომელსაც, პირობითად, ყაბალახიანი კაბა-ჩოხა ვუწოდებთ. ეს კოსტუმი ქართველი ქალბატონისა და მამაკაცის ტრადიციული სამოსის უნიკალურ ნაზავს წარმოადგენს. იისფერ, წელში გამოყვანილ კაბის ჭვედატანს ფართოდ გაშლილი ჩოხის კალთები აქვს შემოკერებული, გულისპირზე კი ჩოხის მასრებია დამაგრებული. მოკლე მკლავები გრძლად გაშლილი სახელოებით სრულდება.

ასეთივე საინტერესო ექსპონატია აბრეშუმის მოხატული საბალეტო კოსტუმი, რომელშიც სლავური ტანსაცმლის ელემენტები საუკეთესოდაა შეხამებული ქართულთან. გულისპირი ჰუსარის სალილებითაა შემკული, კაბის ბოლოსა და მკლავების მოხატულობა კი რუსულ ორნამენტებს მოგვაგონებს. კაბა, შეიძლება ითქვას, სამიარუსიანია. ვარდისფერ ჭვედა ბოლოს ორ ფენად კალთები აქვს შემოკერებული.



belt is performed in silver and gold threads. In Georgia, the headwear for golden dress is typically embroidered in a fir-like fashion. It has two narrow and long headscarves – “lechaqi” fixed upon it. The collar made of pearl beads adorns the crown.

White and pink ornamented dresses should be attributed to ballet costumes. We can boldly say, that both of the pieces represent mixture of Georgian and Western traditions. The shape of the narrow waist dresses indicates that the style is European, although the collar, sleeves and belt is adorned with ornaments from Anchiskhati and Samtavisi churches. The white dress has the elements from Russian national costumes as well, which is expressed through the wooden buttons and buttonholes on the breastplate.

The grey ballet costume, which we call which is a mixture of a dress, Chokha and Kabalakhi (a type of Georgian headwear), represents a unique piece of art. This costume is the unique mixture of the traditional Georgian male and female costumes. The purple, narrow waist dress has the wide hems typical of a Chokha. On the breast, there are the bullet cases also typical of Chokha. Short arms end in long sleeves.

Another interesting piece is the silk ornamented ballet costume, in which elements of Slavic and Georgian clothing are merged very skillfully. The breastplate is adorned with Hussar buttonholes, while hemline and sleeve ornaments remind us the Russian style. The dress consists of three parts. Pink skirt has two layers of hems around it.

The special memorial importance is attributed to the Adjarian Chokha that belonged to the famous national artist Pridon Sulaberidze. The costume’s waist is 61 cm, which indicates what rigid standards were used for Georgian dancers. Mr. Sulaberidze remembers that no other dancer could fit into his costume.





განსაკუთრებული მემორიალური მნიშვნელობა ენიჭება ცნობილი ქორეოგრაფის, საქართველოს სახალხო არტისტის ფრიდონ სულაბერიძის აჭარულ ჩოხას. კოსტუმის წელის გარშემოწერილობა 61 სანტიმეტრია, რაც კარგად მიუთითებს იმ პერიოდის ქართველ მოცეკვავეთათვის დადგენილ მკაცრ სტანდარტებზე. ბატონი ფრიდონი იგონებს, რომ მისი კოსტუმის მორგება ვერც ერთმა მოცეკვავემ ვერ მოახერხა.

უნიკალური ხელოვნების ნიმუშია "დოქებით ცეკვის" კოსტუმი, რომელიც მუხუშუმს ქართული ნაციონალური ბალეტის ხელმძღვანელმა ნინო სუხიშვილმა გადასცა. კოსტუმი 1950-იან წლებშია შექმნილი ცნობილი ქართველი თეატრალური მხატვრის სიმონ (სოლიკო) ვირსალაძის მიერ. ლურჯ-ცისფერი კოსტუმების არქიტექტონიკაში იგრძნობა დაღესტნელი ქალის სამოსის გავლენა, რასაც ხაზს უსვამს ვერცხლის სამკაულთა სიმრავლე. იკითხება მოდერნული ხელოვნებისთვის დამახასიათებელი მიდრეკილება დეკორატიულობისა და ეგზოტიკურობისაკენ. თუმცა, ევროპელი მოდერნისტებისაგან განსხვავებით, არც ვირსალაძეს და არც ქორეოგრაფებს შორის წასვლა არ დასჭირვებიათ: კავკასიური ტანსაცმელი და კოლორიტული პლასტიკა შესანიშნავ მასალას იძლევა სრულიად ახალი მხატვრული რეალობის შესაქმნელად (კ. ჯანდიერი).



გვერდს ვერ აგუვლით კოსტუმს ცეკვისათვის "ქართული", რომელიც მუხუშუმს ქალბატონმა იამზე დოლაბერიძემ გადასცა. საუურადღებოა, რომ კოსტუმის ავტორი თავად მოცეკვავეა. ქართულის კაბა შეხედვისთანავე საზეიმო ეფექტს ტოვებს - აქ ბიზანტიური საიმპერატორო ლორონების, შუა საუკუნეების ევროპული ტანსაცმლის და XIX საუკუნის ქართული ნაციონალური კოსტუმის დეტალები იმდენად ვირტუოზულადაა შეხამებული, რომ ერთიანი ეკლექტიზმის განმაცვიფრებელ შთაბეჭდილებას ტოვებს მნახველზე. თუ სამკლავები და კაბის ბოლო სადად არის გაფორმებული, სამაგიეროდ, უხვადაა ორნამენტირებული გულისპირი და სარტყელი. დოლაბერიძე ამ შემთხვევაში ბრწყინვალედ იმეორებს გელათის,



One of the unique pieces of art is the costume from “water jar dance”, which was donated to the Museum by the head of the Georgian National Ballet, Nino Sukhishvili. This costume was created in 1950’ies, by the famous Georgian stage artist Simon (Soliko) Virsaladze. In the architectonics of the blue-azure costumes, we can feel the influence of a dress that belongs to a woman from Daghestan, highlighted by the great amount of silver accessories. We can see the tendency of modernist artists towards decorations and exotic touch. Although, unlike the European modernists, Virsaladze and choreographers did not need to go too far: the Caucasian clothing and plastic provide incredible material for completely new pictorial reality. (K. Jandieri) We cannot ignore the costume created for the dance Kartuli, which was donated to the museum by Iamze Dolaberidze. It is noteworthy, that the author of the costume is the dancer herself. This dress leaves the sense of festivity once you look at it. Details inherent to Byzantine style, medieval European and Georgian details from the XIX century are merged in such a virtuous way, that they create the astonishing feeling of unified eclectics. If the sleeves and hemline are adorned in a very modest way, the breastplate and belt are generously ornamented. Dolaberidze, in this case, repeats brilliantly the adornment of kings’ clothing depicted in Gelati, Svetitskhoveli and Davit Gareji frescos. The breast ornaments remind us of the enamel medals, while ornaments present on the belt are like those of queen’s gilded embroidery.

So-called King Tamar’s costume is also preserved in our museum. It was performed according to the fresco discovered in Vardzia (author unknown). It is noteworthy, that costume’s festive appearance, the imitation of crown jewels performed in silk, silver and golden threads, depicts skillfully the brilliance and color of Tamar’s epoch. All three frescos of King Tamar, that have





სვეტიცხოვლის და დავით გარეჯის ფრესკებზე გამოსახულ მეფე-მთავართა ტანსაცმლის გაფორმებას. გულისპირის მორთულობა ემაღლის მედალიონებს, ხოლო სარტყელზე დატანებული ჩუქურთმები - სადედოფლო ტანსაცმლის ოქრომკედის ნაქარგობას მოგვაგონებს.

მუზეუმში ასევე დაცულია ე.წ. თამარ მეფის კოსტუმი, რომელიც ვარძიის ფრესკის მიხედვითაა აღდგენილი (სამწუხაროდ, ავტორის ვინაობა უცნობია). საყურადღებოა, რომ კოსტუმის სახეიმო სახე, აბრეშუმით შესრულებული ძვირფასი თვლების იმიტაცია და ოქრომკედი ოსტატურად გადმოსცემს თამარის ეპოქის ბრწყინვალეობასა და კოლორიტს.



თამარ მეფეს სამივე შემორჩენილ ფრესკაში განსაკუთრებულად ლამაზი და ძვირფასი ქვებით შემკული გვირგვინი ახურავს. მარგალიტის ტოტები სწორად აქვს გაკეთებული, თავზე კი ლეჩაქი ახურავს, რომელიც გვირგვინიდან ჩამოდის და ყელს ქვემოთ არის გამოტარებული. მეფეს ვიწროსახელოებიანი ბისონი აცვია. იგი ცოტა მოკლეა, რომლის ქვეშაც კვართი მოჩანს. კვართს ვიწრო და ბისონზე უფრო გრძელი სახელოები აქვს, რომლებიც სამაჯურიტ სრულდება. თამარს სამაჯურები პირდაპირ ბისონის ვიწრო სახელოებზე აქვს გაკეთებული. მეფის მხრებსა და იდაყვებს ძვირფასი ქვებით შემკული მანიაკი ამშვენებს; დიადემა კი ორ ტოტადაა კვართის მთელ სიგრძეზე ჩამოშვებული. მეფეს ყველა ფრესკაზე საყურეები უკეთია. საყურე ძველად მხოლოდ ქალის კუთვნილებას არ წარმოადგენდა. ძველ რომში ყველა სენატორი ცალ ყურზე საყურეს იკეთებდა, საქართველოში კი მას ერისთავთ-ერისთავები ატარებდნენ. თამარ მეფის ფრესკა საინტერესო ინფორმაციას გვაძლევს ასევე ძველ საქართველოში თმის დაყენების წესის შესახებ. XII საუკუნეში ჩვენში თმის მოგრძო, კულულებად დაყენება სცოდნიათ. კულულებს კოწოლი ერქვა; ასეთ ვარცხნილობას კი კოწოლდაყრა. ქალწულები ნაწნავებს ატარებდნენ, თმის ერთ კავს წინ ჩამოუშვებდნენ, მეორეს კი უკან. მეფე თამარს ორივე კავი წინ აქვს გადმოშლილი, რაც იმის ნიშანია, რომ გვირგვინოსანი უკვე გათხოვილი იყო, რადგან გასათხოვარ მანდილოსანს წინ მხოლოდ ერთი ნაწნავის გადმოშლის უფლება ჰქონდა.






reached modern times, she wears a particularly beautiful crown adorned with jewels. She wears pearl threads and “lechaqi” (type of a headscarf), which falls down from the crown and reaches her throat. She wears a king’s long-sleeved byssos. Byssos is a bit short and underneath it we see “kvarti” (the shroud). The shroud has longer sleeves than the narrow byssos, and they end in bracelets. Tamar wears bracelets directly on the narrow sleeves of the byssos. Shoulders and elbows of the king are adorned by the jewels and pearls. Diadem falls down in two branches on the whole shroud. On all of the frescos, Tamar wears earrings. The earrings, in that time, did not only belong to women. In ancient Rome each senator wore an earring, while in Georgia they were worn by noblemen. Observing Tamar’s frescos gives us interesting information about the hairstyles in old Georgia.

In XII Georgians wore longer, curled hair. They called this type of curls “kotsoli”. This type of the hairstyle was called “Kotsol Dayra”. Maidens wore braids and one tress would hang at the front, while another was on the back. Tamar has both tresses on the front, which means that queen was already married. Since the unmarried lass only had right to have one tress at the front.



# შედეგის ისტორია

## HISTORY OF THE MASTERPIECE



გურამ დოჩანაშვილი / Guraam Dochanashvili




# “სამოსელი პირველი” - ბიბლიური იბავიდან ტოტალიტარიზმის მეტაფორად

“The First Garment” (Samoseli Pirveli)- From a Biblical  
Parable To The Metaphor of Totalitarianism

რუბრიკაში "შედეგის ისტორია" ვისაუბრებთ  
გურამ დოჩანაშვილის რომანზე "სამოსელი  
პირველი". არანაკლებ მნიშვნელოვანია,  
თუ ვინ და როგორ წაიკითხავს რომანს.  
გვესაუბრება საუკეთესო "მკითხველი"  
კახა ჯამბურია, ლიტერატურათმცოდნე,  
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.

In our rubric “history of a masterpiece’, we will  
talk about Guram Dochanashvili’s novel “the  
First Garment’. It is equally important how the  
book is read and who the reader is. We are  
conversing with the best possible “reader’ of  
this text - Kakha Jamburia, literary critic and  
PHD in philological sciences.



კახა ჯამბურია / Kakha Jamburia

ნებისმიერი ლიტერატურული ტექსტის აღქმა-გააზრების დროს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს კონტექსტს. ერთი და იგივე ტექსტი სხვადასხვა ეპოქაში ადამიანმა შეიძლება სრულიად სხვადასხვაგვარად წაიკითხოს. ამიტომ უნდა გავიხსენოთ, როდის გამოქვეყნდა "სამოსელი პირველი". ეს იყო გასული საუკუნის 70-იანი წლები, როდესაც საქართველოში დიდი ინტერესი იყო ლიტერატურის და კერძოდ, ქართული პროზის მიმართ, მაგრამ, ძირითადად, გამოსახვის რეალისტური მეთოდი გაბატონებული იყო. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქართული პროზა იყო გამომსახველურად ღარიბი, პირიქით, იგი ძალიან საინტერესო იყო: იბეჭდებოდა ნოდარ დუმბაძის, რევაზ ინანიშვილის, რეზო ჭეიშვილის, ოთარ ჩხეიძის, ოთარ

While reading and analyzing any literary text, it is very important to pay attention to the context. The same text can be read in many different ways in different times. It is very important to consider when the First Garment was actually published. It was 70-ies, when there emerged a huge interest towards literature, and especially Georgian prose, in the face of dominant realistic methods. This does not mean, that Georgian prose was poor, on the contrary, it was very interesting. Nodar Dumbadze, Revaz Inanishvili, Rezo Cheishvili, Otar Chkheidze, Otar Chiladze and others were being published. Later, Chabua Amirejibi's novel came out as well as Jemal Karchkadze's short stories. So, Georgian prose was diverse, but still:



ჭილაძის ნაწარმოებები; შემდეგ ჭაბუა ამირეჯიბის რომანიც გამოქვეყნდა და ჯემალ ქარჩხაძის მოთხრობებიც. ასე რომ, ქართული პროზა მრავალფეროვანიც იყო და მაინც, სიახლე, რაც გურამ დოჩანაშვილმა შემოიტანა ქართულ მწერლობაში, საკმაოდ მოულოდნელი აღმოჩნდა. იგი შეიძლება გამოიხატოს ერთი სიტყვით "ჩამომალაბორანტეს", რომელიც პირველად გაისმა მის მოთხრობაში ძმები კეჟერაძეების შესახებ, რამაც, გარკვეული აზრით, ალბათ, სათავე დაუდო სრულიად ორიგინალურ და ახალ სტილს ჩვენს პროზაში. გურამ დოჩანაშვილის შემოქმედების გამორჩეულ თავისებურებად, როგორც წესი, სიტყვათქმნადობა და გამორჩეული იუმორი ითვლება, თუმცა, მისი ნაწარმოებების ანალიზისას სათქმელი გაცილებით მეტია. ქართველი მკითხველის განსაკუთრებული ინტერესი და სიყვარული ერგო ჯერ მწერლის რომანს "სამოსელი პირველი" და შემდეგ მოთხრობას "ვატერ(პო)ლოო ანუ აღდგენითი სამუშაოები". მახსოვს, სტუდენტობისას როგორ სულმოუთქმელად ველოდით მწერლის ნებისმიერ ახალ პუბლიკაციას.

"სამოსელი პირველის" გამოქვეყნება ბევრი თვალსაზრისით იყო საინტერესო. ეს იყო დრო, როცა 70-იან წლებში რაღაც ახალი იწყებოდა საქართველოში. ეს განცდა, შესაძლოა, დაკავშირებული იყო აკაკი ბაქრაძის ლექციებთან და ზოგადად, მის მოდგაწეობასთან, რობერტ სტურუასა და თემურ ჩხეიძის სპექტაკლებთან, რომლებმაც გამოაფხიხლა ქართული საზოგადოება და დიდი ინტერესი გააჩინა საერთოდ ქართული კულტურის მიმართ. 60-70-იანი წლების ჟურნალები (განსაკუთრებით "ცისკარი" და "მნათობი") იმდენ კარგ ლიტერატურულ თხზულებას აქვეყნებდნენ, რასაც დღესაც კი დიდი ინტერესით წაიკითხავს კაცი. ქართული ლიტერატურული პრესა იმდროინდელ რუსულს რომ შეადაროთ, იგი ბევრად საინტერესო და მრავალფეროვანი აღმოჩნდება. ეს, სხვათა შორის, იმ რედაქტორების დამსახურებაცაა, რომლებიც მაშინ ბევრი რამის დაბეჭდვას ახერხებდნენ. ახლა შეიძლება ადამიანს გაუკვირდეს კიდევ, 70-იანი წლების ცენზურის პირობებში თუ როგორ მოხერხდა ბიბლიურ იგავზე აგებული ("სამოსელ პირველს" "უძლები შვილის"

the innovation, which Guram Dochanashvili brought into the Georgian literature, was quite unexpected. We can express it in one word: "chamomalaborantes" (a term Dochanashvili invented to indicate demotion). This word was first mentioned in his short story about the Kezheradze brothers and it probably became the base for a completely new style in our prose. Guram Dochanashvili's peculiarity is usually his word-making and special sense of humor. Although there is much more that needs to be said here. For Georgian readers, the most interesting and beloved book of his is the First Garment. The short story "Water(po)loo or Restoration Works" is the second most famous text of Dochanashvili's. I remember that when I was a student, I would wait anxiously for every new text of this writer to be published.

The fact that the First Garment was published is interesting in many ways. It was the time in the 70-ies where many new things started in Georgia. It could have been connected to the lectures held by Akaki Baqradze and his work in general, with Robert Sturua and Temur Chkheidze's plays, which shook Georgian society and awoke interest towards the Georgian culture. The literary magazines from 60-70-ies, (especially Tsiskari and Mnatobi) published so much good work, that they can be read with great interest even today. If you compare Georgian literature and press to that of Russia back then, you will discover that it is more interesting and diverse. This is also the achievement of those editors who managed to publish many things. It causes surprise to think, how in the face of 70's censure, a novel based on a biblical parable (the novel is based on parable of the prodigal son), which practically represented an anti-soviet piece of literature, could be published. This was a text aimed against dictatorship and had nothing to do with the so called social realism. The first part of this novel attracted the attention of many young people shortly after being published. For my generation this text was so dear, that

იგავი უდევს საფუძვლად), ფაქტობრივად, ანტისაბჭოთა რომანის გამოქვეყნება. ეს იყო დიქტატურის წინააღმდეგ მიმართული ტექსტი და ე.წ. სოციალისტურ რეალიზმთან მას არავითარი საერთო არ ჰქონია. პირველივე ნაწილის გამოქვეყნებისთანავე რომანმა ახალგაზრდების დიდი ყურადღება მიიქცია. ჩემი თაობისთვის ეს ტექსტი იმდენად საყვარელი იყო, რომ ჩვენს სასაუბრო მეტყველებაში მაშინვე გაჩნდა ფრაზები ამ რომანიდან. ჩვენთვის მაშინ სრულიად მოულოდნელი და, ალბათ, გამოგნებელიც კი იყო ის, რომ ერთ წიგნში, შეიძლება, 100-ზე მეტი პერსონაჟი იყოს და არც ერთი მათგანი ერთმანეთს არ ჰგავდეს.

გურამ დოჩანაშვილი "სამოსელ პირველს" ძალიან დიდხანს წერდა. მთელი თორმეტი წელი. ამ თორმეტი წლის მანძილზე მან დაახლოებით ათი მოთხრობა გამოაქვეყნა. ერთ-ერთ მათგანს ჰქვია "საქმე" და, თუ არ ვცდები, იწყება წინადადებით: "ლუკას საქმე ჰქონდა". ლუკა, რომელიც სინამდვილეში თავად ავტორია, არის შემოქმედი, რომელიც მუდმივად ფიქრობს იმაზე, რომ რომანი აქვს დასაწერი და თავში უტრიალებს ეს უცნაური სახელები: "კანუდოსი", "კამორა", პერსონაჟების სახელები.. და ლუკას ენაება დრო, რომელიც ყოფით სიტუაციებში ეხარჯება. მოთხრობაში აღწერილია ექსპედიცია, რომელიც ლუკას უამრავ დამატებით საზრუნავს უჩენს მაშინ, როდესაც მას მხოლოდ თავის წიგნზე სურს ფიქრი - მას საქმე აქვს დასამთავრებელი. რამდენადაც ვიცი, ამ თორმეტი წლის მანძილზე იყო ერთი წელი, როდესაც მწერალმა ვერ გააგრძელა "სამოსელის" წერა, რადგან არის ხოლმე შემოქმედებით პროცესში ჩავარდნა, კრიზისი, როცა ხელოვანს ეჭვი იპყრობს: "რალაც სისულელეს ხომ არ ვაკეთებ, ამდენ დროს რაზე ვხარჯავ?" ფიქრობს იგი. ასეთი მომენტები, ეტყობა, ყველა დიდ შემოქმედს აქვს და ეს არ არის გასაკვირი. მით უფრო, მაშინ, როდესაც მწერალს არც ჰქონდა ნათლად წარმოდგენილი, როგორი უნდა ყოფილიყო რომანის ბოლო ნაწილი. ძალიან ეფექტურია რომანის პირველი ნაწილი "ლტოლვილი", სადაც ზემო სოფელში (შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ეს არის ზესკნელი - ცათა სასუფეველი, სადაც არის მამა) დომენიკო გაიცნობს ადამიანს,

we started using phrases from the novel, in our daily speech. It was absolutely unexpected back then and, even astonishing for us, that in this one book there could be more than a 100 characters and none of them resembled another.

It took Guram Dochanashvili much time to write this book. The whole 12 years. During those 12 years, he published almost ten short stories. One of them is called "the Job" and if I'm not mistaken it starts with a sentence: "Luka had a job to do." This Luka character, who, in fact, represents the author himself, is an artist who always thinks about the fact that he has a novel to write and his head is filled with strange names, like Kanudos, Kamora, as well as the names for the characters and Luka feels sorry for the time, which he wastes on daily routines. The novel describes an expedition, when a person has a lot to take care of, but at the same time he can only think about his book - he has a job to get done. As far as I know, in those 12 years, there was one, when the writer could not go on writing this novel. This is because people tend to reach a critical point in their artistic work, the artist starts having doubts - am I writing something stupid? What am I really wasting my time on? These moments are inherent to all the great artists and it is no wonder. Especially, considering that the author did not have a clear picture of what the last part of this novel would look like.

The first part of the novel, "the refugee" is very impressive. This chapter tells us how in upper village (we can imagine that this is the kingdom of heaven, the "upper realm" where there is the father), Domenico meets a person, who has come from a different world and Dominiko also starts thriving towards the unexplored worlds. This is how his voyage on earth (the middle realm) starts. He ends up in a beautiful city, where he meets many different people. Domenico experiences the real love, experiences passion, friendship, treason, everything ... after he loses Ana-Maria, he



რომელიც სხვა სამყაროდანაა მოსული და გაუჩნდება სურვილი, წავიდეს ამ სხვა სამყაროების სანახავად. ასე იწყება ადამიანის მოგზაურობა დედამიწაზე (შუასკნელში). ის მოხვდება ლამაზ ქალაქში, სადაც ათასგვარ ადამიანს შეხვდება. დომენიკო გამოცდის ნამდვილ სიყვარულს, გამოცდის ვნებით გატაცებას, მეგობრობას, ლალატს, ყველაფერს... შემდეგ მიდის იმ ბოროტების საუფლოში, როდესაც დაკარგავს ანა-მარიას, რათა იქ, კამორაში ჰპოვოს სიკვდილი. ეს არის ნამდვილი ჯოჯოხეთი (ქვესკნელი). თითქოს ზემოდან ეშვება ადამიანი, გაივლის დედამიწას და ჩადის ჯოჯოხეთში, რომელიც სინამდვილეში არის ტოტალიტარული სამყარო მთელი თავისი დაუნდობლობით, დასმენებით, ჯაშუშებით, თვალთვალითა და ყველა საშინელებით, რაც ტოტალიტარიზმს ახასიათებს.

ამ რომანის დაბეჭდვა საბჭოთა ეპოქაში გასაოცარი მოვლენა იყო. როგორ დაიბეჭდა "კამორა", ამის ახსნა თითქოს არც არსებობს. ეს, ალბათ, თავად ავტორმა უნდა გვიამბოს, თუ როგორ მოხდა, რომ 70-იანი წლების სასტიკი ცენზურის პირობებში ლიტერატურულ სივრცეში გამოჩნდა ტოტალიტარიზმის საშინელი, კარიკატურული სახე. ძალიან საინტერესო და მხატვრული თვალსაზრისით უაღრესად შთამბეჭდავია ამ ტოტალიტარიზმის სათავეში მდგომი მარშალი ბეტანკური, რომელიც მსოფლიო დიქტატორული რეჟიმების, ადამიანის გადაგვარების და ზნეობრივი გახრწნის ერთგვარი სიმბოლოა, რაც იმდენად შთამბეჭდავად არის რომანში ნაჩვენები, რომ წარმოუდგენელია, საბჭოთა ცენზურას ეს ვერ ამოეკითხა ან ვერ გაეგო. მაგრამ საბჭოთა რეალობაში ასეთი უცნაური რაღაცეებიც ხდებოდა (კოლაუ ნადირაძის მკვეთრად ანტისაბჭოთა ლექსის დაბეჭდვისა არ იყოს). მკითხველისთვის, ცხადია, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ისაა, რომ ასეთი საინტერესო რომანი დაიბეჭდა ისე, რომ არ დამახინჯდა ტექსტი - ის არ შემოკლებულა, არ "გასწორებულა" ცენზურის მიერ. ეს საგანგებოდ ვკითხე ბატონ გურამს. რომანი უცვლელად დაიბეჭდა.

ძალზე საინტერესოდ ყვება ბატონი გურამი რომანზე მუშაობის დასრულების ამბავს:

goes to the realm of evil, in order to meet his death in Kamora. That is the real hell (bottom realm). It is as if he came down from above, the man goes through the earth and goes down to hell, which in reality is the totalitarian world with all its mercilessness, spying, stalking and all the horrors, that are inherent to totalitarianism.

Publishing this novel in Soviet times was really unthought-of. How the Kamora was actually published, has never been explained. It is the author himself, that should tell you about it, how in the face of 70-ies harsh censorship, there emerged this incredible grotesque depiction of totalitarianism. An interesting factor here is the Marshall Bentakur who is the leader of the totalitarian regime, and represents a symbol for all the world's dictators as well as the moral and spiritual decay of a person. This is shown in the novel with such efficiency, that it is unimaginable how the soviet censure missed it while evaluating the text. But Soviet reality sometimes became the platform for such strange things as well ( for instance, Kolau Nadiradze with his explicitly anti-Soviet poems). For the readers, obviously, it is more important that such an interesting novel was published without its text being modified - it was not a shorter version, it was not an "edited" version. I have asked this Guram explicitly and he confirmed that the novel was published as it was written.

Guram tells a very interesting story about the final stage of working on the novel: after the 12 years of intense work, when he wrote the very last word, Guram was in Surami. He was working at night and when he finished, it was still dark outside (he told this story in one of his interviews as well). Everyone was asleep, the whole Surami was sleeping. He wanted very much to celebrate somehow, that he had finished this huge text after 12 years of hard work, but couldn't think of anything. Then he suddenly remembered, that in Svaneti they have a custom: when a hunter kills a Jikhvi

ბატონი გურამი სურამში იყო, როდესაც წიგნზე თორმეტწლიანი დაძაბული მუშაობა დაასრულა და ბოლო წერტილი დასვა. მწერალი ღამე მუშაობდა და წერა რომ დაამთავრა, ჯერ გათენებულიც არ იყო (ეს ამბავი ერთ-ერთ ინტერვიუშიც აქვს მონათხრობი). ყველას ეძინა, მთელ სურამს ეძინა. ძალიან უნდოდა, რაღაცით აღენიშნა, რომ თორმეტი წლის უმძიმესი შრომის შედეგად ამხელა ტექსტის წერა დაასრულა, მაგრამ ვერაფერი მოიფიქრა, რითაც შეიძლებოდა ამ ამბის აღნიშვნა და უცხად სვანეთში არსებული ერთი ჩვეულება გაახსენდა: როდესაც მონადირე ჯიხვს მოკლავს, გამარჯვების ნიშნად ყირას აკეთებს. მანაც იგივე გადაწყვიტა და უცხად ყირა გააკეთა სახლში. ბატონი გურამი, მოგეხსენებათ, საკმაოდ მაღალია და მოულოდნელად სახლი ისე დახანზარდა, რომ მასპინძელმა გაიღვიძა და აყვირდა, მიწისძვრაა, თავს უშველეთო. ატყდა ერთი ამბავი და ლამის მთელი სურამი გააღვიძეს და ფეხზე დააყენეს. ბატონი გურამი კი თურმე ჩუმად, შერცხვენილი იქვე იდგა, ხომ არ იტყოდა: ნუ გეშინიათ, მიწისძვრა კი არ არის, ყირა გავჭიმე რომანის დასრულების აღსანიშნავადო.

"სამოსელი პირველი" ენობრივი თვალსაზრისითაც ახალ ეტაპს იწყებს ქართულ ლიტერატურაში. ზოგმა კრიტიკოსმაც ჩათვალა, რომ მწერალი ქართულ სალიტერატურო ენას ამახინჯებდა და ცოტა მოგვიანებით გურამ დოჩანაშვილი გვარიანდაც გააკრიტიკეს სიტყვათქმნადობის გამო. მწერალი მართლაც ცდილობდა, ენის ახალი გამომსახველობითი საშუალებები მოეძებნა. მაგალითად, უკანასკნელ ხანს გამოქვეყნებულ ერთ-ერთ წიგნში აქვს ასეთი ფრაზა: "ასეთი მიმოგადანცვიფრებული ადამიანი მე არ მინახავს". იმდენად კარგად "ზის" ეს ფრაზა მოცემულ ტექსტში, ისე ზუსტად გამოხატავს ემოციას, რომ ძნელია უკეთესი ლექსიკური ერთეული მოძებნო. არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ მწერალი უბრალოდ ორიგინალური სტილის ძიებით გაერთო. არის ხოლმე ისეთი პერიოდები, როდესაც დიდი ხელოვანი ახალ ენობრივ საშუალებებს ეძებს და ძალიან საინტერესო ფორმებსაც პოულობს. "ვეფხისტყაოსანის" ეპოქის ტექსტები რომ წაიკითხოთ, ვერსად

(a Caucasian ibex), he needs to stand head over heels. So this is what Guram did. As you probably know, Guram is quite a tall man, so when he jumped, the whole house started rocking, so that the host woke up screaming that it was an earthquake and everyone should run for their lives. They woke almost the whole Surami up, while Guram was standing there ashamed and quiet. He couldn't possibly say, no its not an earthquake, its just me jumping because I finished a novel.

From a linguistic point of view, this novel marks a beginning of a new stage in Georgian literature. Some critics have decided, that the author maims Georgian language, and a little later criticized him harshly for his word-making. Guram Dochanashvili really tried to find new expressive means in the language. We cannot think that the writer was just chasing some original style. There are some periods, when the great artist is looking for new linguistic means and finds very interesting forms. If you read the texts from the epoch of The Knight in the Panther Skin, you will never find such forms, other than by Rustaveli. Thus, word-making is not something Dochanashvili has invented - this method was approached by Georgians much earlier. This is how the potential of the literary language is expressed and these instruments help create the new linguistic reality. This is usually caused by exhaustion of the existing lexical sources. Do you remember what our language was like, when in the beginning of the XX century, everyone was surprised, that Grigol Robakidze could speak about the scientific questions in Georgian? No one had any idea about what potential Georgian language had. And this was happening shortly after Ilia Chavchavadze's work in 1908-09. Even Davit Kldiashvili was surprised, when the young lecturer held lectures on philosophy and culture in his own language. It is exactly the exhaustion of the literary language that made Robakidze and Gamsaxurdia use the old Georgian lexical and linguistic constructions.





მოძებნით ისეთ ფორმებს, რუსთაველი რომ იყენებს ("მო-ცა-კვდა, გასისხლმდინარდა", ან "ცამცა გაიდარბაზესა" და სხვ.). ასე რომ, სიტყვათქმნადობა დოჩანაშვილის მოგონილი არ არის - მას გაცილებით ადრე მიმართავდნენ ქართველი შემოქმედები. ამგვარად ვლინდება ხოლმე სალიტერატურო ენის პოტენციალი და ამ საშუალებებითაც იქმნება ახალი მხატვრული რეალობა. როგორც წესი, ამ მოვლენას სალიტერატურო ენის ლექსიკური ფონდის გაღარიბება იწვევს ხოლმე. გავიხსენოთ, რა მდგომარეობაში იყო ქართული ენა, ვთქვათ, მეოცე საუკუნის დასაწყისში, როდესაც საზოგადოებას ძალიან გაუკვირდა, რომ გრიგოლ რობაქიძემ ქართულ ენაზე სამეცნიერო საკითხებზე

Dochanashvili's prose provides us with experiments and not by chance. The development of the literary language depends mostly on the writers of this type. The stationary language established in Soviet times is made fun of in Dochanashvili's short story "Man who loved literature dearly". The speech of the chief represents typical Soviet demagoguery, which has never had any positive impact on development of the literary language. At such times, there always emerges an author, who manages to uncover the forgotten potential of the language and which, usually is criticized for this. Dochanashvili puts a lot of humor into his word-making.

საუბარი შეძლო. ვერ წარმოედგინათ, რომ ქართულ ენას, შესაძლოა, ეს პოტენციალი ჰქონოდა. არადა, ეს ხდება ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის შემდეგ, 1908-09 წლებში. თვით დავით კლდიაშვილიც კი გაოცებული დარჩა, ახალგაზრდა ლექტორმა ქართულ ენაზე რომ წაიკითხა ლექციები ფილოსოფიისა და კულტურის შესახებ. სწორედ სალიტერატურო ენის გადარიბება უბიძგებს იმავე რობაქიძეს ან გამსახურდიას, გამოიყენონ ძველი ქართული ლექსიკა და ენობრივი კონსტრუქციები. დოჩანაშვილის პროზაშიც ენობრივი ექსპერიმენტები შემთხვევით არ იწყება. მხატვრული ენის განვითარება დიდწილადაა სწორედ დიდ ხელოვანებზე დამოკიდებული. საბჭოთა რეალობაში დამკვიდრებულ საკანცელარიო ენას გურამ დოჩანაშვილი დასცინის მოთხრობაში "კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა". ხელმძღვანელის მეტყველება ტიპური საბჭოთა დემაგოგიაა, რამაც სასიკეთო გავლენა ნამდვილად ვერ იქონია მხატვრული სიტყვის განვითარებაზე. ასეთ დროს ყოველთვის გამოჩნდება ხოლმე ხელოვანი, რომელიც ენის დაფარული პოტენციალის გამოვლენას ახერხებს და რომელსაც, როგორც წესი, ამისთვის აკრიტიკებენ. დოჩანაშვილისულ სიტყვათქმნადობაში შესანიშნავი იუმორიც ჩანს.

ზოგადად, ირონიასა და იუმორს დოჩანაშვილის პროზაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. იუმორი ისეთ სასტიკ რეალობაშიც კი არ ქრება, როგორც კამორაა, სადაც ყველა მარშალ ბეტანკურს ემორჩილება. ბეტანკურის ერთ-ერთი ჯალათი, კადიმა, ადამიანი კი არ არის, არამედ ადამიანი-გველია, თითქოს მითიური არსება, რომელიც ბოროტების განზოგადებულ სახეს გამოხატავს. აი, ასეთი საშინელი რეალობის ხატვის დროსაც კი ავტორი ირონიას მიმართავს. გავიხსენოთ მხატვარი გრეგ რიკიო, რომლის უდრეკი ხასიათითაც აღტაცებულია მთელი საზოგადოება. გრეგ რიკიო, რომელიც თითქოს უპირისპირდება მარშალ ბეტანკურს და არ ებუება მას, სინამდვილეში ყველაზე ფლიდი მლიქვნელი და დიქტატორის მამებელი - ცრუ დისიდენტი. როცა არავინაა გარშემო, ის ოთხზე დაჩოქილი უახლოვდება ბეტანკურს და მისი ხელიდან იღებს თხილის გულს. ის

In general, irony and sense of humor occupy a great place in Dochanashvili's prose. Sense of humor is something that doesn't disappear even in such a brutal reality as is Kamora, where Marshall Bentakur has subdued everyone. One of his killers is Kadima, who is not a person, but a snake man, almost a mythical creature, that represents a general idea of the evil. But the author uses irony even while depicting this horrible reality. We should remember the painter Greg Rikio whose strong character excites the whole society. And this Greg Rikio, who seemingly opposes Marshall Bentakur and fights against him, is in fact the worst kind of a hypocrite and a covert follower of the dictator - the false dissident. When no one is around, he kneels on all fours and approaches Bentakur, taking a nut from his hands. He plays his role, as indicated by Bentakur, in order for the society to have a false ideal - vain ideal, a false dissident or something like that. This sort of ironical images, helps the author to open up a different viewpoint for the reader. This is why the humor is so functional and important, it makes the reader laugh but also, at the same time shows the side of the reality which, gets lost in daily routine. We can no longer see it.

By depicting different lifestyles, Guram Dochanashvili managed to show the reader - what is the real face of a strong person and how much pity it is, that a man cannot live in a free reality and is limited by totalitarianism. There needs to appear a person, who will provide people with the possibility to create Kanudos, or an island of freedom in this horrible reality. The idea of Kanudos, as the author himself once mentioned, was born when he read in a magazine called "Science and Life" ("Наука и Жизнь") about a rebellion that happened in one of the Brazilian provinces. This is where he adopted the names from. Kanudos is Katinga (blood drinking plant, which was given a mythological importance), which prevents anyone from entering Kanudos,



თავის როლს ისევ მარშალ ბეტანკურის მითითებით ასრულებს, რომლის განზრახვაა, რომ საზოგადოებას ჰყავდეს ცრუ იდეალი - ფუჭი იდეალი, "დისიდენტი", ან რაღაც ამის მსგავსი. ამგვარი ირონიული სახეების მეშვეობით ავტორი თითქოს განსხვავებული ხედვის კუთხეს უხსნის მკითხველს. ამიტომ არის ძალიან მნიშვნელოვანი და ფუნქციური ის იუმორი, თან რომ აცინებს მკითხველს და თანაც, ამავე დროს, რეალობის ისეთ მხარეს აჩვენებს, რაც ჩვეულებრივ ყოფით სიტუაციაში თითქოს იკარგება, არ ჩანს.

გურამ დოჩანაშვილი ახერხებს, სხვადასხვა ცხოვრების წესის დახატვით აჩვენოს მკითხველს, როგორია სინამდვილეში ძლიერი სულის ადამიანი და რამდენად ცოდოა იგი იმის გამო, რომ ვერ ცხოვრობს თავისუფალ რეალობაში და ტოტალიტარიზმის მარწუხებითაა შეზღუდული. საჭიროა გამოჩნდეს პიროვნება, რომელიც საშუალებას მისცემს ასეთ ადამიანებს, შექმნან "კანუდოსი", ანუ თავისუფლების კუნძული საშინელ გარემოში. კანუდოსის იდეა, როგორც ერთხელ თავად მწერალმა მოგვითხრო, დაიბადა მაშინ, როდესაც ჟურნალში "“Наука и Жизнь”" მან ბრაზილიის პროვინციაში მომხდარი ამბოხების შესახებ წაიკითხა. სწორედ ამ ამბიდან აიღო მწერალმა სახელები: კანუდოსი, კატინგა (სისხლისმსმელი მცენარე, რომელსაც ავტორმა მითოლოგიური საზრისი შესძინა), რომელიც გზას კეტავს და არავის ატარებს კანუდოსისკენ, გარდა სულიერად სპექტაკი ადამიანებისა. ამავე სტატიიდან აიღო მწერალმა რამდენიმე პერსონაჟის სახელიც. ეს იყო რეალური ისტორია, რომელიც, სხვათა შორის, კიდევ ერთ რომანში - მარიო ვარგას ლიოსას "სამყაროთა ომში" აისახა. დოჩანაშვილმა ბევრად გვიან წაიკითხა ლიოსას ეს რომანი, რადგან 70-იან წლებში (ისევე, როგორც მარკესის რომანები) ეს ნაწარმოები ჯერ არ იყო თარგმნილი. ჩემი აზრით, "სამოსელი პირველის" ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური ეპიზოდი უკავშირდება სწორედ "კანუდოსს" და პერსონაჟს სახელად დონ დიეგო. ეს არის, ერთი შეხედვით, სარაინდო რომანებიდან გადმოსული პერსონაჟი, გარეგნულად ძალიან რომ წააგავს დონ კიხოტს, მაგრამ ამავედროულად, ძალიან ძლიერია ფიზიკურად და სულიერად. იგი თავისუფლებისათვის

except for people pure in heart. The same article gave the author an idea about names of several characters. This is a real story which was depicted in one other novel, The War of the End of the World by Mario Vargas Llosa. Dochanashvili read this novel much later, since in the 70-ies it was not yet translated. I believe that one of the most impressive episodes in the First Garment is about Kanudos and a character whose name is Diego. This is, on the one hand, a character that seems to have come out from heroic novels, he resembles Don Quixote, but is also very strong both spiritually and physically. He is the generalized face of a person fighting for freedom, which leaves this life in a very artistic and beautiful way. I think that the death of Don Diego, is one of the strongest episodes of this novel. But we should not imagine that this book is only dedicated to totalitarianism. I believe that love plays a significant role in the book as well as Ana-Maria's character. This is the topic for a whole different conversation. The author depicted very successfully the face of the "real woman" Teresa. I am sure that readers will never forget the scene, when the first snow falls in the beautiful city. The author describes how the inhabitants of the beautiful city happily run first to their windows and then outside. Then there is the beautiful woman Teresa who climbs the snow covered hill and starts to dance in the snow. It is quite impressive how people around her react - they loathe whatever she wears that morning, They love and hate her at the same time, just because she does not belong to them. This is one of the most impressive episodes in this novel - the dance of a beautiful woman in the snow, which ends in her stopping and pointing her beautiful fingers towards Domeniko saying in a low voice: "I like this boy." These episodes are depicted with rare skillfulness.

This is a big novel. We need to do everything in order for the new generations to read such novels. You know, how young people today

მებრძოლი ადამიანის კრებითი სახეა, რომელიც ბოლოს ძალიან არტისტულად და ლამაზად მიდის ამ ცხოვრებიდან. მე მგონი, დონ დიეგოს თვითმკვლელობა რომანის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ეპიზოდია. მაგრამ არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ "სამოსელი პირღველი" მხოლოდ ტოტალიტარიზმს ეძღვნება. ვფიქრობ, ძალზე მნიშვნელოვანია სიყვარულის თემაც და ანა-მარიას სახეც, რაც ცალკე საუბრის თემაა, ყველა საკითხს ერთი პუბლიკაციით ვერ ამოვწურავთ. ძალიან ეფექტური გამოუვიდა მწერალს "ნამდვილი ქალის" - ტერეზას სახე. ალბათ, მკითხველს არასდროს

დაავიწყდება სცენა, პირველი თოვლი რომ მოდის ლამაზ ქალაქში. აღწერილია, როგორ უხარიათ ლამაზქალაქელებს, როგორ მირბიან ფანჯრებთან და მერე როგორ გამოდის ყველა გარეთ. თოვლიან გორაკზე ამოდის ულამაზესი ქალი ტერეზა და იწყებს თოვლში ცეკვას. ძალზე შთამბეჭდავია შეკრებილი ხალხის გაცეკვა და განცდები - მათ ეზიზღებათ ყველაფერი, რაც ამ ქალს აცვია იმ სუსხიანი დილით. ყველას უყვარს და თან სძულთ კიდევ, ვინაიდან მათი არ არის. ეს არის, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი სცენა ამ რომანში - ულამაზესი ქალის ცეკვა თოვლზე, რაც იმით მთავრდება,





რომ ბოლოს ტერეზა ჩერდება, წყვეტს ცეკვას, თავის ლამაზ თითებს იშვერს დომენიკოსკენ და დაბალი ხმით ამბობს: "ეს ბიჭი მომწონს". ეს ეპიზოდები გასაოცარი ოსტატობითაა დაწერილი.

ეს არის დიდი რომანი. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ახალმა თაობამ ასეთი ნაწარმოებები იკითხოს. მოგეხსენებათ, სქელტანიანი რომანების წაკითხვას თანამედროვე ახალგაზრდები ერიდებიან; ისინი ან მცირე ზომის მხატვრულ ტექსტებს კითხულობენ, ან საერთოდ არაფერს კითხულობენ. ეს იმის ბრალი არ არის, რომ მაინცდამაინც კომპიუტერმა და ტელევიზორმა დაიკავა დიდი დრო. უფრო მეტად, ვფიქრობ, ეს ჩვენი გაუმართავი პედაგოგიური სისტემისა და არასწორი პედაგოგიური მიდგომის ბრალია. ჩვენ ძალიან საინტერესო ლიტერატურა გვაქვს და, სამწუხაროდ, ჩვენი საზოგადოების უდიდესი ნაწილისთვის ეს ლიტერატურა, ფაქტობრივად, დაკარგულია; ძალიან ბევრმა არ იცის, რას წარმოადგენს ჩვენი კლასიკური ლიტერატურა. არ ვლაპარაკობ ჰაგიოგრაფიისა ან ჰიმნოგრაფიის შესახებ. ავიღოთ თუნდაც დავით გურამიშვილის ფენომენი - ის, თუ რა დონის პოეტი და მოაზროვნე იყო გურამიშვილი, საზოგადოების დიდი ნაწილისთვის, საუბედუროდ, უცნობია. ვისურვებდი, რომ ისეთი ლიტერატურული შედეგები, როგორც "სამოსელი პირველია", ახალი თაობისთვის უცნობი არ დარჩეს. მით უმეტეს, ეს ძველი გაცილებით უკეთ ასახავს საბჭოთა ეპოქას, ვიდრე ნებისმიერი ისტორიული წყარო. დარწმუნებული ვარ, რომ საბჭოთა პერიოდის სერიოზული ლიტერატურული ნაწარმოებების წაკითხვით ადამიანი უფრო მეტ ინფორმაციას მიიღებს პიროვნების სულიერ გაჭირვებასა და თავისუფლების დეფიციტზე ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში, ვიდრე ნებისმიერი სამეცნიერო ან ისტორიული ნარკვევის გაცნობით.

try to avoid reading big books - they either read smaller texts or not read at all. This is not because all their time is occupied by TV or computer, rather because the pedagogical system and approach are wrong and not functional. We have very interesting literature, which unfortunately remains almost lost for the major part of the society. Many people have no idea about our classical literature. I'm not even talking about hagiography or hymnography. If we take for instance Davit Guramishvili - what a poet and thinker he was! Unfortunately he remains unknown to the major part of the society.

I would love to see that great literary phenomena like "the First Garment" do not remain unknown for the new generations. This book describes the Soviet epoch much better than any historical source. I am sure, that by reading serious literature from Soviet times, people will get more information and learn more about spiritual crisis and lack of freedom in the face of totalitarian regime, than through any historical text.

ახალი *ქალისკაცება*

NEW BY KRISTI





# თოჯინა

## The Doll

მე დღესაც მყავს ჩემი საყვარელი თოჯინები. ვფიქრობ, თოჯინა არის მისტიური რამ. როდესაც ბაჩოს ოთახში შევედი, სადაც მისი ქმნილებები ცხოვრობენ, პინოქიოს ისტორია გამახსენდა. ყველა ზღაპრული თუ რეალური გმირი ცხოვრობს აქ, ერთ ოთახში. ვფიქრობ, ისინი ერთმანეთს ელაპარაკებიან. იციან, როგორ ხასიათზეა ბაჩო, განიცდიან მასთან ერთად და უხარიათ მისი წარმატება.

I still keep my favorite dolls. I believe that dolls are very mysterious. When I entered Bacho's room, where his creatures live, I immediately thought of Pinocchio and his story. All the imaginary or real heroes live here, in one room. I think they speak to each other. They know what mood Bacho is in, they worry whenever he does and are happy whenever he is.

ჩემი რუბრიკის სტუმარია მეთოჯინე ბაჩო ცანავა.

My guest today is Bacho Tsanava.



ერთხელაც ხელთ თაბაშირი მომხვდა (იმ დროს ჩემთან სახლში რემონტი მიმდინარეობდა). მაშინ ჩემი პირველი ფიგურა - "ქალი კალათით" გამოვძერწე. გახსოვთ ალბათ, ადრე ოჯახებში ფაიფურის სამშვენისები ჰქონდათ. ძალიან მომწონდა ისინი, ანუ შთაგონება აშკარად აქედან წამოვიდა. ვინც კი ნახა ჩემი ნამუშევარი, ყველამ მომიწონა; ჰოდა, მეც სტიმული მომეცა. თავიდან სახეს ვერც ვძერწავდი, თუმცა მოძრაობა, დინამიკა არ მიჭირდა. შემდეგ თანდათან ჩემი ტექნიკა დაიხვეწა და სახესთან ერთად კოსტუმებიც გაჩნდა. ახლა უკვე ფიგურებს ნაჭრის სამოსსაც ვუკერავ.

**ცოტა უჩვეულოა, როცა ბიჭი ინტერესდება თოჯინებით. როგორ აღიქვამენ ამ ფაქტს შენი თანატოლები? ხომ არ გაგიგია, რომ ვინმეს ეჭილიკოს ამ თემაზე?**

მე "ზოოვეტში" ვსწავლობდი. სიმართლე გითხრათ, იქ არავინ იცოდა ჩემი გატაცების შესახებ. ჩემმა თანაკურსელებმა ეს ამბავი მხოლოდ მაშინ გაიგეს, როდესაც ჩემი პირველი გამოფენა მოეწყო. სასწავლებელში სააღდგომო გამოფენის ჩატარება დაიგეგმა და მეც გადავწყვიტე, "სააშკარაოზე" გამომეტანა ჩემი "სისუსტე".

I came in touch with plaster on one occasion (there were some repair works at my house at that time). That was when I modeled my first figure - "woman with a basket". Do you remember, how people used to have porcelain decorations at home. I always liked them, and I think this is where I got my inspiration. Everyone who saw my first work liked it; So, I felt encouraged. In the beginning I really could not model the face, although movements, dynamics were never a problem. Then, gradually my technique became more delicate and I started using costumes as well. Today I even use fabric to sew clothing for my dolls.

**It is a bit strange when a boy starts being interested in dolls. How do your peers react? Does anyone make fun of this?**

I was studying to become a veterinarian. To tell you the truth, no one there knew about my hobby. My peers found out about it only when my first exhibition was organized. Our university was hosting the Easter exhibition and I decided to "shed the light on my weaknesses".





**როდის მიხვდით, რომ ეს ის საქმე იყო, რომელსაც შენ საკუთარ თავს მიუძღვნიდი?**

მაშინ, როდესაც ვატიკანის ყოფილი ელჩი საქართველოში კლაუდიო გუჯეროტი გავიცანი. ის დღეს უკვე ჩემი მეგობარია. მან ჩემი ნამუშევრები შემთხვევით ტელევიზიით ნახა და თავის რეზიდენციაში მიმიწვია. მაშინ მთხოვა, გამომეძერწა "შობა" (არაკანონიკური, ჩემი სუბიექტური ხედვით). ცოტა კი შევშინდი. ასეთი რამ ჯერ არ გამეკეთებინა. მაგრამ ჩემი გამოუცდლობის მიუხედავად, მას მოეწონა ბაჩოს თვალით აღქმული შობა და ძალიან საინტერესო შემოთავაზება მივიღე - სასწავლებლად წავსულიყავი იტალიაში, კერძოდ, ნეაპოლში, სადაც არსებობს ფაიფურის საწარმო "კაპო დე მონტე". ერთ თვეში იტალიიდან მოწვევაც მივიღე.

იტალიაში ვცხოვრობდი ულამაზეს, შუა საუკუნეებში აგებულ სასახლეში. ოთახიდან რომ გამოვდიოდი, მიქელანჯელოს და სხვა ბუმბერაზი იტალიელების ორიგინალებს ვხედავდი. ეს ზღაპრული სამყარო იყო. ბერები ულამაზესი ანაფორებით და მათი ყოველდღიური რიტუალები. ძალიან გახსნილი, კეთილგანწყობილი ადამიანები

**When did you realize, that this is what you would like to dedicate yourself to?**

I realized that, when I met the former Vatican ambassador Claudio Gugerotti. We're friends today. He saw my work on TV and invited me to his residence. He asked me to create the Nativity scene, non-canonical, according to my perception. I was a little scared. I had never done anything like that before, but despite my lack of experience, he liked my Christmas and offered me a very interesting chance to go and study in Italy, Naples, where there is a porcelain production called "Capo de Monte". In one month's time, I received invitation from Italy.

In Italy, I lived in a beautiful castle. Whenever I left the room, I saw original works of Michelangelo and other Italian titans. It was a fairy tale. Monks in beautiful robes and their daily rituals; they are very open-minded and benevolent people. They always tried to communicate with me, even wore me out with their temperament.



არიან. სულ ცდილობდნენ ჩემთან კომუნიკაციის დამყარებას. ცოტა დამლაღეს კიდევ თავიანთი ტემპერამენტით.

**იტალიაში დაბრუნების სურვილი გაქვს?**

კი, როგორ არა. უზარმაზარი "კაპო დელ მონტეს" ფაიფურის მუზეუმი, რომელიც, მგონი, თბილისისოდენაა, კულტურული შოკი იყო ჩემთვის და რაც მთავარია, ჩემს საოცნებო ფაიფურზე ვმუშაობდი...

**შენს თოჯინებს ალბათ საკუთარი "ბიოგრაფია" აქვთ...**

რა თქმა უნდა. ყოველთვის არსებობს პროტოტიპი. იტალიაში ვნახე ერთი ბიჭი და ის გამოვძერწე. ის ბავშვი მესხიერებაში ისე ჩამეხედა, რომ არ შემეძლო, არ გამომეძერწა. სხვა მხრივ, შენს ქმნილებას საკუთარი ენერგეტიკითაც მუხტავ და ამდენად, ყველა რეალური პერსონაჟიც კი უკვე თავისდაუნებურად ჩემეულია. მე არ მინდა ისეთი თოჯინა შევქმნა, რომელიც მაღაზიაშიც იყიდება. შესაძლოა, ჩემს თოჯინებში ყველა დეტალი არ არის სრულყოფილი, მაგრამ მათში არის ემოცია, სულიც. **ბავშვობაში თუ გითამაზია თოჯინებით?**

**Do you wish to go back to Italy?**

Yes, of course ... Capo del Monte's enormous porcelain museum, which seemed to me as big as Tbilisi, was a cultural shock for me, I got to work on the porcelain of my dreams.

**Your dolls must have their own "biography" ...**

Of course. There is always a prototype. In Italy, I met one boy and created a doll after him. This little boy left such a deep print in my memory, that I could not help it. On the other hand, your creature is always charged with your own energy and thus even the real characters are in a way my own. I don't want to create a doll, which can be sold in a shop. My dolls are not perfect in all their details, but they have soul and emotion.

**Have you played with dolls as a child?**

No (laughs), I just wanted to have small human-like figures around me.

**Having such a relationship with dolls, satisfies certain human needs - you get to play, to stage**





არა (იცინის). უბრალოდ მინდოდა, ჩემს გარშემო ადამიანების მსგავსიპატარა ფიგურები უოფილიყვენენ.

**თოჯინებთან ურთიერთობა ადამიანის გარკვეულ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს - ის თამაშობს, რეალობას "დგამს" თოჯინების მეშვეობით. შენც თავისებურად ყარაბას ბარაბასი ხარ, არა?**

კი ვარ ყარაბას ბარაბასი (იცინის). ოღონდ კეთილი.

**კეთილი, რა თქმა უნდა... დღეს საქართველოში მიღებულია ცნობილი ადამიანების თოჯინების გაკეთება. შეასრულებდი ასეთ "შეკვეთას"?**

არა.. მე თავად უნდა მომინდეს უცნობი თუ ცნობილი ადამიანის გამოძერწვა. გოგი ჭიჭინაძე მყავს გამოძერწილი. ის ჩემი მეგობარია და მინდა ვთქვა, რომ დიდი როლი შეასრულა ჩემს ჩამოყალიბებაში. მისგან ბევრი რამ ვისწავლე. არც მუსიკის გამეგებოდა რამე, რომ არა გოგი.. აი, შენს თოჯინას, კრისტი, აუცილებლად გავაკეთებდი. შენ სილამაზესთან ერთად სახასიათოც ბევრი გაქვს.

**your own reality through these dolls. I guess you are a sort of Karabas Barabas, right?**

Yes, I'm a Karabas Barabas (laughs) but a kind one.

**Alright. Of course, today it is popular in Georgia to create dolls after famous people. Would you ever take such a commission?**

No. I have to have a desire to model after someone, either famous or unknown. Of famous people, I have made a doll after Gogi Chichinadze. He is my friend and I must say, that he played a significant role in my formation. I learned much from him. I had no idea about music, and then I met Gogi. Actually, Kristi, I would love to make a doll for you. You're beautiful and also have many interesting characteristics.

**What would you choose for a second profession?**

I always wanted to be an actor.





**მეორე პროფესიად რას აირჩევდი?**

ძალიან მინდოდა, მსახიობი გამოვსულიყავი.

**აი, ხომ გეუბნებოდი, თამაშთან, ემპათიასთან მიგვედით.. უფრო მეტად რა გიზიდავს, დრამა თუ კომედია?**

უფრო დრამა.

**ეს თოჯინებიც შენი პატარა როლებია?**

აღბათ..

**რომელია შენი საყვარელი პერსონაჟი?**  
ჩემი უსაყვარლესი წიგნის "ჯინ ეარის" გმირი. ეს იყო პირველი თოჯინა, რომელიც ზომაში გავზარდე და სამოსი ჩავაცვი.

**საინტერესოა ბიჭისთვის ჯინ ეარი...**

თანამედროვე პერსონაჟები ნაკლებად

**I knew that the conversation was leading us to empathy and stage ... what attracts you more, drama or comedy?**

Drama.

**Are these dolls small roles too?**

Perhaps ...

**Who is your favorite character?**

Protagonist of my favorite book Jane Eyre. It was the first doll that I made bigger in size and with clothing.

**It is interesting that a boy should like Jane Eyre...**

Modern characters seem less attractive to me.

მიზიდავს. მარტო ჰარი პოტერი მყავს გამოძერწილი.

**ყველაზე საყვარელი თოჯინა მაინც რომელია? ის პირველი "გოგონა კალათით"?**

არა, ის დაიკარგა. ყველაზე საყვარელი ჯეინ ეარია. პირველი თოჯინაა, რომელშიც ემოცია ჩავდე, სამოსიც ჩავაცვი და ზომითაც საკმაოდ დიდია. ვინც მოდიოდა, ყველა კითხულობდა: "ეს ჯეინ ეარია? ძალიან მაგარია!"

**ამდენად ჰგავს პროტოტიპს?**

კი.

**ჯეინ ეარი რითია შენთვის საინტერესო, ან ახლობელი?**

თავისი ბავშვობით, ცხოვრების გზით. იმდენად ძლიერი და კეთილი ადამიანია, რომ... თანაც მე ჩემს სიმბათიებში უფრო ტრაგიკული სკენ ვიხრები, რაც, ბუნებრივია, ჩემს ნამუშევრებშიც აისახება.

**ცხოვრებას უფრო ტრაგიკული რაკურსით უყურებ?**

დიახ, ეს ჩემთვის უფრო საინტერესოა.

**დავიჯერო, თავად არაფერს წერ?**

ბავშვობაში ვწერდი, მაგრამ მერე აღარ. პატარა მოთხრობები და ლექსები მაქვს დაწერილი.

**შეგიძლია გაიხსენო ერთი გმირი ან ისტორია?**

უფრო ძველ ეპოქას ვუკირკიტებდი. რა თქმა უნდა, ტრაგიკული ისტორიები მქონდა...

**თუ ყიდი შენს თოჯინებს?**

მიჭირს (იცინის). ვერ ველევი. მეგობრებს ვჩუქნი მხოლოდ. მათთან როდესაც მივდივარ და ჩემი თოჯინები მხვდება, ძალიან მსიამოვნებს. აუცილებლად უნდა მიყვარდეს ადამიანი, რომ თოჯინა ვაჩუქო.

თოჯინები ძალზე ფაქიზები არიან. ჩემს ოთახს მხოლოდ მე ვალაგებ, სხვას არავის აქვს

Of those, I have only modeled Harry Potter.

**Which is your favorite doll? The first one you made - a girl with a basket?**

No, that one got lost. The most favorite one is Jane Eyre. She's the first doll that I put emotions into, dressed and made bigger in size. Everyone asked "Oh, is this Jane Eyre?" How cool!"

**Does she resemble the prototype that much?**

Yes.

**Why is Jane Eyre so interesting for you?**

What is interesting for me is her childhood and way of life. She is such a strong and kind person, that ... also, I tend to be more attracted to everything that is tragic, which, naturally reflects on my work.

**You see life through a tragic lens.**

Yes, it is more interesting that way.

**Do you also write?**

I used to, as a child. I had little novels and poems.

**Can you recall at least one character or story?**

I moved mainly around old epochs, and, of course, my stories were rather tragic.

**Do you sell your toys?**

It is hard for me (laughs). I cannot bring myself to give them up. I mostly give them to my friends for free. When I visit them, and see my dolls, I feel very happy. I need to love a person to be able to give them my dolls.

My dolls are very delicate. Only I get to clean



მათთან შეხების უფლება. გაგიგიათ ალბათ- "მუნჯის ენა დედამ იცისო". მე ვიცი მხოლოდ, სად უნდა მოგვიდო ხელი და მაინც ზიანდება ხანდახან. ჯეინ ეარი დაზიანდა და ჯერაც არ აღმიდგენია.

**თუ ასწავლი ვინმეს თოჯინების ძერწვას?**

მე დავდივარ "კავკასიურ სახლში". იქ კონფლიქტის ზონიდან წამოსული ბავშვებით დაკომპლექტებული ჯგუფები ჰყავთ. რთულია მათ სამუაროში შედწევა. ისინი ძალიან განსხვავდებიან თავიანთი თანატოლებისგან; ისინი ხომ ომმა "გამოხარდა".

ამ ბავშვებისგან მეც ბევრი რამ ვისწავლე. უფრო თავდაჯერებული გავხდი მათთან ურთიერთობის შედეგად. გაკვეთილისთვის ისე ვემზადები, როგორც სერიოზული შეხვედრისთვის ან გადაღებისთვის. შეიძლება უფრო მეტად მომზადებულიც კი მივდივარ. ბევრი რამ, რაც ადრე, შესაძლოა, არ მაინტერესებდა, იქ დამჭირდა. ისეთ კითხვებს გისვამენ, ისე ჩაგეძიებიან, რომ გეშინია, არ ჩაგჭრან. მე ბებია მყავს პედაგოგი და ხშირად ვეკითხები რჩევას. ის მარიგებს, რომ არც ზედმეტად გაგუშინაურდე და არც ზედმეტად მკაცრი ვიყო ბავშვებთან. რთულები არიან, მაგრამ ამავდროულად ძალიან საყვარელი და საინტერესო ადამიანები.

**და ბოლოს ჩემს ტრადიციულ შეკითხვა- შემოთავაზებაზე გადავალ. გსურს თუ არა, გაწევრიანდე საავტორო უფლებათა ასოციაციაში?**

დიახ. დიდი სიამოვნებით. ჩემი თოჯინები უკვე კერძო კოლექციებშია. "ხელოვნების სასახლემაც" შეიძინა ორი მათგანი და ვიცი, რომ მალე გამოვა მათი კატალოგი, რომელშიც ჩემი ერთ-ერთი თოჯინაც შევიდა. ასე რომ, ჩემი ქმნილებები თანდათან დამოუკიდებელ ცხოვრებას იწყებენ და მეც უნდა ვისწავლო ჩემი შემოქმედების მოვლა- გაფრთხილება.

my room, no one else can touch anything. Only I know how and where to touch them; and even then sometimes they get damaged. Jane Eyre was damaged and I still have not fixed her.

**Do you also teach how to make dolls?**

I attend Caucasian House. They have a group of children from conflict regions. It is hard to enter their world. They are very different from their peers, since they've been "raised" by war.

I learned a lot from these kids. I became more self-assured after communicating with them. I prepare for the lessons, as if it was some important meeting or a shooting. I think I even over prepare myself. Many things, that I may have not been interested in before, turn out to be necessary with this group. They ask such questions; they are very inquisitive, that I'm always afraid to mess up. My grandmother is a teacher and I often ask her advice. She tells me not to be either too friendly or too stern with them. They have very complicated, but at the same time very lovely and interesting personalities.


**And my last and traditional question and offer. Would you like to become a member of the Copyright Association.**

Yes, with great pleasure. My dolls are already in private collections. The Art Palace also bought two of them and I know they will soon publish a catalogue, which will include one of my works. This means, that my creatures are starting to have an independent life and I need to learn how to protect my art.





# დიჯესტი THE DIJEST



ფოტო: გელა ბედინაშვილი / Photo: Gela Bedianashvili

# თბილისის წიგნის XV საერთაშორისო ფესტივალი

## The XV International Book Fair in Tbilisi

თბილისში წიგნის XV საერთაშორისო ფესტივალი ჩატარდა, სადაც 66 გამომცემლობა, წიგნის გამავრცელებელი საზოგადოება, მალაზია და საერთაშორისო ორგანიზაცია მონაწილეობდა. ფესტივალის ფარგლებში ახალი წიგნების პრეზენტაციები და ავტორებთან შეხვედრები გაიმართა. დახურვის ცერემონიული "პოეზიის ღამემ" დააგვირგინა, რომელშიც მონაწილეობდნენ ქართველი პოეტები: რატი ამაღლობელი, შოთა იათაშვილი, ალექს ჩიღვინაძე, პაატა შამუგია და სხვები.

ფესტივალი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის მხარდაჭერით გაიმართა.

The XV International Book Fair was held in Tbilisi with 66 publishing houses, bookshops, international organizations and bookseller societies. Several book presentations and meetings with authors were held within the frames of the event. The closing ceremony was accompanied by a poetry reading. Georgian poets like Rati Amaglobeli, Shota Iatashvili, Aleks Chigvinadze, Paata Shamugia and others were participating.

The Book Fair was organized with the support from Georgian Ministry of Culture and Monument Protection as well as the Georgian Publishers and Booksellers Association..

# დავით კაკაბაძის ნამუშევრები ეროვნულ გალერეაში

## David Kakabadze's Work at the National Gallery

18 მაისს, მუზეუმების საერთაშორისო დღეს, დავით კაკაბაძის ნამუშევრების მასშტაბური გამოფენა გაიხსნა. სადაც მხატვარი ასევე წარმოჩენილია, როგორც ხელოვნებათმცოდნე, მოაზროვნე და სტერეოკინოს გამომგონებელი.

ექსპოზიციაში წარმოდგენილია ასზე მეტი ნამუშევარი ეროვნული მუზეუმის და კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის ფონდებიდან, ასევე კერძო კოლექციებიდან.


გამოფენის ფარგლებში ტარდება საგანმანათლებლო ლექციათა ციკლი, რომელსაც ქართველი და უცხოელი სპეციალისტები უძღვებიან.

On May 18th, The International Museum Day, a broad exhibition of David Kakabadze's work opened at the National Gallery. Kakabadze was presented to the spectator as a painter, art critic, thinker and inventor of the stereoscopic cinema.

The exposition consists of more than a 100 works from the collections of National Museum and Kote Marjanishvili Theatre as well as private collections.


The exhibition is accompanied by a cycle of educational lectures by Georgian and foreign experts.





ფოტო: გელა ბედიაშვილი / Photo: Gela Bedianashvili





ფოტო: გელა ბედიაშვილი / Photo: Gela Bedianashvili





ფოტო: გელა ბედიაშვილი / Photo: Gela Bedianashvili



# თბილისის მუსიკის კვირეული Tbilisi Music Week



9-11 მაისს საავტორო უფლებათა ასოციაციის ინიციატივით თბილისში მუსიკალური კვირეული ჩატარდა.

სოფი ვილი (სოფო ხუციშვილი) თბილისის მუსიკალური კვირეულის ფარგლებში სტუმრობდა. სოფო უკრაინაში ცხოვრობს და მოღვაწეობს. ქართველი მსმენელის წინაშე ის სადებიუტო ალბომით Mother Fish წარსდგა.

განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს ჯგუფი "Zurgi"-ს და ნიკა წერეთელის "Gravity"-ს გამოსვლა. მუსიკალურ კვირეულში ასევე მონაწილეობდნენ უცხოური ჯგუფები და შემსრულებლები - Kimmo Pohjonen with Saana Pohjonen (ფინეთი), Ultima Thule (ესტონეთი) და სხვა.

On May 9-11, a music week was held in Tbilisi with the initiative of the Georgian Copyright Association.

In order to attend the festival, Sophie Villy (Sopo Xutsishvili) arrived to Tbilisi. Sophie lives and works in Ukraine. She presented her debut album Mother Fish to the Georgian audience.

Performance of bands like Zurgi and Nika Tsereteli's Gravity are particularly noteworthy. The festival was also a host to foreign groups and performers like Kimmo Pohjonen with Saana Pohjonen (Finland), Ultima Thule (Estonia) and others.



Zurgi



Sophie Villy





KIMMO POHJONEN with SAANA POHJONEN



ULTIMA THULE